# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 17 მაისი 2000 №91 (1113) | ფასი 50 თეთრი

## დღეს: საქართველო vs ლუქსემბურგი

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები გუშინ დილით მოსკოვიდან დანიას გაემგზავრა, ჩვენი დროით დღის ორი საათისთვის უკვე კოპენჰაგენში იყო, იქიდან კი მატარებლით ვაილეს მიაშურა. სწორედ ამ ქალაქში უნდა გაიმართოს ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი.

ეროვნული გუნდი სასტუმრო „სენტერში" დააბინავეს, იქვე ცხოვრობენ ჩვენების მეტოქეებიც. იქიდან დარბაზამდე, სადაც შეხვედრები უნდა ჩატარდეს, ორმოცდაათიოდე ნაბიჯი თუ იქნება.

თურქულ „ულქერში" მოთამაშე ზაზა ფაჩულია თვისტომთ მოსკოვში, სასტუმრო „შერემეტიევოში" დახვედრია, ასე რომ, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ თორმეტივე რჩეული თავისთან დაიგულა.

გუშინვე ქართველებმა ვაილეს საკალათბურთო სარბიელიც მოსინჯეს, საღამო ხანს, ჩვენით თერთმეტი საათისთვის, ტომარაძემ ბიჭები ავარჯიშა. დღეს კი, ღამის თორმეტის ნახევარზე ნაკრები პირველ მატჩს გამართავს ლუქსემბურგთან.




თბილისში მეორედ ხართ, უთხრა ბერნდ შუსტერს ჟურნალ „სარბიელის" კორესპონდენტმა და 21 წლის წინანდელი ამბავი გაახსენა — ინტერვიუ ლეგენდარულ გერმანელ ფეხბურთელთან.

როი კინმა საკუთარ კარშიც კი კაცურად დაარტყა, ამტკიცებს ჟურნალ „სარბიელის" მიმომხილველი — ჩემპიონთა ლიგა აპრილში.

ინგლისელი ფანები ხიფათს პირველად სტამბოლში როდი გადაეყარნენ — მკვლელობის ამბები, ინგლისელთა ფათერაკების ქრონიკა და უეფას თასი ჟურნალ „სარბიელში".

სალონიკში ვნახე მწვანე ნეხვი და ერთი უბრალო გენიოსი, გვიამბობს ჟურნალ „სარბიელის" რეპორტიორი — ევროლიგის ოთხთა ფინალი კალათბურთში.

კიდევ ბევრი
სხვა და „სხვადასხვა"
ჟურნალ
სარბიელის
მესამე, 28-გვერდიან ნომერში,
რომელიც ორშაბათიდან იყიდება.
ფასი 2 ლარი

UEFA CUP

# ევროპას ეშინია

## აიღე თასი, ნუ აიღებ სისხლს!







ფატიჰ თერიმმა (მარჯვნივ) და მისმა „გალათასარაიმ" წლეულს ბევრი სახელოვანი მწვრთნელი და კლუბი გააწბილეს. შეაჩერებენ თურქთა მოძალებას არსენ ვენგერი და „არსენალი"?

დღეს კოპენჰაგენის „პარკენის" სტადიონზე უეფას თასის ფინალია: ინგლისური „არსენალი" თურქული „გალათასარაის" წინააღმდეგ. თამაშს 185 ქვეყანაში გადასცემენ და მას დაახლოებით 500 მილიონი ადამიანი მიადევნებს თვალს. ინტრიგა დიდია: თუ „გალათასარაიმ" იმარჯვა, პირველი თურქული გუნდი გახდება, ევროთასი რომ მოუგია. თუ „არსენალმა", მეთოფეები ევროპაში პირველები იქნებიან, უეფასა და მისი წინამორბედი ბაზრობათა თასი რომ მოუპოვებიათ. ინტრიგა ინტრიგად და, მთელი ევროპა იმის შიშშია, დანიის მშვიდ დედაქალაქში უბედურება არ დატრიალდეს. სტამბოლში მოკლული ორი ინგლისელი ფანის აჩრდილი კოპენჰაგენსაც არ ასვენებს. ამბობენ, ინგლისელები თურქებზე შურისძიებას აპირებენო...

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი



# ესეც ლჰოცზე!

15 მაისს ნეპალის დროით 18 საათსა და 30 წუთზე დედამიწის სიმაღლით მეოთხე მწვერვალ ლჰოცზეზე ავიდნენ ქართულ-რუსული ექსპედიციის მეთაური ბენო ქაშაკაშვილი და პოლონელი პიოტრ პუსტელნიკი.



ბენო ქაშაკაშვილმა ლჰოცზესაც გადმოხედა

ამის შესახებ ჰიმალაიდან ინფორმაცია გაავრცელა ლჰოცზეზე მოიერიშე სლოვენიელთა ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა.

პოლონელი მთამსვლელი ბულგარელი ბორისლავ დიმიტროვის საერთაშორისო ექსპედიციის წევრია. რატომ შეწყვილდა ეს ორი მთამსვლელი — ქაშაკაშვილი-პუსტელნიკი, ამის თაობაზე ჯერჯერობით ვერაფერს მოგახსენებთ.

სლოვენიელთა ცნობით, ქაშაკაშვილსა და პუსტელნიკს დიდი პრობლემები შეექმნათ. საქმე ისაა, რომ მათ ზემოთ ვერ მონახეს საკვები და ალჭურვილობა, რომლებიც შერპმა მთამსვლელებმა საგანგებოდ დატოვეს. ამიტომ, შესაძლოა, ძალიან გამოიფიტნენ და გაიტანჯნენ, რადგან 14 მაისის მერე უჭმელ-უსმელნი არიან. არადა, მათ იგივე გზა ჩამოსავლელი აქვთ. ისინი 15 მაისს ნეპალის დროით 4 საათსა და 45 წუთზე მეოთხე ბანაკში დაეშვნენ. 16-ში შუადღისას მეორე ბანაკშიც ჩამოვიდნენ და თავს კარგად გრძნობენ.

დამატებით ინფორმაციას მათ საბაზოში დაბრუნების მერე მოგაწვდით.

# ლიერსის სურვილი: ჯამარაული!



გოჩა ჯამარაული

შვეიცარიის „ციურიხის" ქართველმა ნახევარმცველმა გოჩა ჯამარაულმა მომავალი სეზონიდან შესაძლოა ბელგიას მიაშუროს და „ლიერსში" გელა შეყილაძის თანაგუნდელი გახდეს.

ბელგიური კლუბის მწვრთნელები ჩვენებურს ერთი-ორჯერ უკვე შეეხმიანნენ, ციურიხშიც ჩააკითხეს და გოჩას მონაწილეობით ორ თამაშს დაესწრნენ. ბელგიურ პრესაშიც ხშირად ამოიკითხავთ ჯამარაულ-„ლიერსის" მოლაპარაკების თაობაზე.

თავად ფეხბურთელი კი ჯერჯერობით კონკრეტული პასუხისგან თავს იკავებს, მას სხვა კლუბებიც ეპატიჟებიან. ესეც რომ არა, „ციურიხის" მწვრთნელ ჟილბერ გრესს ჯამარაულისთვის უთქვამს, ნუ იჩქარებ, თუ გავვარდით, თავად გაგიხერხებ კარგ კლუბსო.

„ლიერსის" მწვრთნელებს გოჩა უეფას თასზე თამაშისას დაამახსოვრდათ. მეთექვსმეტედფინალში „ციურიხმა" სწორედ შეყილაძის გუნდი დაამარცხა და მაშინ, ბელგიაში ერთი გოლი ჯამარაულმა გაიტანა.

ქართველის გარდა „ლიერსს" ახალი სეზონისთვის კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის დამატება და სამომავლოდ საფუძვლიანად გაძლიერება სურს.

ეს ყოველივე გელა შეყილაძემაც დაგვიდასტურა, რომელსაც გუშინ შინ შევეხმიანეთ. გელას თქმით, „ლიერსის" მწვრთნელები მას ლამის ყოველდღე ეკითხებიან გოჩას თაობაზე და ძალიან დიდი სურვილი აქვთ, ჯამარაული თავისთან იხილონ.

კობა ინასარიძე

# რა უნდა ნოდიას საქართველოში?

1994 წლის შემოდგომაზე საქართველოდან რუსეთში, სანკტ პეტერბურგში გადაბარგებულ გივი ნოდიასა და მის „ლოკომოტივს" მძიმე დროება დაუდგა — კლუბი ფინანსურ კრიზისშია, გზის ფულს გაჭირვებით შოულობს და ფეხბურთელებიც უკვე ორი თვეა, უხელფასოდ თამაშობენ. შედეგი სახეზეა — „ლოკომოტივი", თავის დროზე სწორედ გივი ნოდიას ხელმძღვანელობითა და ძმები კილასონიების კარგი თამაშის წყალობით რუსეთის მეორე დივიზიონიდან პირველში რომ აღზევდა, ახლა, 8 ტურის შემდეგ, უპირობო აუტსაიდერია და კვლავ დაქვეითების საფრთხე ემუქრება.

გივი ნოდიამ კი შაბათს, „ლოკომოტივ" — ლიპეცკის „მეტალურგის" ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ, კლუბის დირექტორ არკადი დეკტიაროვს განცხადება აახლა — იგი თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვს. დირექტორს ჯერჯერობით ხელი არ მუწერია, თუმცა თავად ნოდიას თქმით: „სად წავა, დღეს თუ ხვალ დააკმაყოფილებს თხოვნას. კლუბში ჩემს მუშაობას აზრი აღარ აქვს".



სარბიელის არქივიდან

საქართველოდან ექვსი წლის წინ გადახვეწილ მწვრთნელს, რომელიც ამ ხნის განმავლობაში სამშობლოში ერთხელაც არ ჩამოსულა და სანკტ პეტერბურგში კარგად მოწყობილა, გუშინ შევეხმიანეთ და ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ. თანაც სულ ახლახან ყური მოვკარით, გივი ნოდიას ჯანმრთელობა შეერყა და საავადმყოფოშიც იწვაო:

— არა, ეგ ჭორია, სრულიად ჯანმრთელად ვარ. საქმე ის გახლავთ, რომ „ლოკომოტივს" ერთ-ერთ გასვლით მატჩზე არ ვახლდი გარკვეული მოსაზრებების გამო და აქაურებმა ხმა დააგდეს, ნოდია ავად არისო.

ახლა „ლოკომოტივის" ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას. ძალიან ცუდი ვითარებაა. მოსკოვი — არხანგელსკის სარკინიგზო გზის უფროსი შეიცვალა და კლუბიც უპატრონოდ დარჩა. ჩვენ სწორედ ეს სამმართველო გვაფინანსებდა ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით. ახალ უფროსს კი, მგონი, ფეხბურთი საერთოდ არ აინტერესებს. კარგა ხანია, გუნდში ხელფასები არ დარიგებულა. მიდი და ამის მერე ფეხბურთელებს მოგება, მონდომებით თამაში სთხოვე. პირველი წრის ბოლომდე ბიჭები შეიძლება დარჩნენ „ლოკომოტივში" და ენთუზიაზმით ითამაშონ, მაგრამ შემოდგომაზე გუნდს ალბათ ნახევარზე მეტი დატოვებს. აქამდეც, ერთი-ორჯერ ჩემი ხათრით გავიდნენ მინდორზე, თორემ ის მატჩები ჩაიშლებოდა. საბოლოოდ ამ დღეებში უნდა გაირკვეს დავრჩები „ლოკომოტივში", თუ არა. ასე ბედის ანაბარა როდემდე ვიქნები, არ შეიცვლება არაფერი და ჩემი თხოვნა რომც არ დააკმაყოფილონ, ამ გუნდში გამჩერებელი არა ვარ — დავტოვებ „ლოკომოტივს" და დავისვენებ.

დაბრუნებით კი არ დავბრუნდები. რა მინდა საქართველოში? ყველა კარგ ფეხბურთელს გაქცევაზე უჭირავს თვალი და მე დავბრუნდე? აქაც მშვენივრად ვარ — გვითხრა გივი ნოდიამ, თან დაამატა, ჩემი თავი რამ გაგახსენათ, გმადლობთო, და...

ისე მაინც კარგი იქნება, თუ ჩამოვა.

კობა ინასარიძე

# ბევრი ქართველი მეხელენში

ვის ეწვევა 17 ივნისს ინტერტოტოს თასის გათამაშების პირველი ეტაპის პირველ მატჩში ქართული გუნდი?

ეს ჯერ ისევე გაურკვეველია, როგორც იმ ჩვენებური კლუბის ვინაობა, ვისაც ბელგიელებთან თამაში ერგება.

ბელგიის ჩემპიონატი გასრულდა. მაშ რატომაა უცნობი ინტერტოტოს თასის მონაწილეთა ვინაობა?

მიზეზი მარტივია, მეტ-ნაკლებად ძლიერი ბელგიური კლუბები ტრადიციულად თავს არიდებენ ევროპული ფეხბურთის ამ აშკარად ხელოვნურ წანაზარდს — ინტერტოტოს თასს. სწორედ ამიტომ იყო, შარშანწინ ჩვენებური „ტორპედოს" მეტოქე ბელგიის მეთორმეტე გუნდი „ლომელი".

ბელგიის ჩემპიონი „ანდერლეხტი" და ვიცე-ჩემპიონი „ბრიუგე" ჩემპიონთა თასზე ითამაშებენ, მესამე-მეოთხე „გენტი" და „მუსკრონი" თასის მფლობელ „გენკთან" ერთად უეფას თასზე გავლენ. „მუსკრონს" „სტანდარდი", „ვესტერლო", „ბეერსხოტი", „ლიერსი", „ლოკერენი", „მეხელენი" და „აალსტი" მოსდევენ.

„სტანდარდიდან" „ლიერსამდე" ყველა უარობს ინტერტოტოზე თამაშს და ბელგიის პროფესიონალური ლიგა რეკომენდაციას მეთერთმეტე-მეთორმეტე „მეხელენს" და „აალსტს" აძლევს.

იმ ქვეყნებს, რომლებიც ინტერტოტოზე ორი გუნდით თამაშობენ, უფლება აქვთ მეთორმეტეადგილოსანიც კი წარადგინონ. ხოლო ერთგუნდიან ქვეყნებს მერვე ადგილზე დაბლა დაშვების უფლება არ აქვთ.

საქართველოს წარმომადგენლის მეტოქე ბელგიის პირველი გუნდია. ერთი სიტყვით, თუ ბელგიელებმა ბოლო გადაწყვეტილება არ შეცვალეს, ჩვენებური გუნდი თასების თასის მფლობელ (1988) და რევაზ არველაძის ყოფილ კლუბს შეეყრება.

თუ გავიხსენებთ, რომ მეორე მეხელენურ კლუბ „რასინგში" შარშან კიდევ 7 ქართველი იყო, მთავარი მწვრთნელის კონსულტანტ დავით ყიფიანითურთ, ნათელი გახდება, რა ახლობელია მეხელენი და თუნდაც „მეხელენი" ქართველთათვის.

ვახტანგ ბზიკაძე

## რეგიონალური ლიგა

### დასავლეთი

„ა" ზონა

XVIII ტური

12 მაისი

**რაჭა 5:2 სულორი**

1:0 ჯმუხაძე (6), 2:0 მეტონიძე (16), 3:0 ჯმუხაძე (31), 4:0 კიკვაძე (43), 4:1 მიქელთაძე (67), 4:2 ადეიშვილი (78), 5:2 ჯმუხაძე (89)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (სამტრედია)

**გაგრა 1:1 ოკეანე**

1:0 გოლეთიანი (76), 1:1 ცომაია (85)
გაფრთხილება: მანაგაძე (გაგრა)
მსაჯი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**მეშახტე 2:3 მარგვეთი**

0:1 ჯღარკავა (16), 1:1 ავალიშვილი (40), 1:2, 1:3 სულაკაძე (59, 83), 2:3 ტისიაჩნი (87)
მსაჯი: ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა)

**მაღაროელი 0:1 მეტალურგი**

0:1 მინაშვილი (58)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

14 მაისი

**იბერია2 4:0 რწმენა**

1:0 ხმალაძე (33), 2:0 მიქაბერიძე (45), 3:0, 4:0 ხურციძე (56, 65)
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

**ინტერი 2:0 გურია**

1:0 მეგრელიშვილი (80), 2:0 არსენიძე (83)
გაფრთხილება: გალოგრე, მეგრელიშვილი (ორივე ინტერი), გოგიტიძე, კუკულაძე (ორივე გურია)
გაძევება: კუკულაძე (84)
მსაჯი: გ. ცირდავა (გულრიფში)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 18 | 14 | 4 | 0 | 57:14 | 46 |
| ოკეანე | 18 | 11 | 4 | 3 | 40:21 | 37 |
| იბერია 2 | 18 | 9 | 6 | 3 | 36:21 | 33 |
| მეტალურგი | 18 | 9 | 5 | 4 | 32:21 | 32 |
| გაგრა | 18 | 6 | 6 | 6 | 25:29 | 24 |
| ინტერი | 17 | 6 | 6 | 5 | 22:18 | 24 |
| სულორი | 18 | 5 | 5 | 8 | 23:40 | 20 |
| რწმენა | 18 | 4 | 6 | 8 | 12:21 | 18 |
| რაჭა | 18 | 4 | 6 | 8 | 21:26 | 18 |
| გურია | 18 | 5 | 1 | 12 | 26:35 | 16 |
| მაღაროელი | 18 | 3 | 5 | 10 | 23:35 | 14 |
| მეშახტე | 17 | 2 | 4 | 11 | 18:54 | 10 |

### დასავლეთი

„ბ" ზონა

XVIII ტური

11 მაისი

**ლაზიკა 6:1 ბათუმი 2**

1:0 ლიპარტია (3), 2:0 ნაყოფია (12), 3:0 ჭედია (35), 4:0 ნაყოფია (52), 5:0 ლიპარტია (58), 5:1 ბეჟანიძე (64), 6:1 ჯაბუა (88)
გულორდავამ ვერ გაიტანა პენალტი (18, ლაზიკა)
მსაჯი: მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)

**ფაზისი 0:1 შუქურა**

0:1 ყულეჯიშვილი (45)
გაფრთხილება: გვასალია (ფაზისი), ფუტკარაძე (შუქურა)
მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

12 მაისი

**კოლხეთი 2 1:0 მეგრი**

1:0 კრასოვსკი (52)
გაფრთხილება: ქარჩავა, ჭურღულია (ორივე მეგრი), ყურაშვილი (კოლხეთი2)
გაძევება: ქარჩავა (52)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

**ბახმარო 1:4 ზუგდიდი**

0:1 გოგიტაძე (30), 0:2 თორია (47), 0:3 გოგიტაძე (52), 0:4 ჩიქობავა (79), 1:4 დოლიძე (80)
გაფრთხილება: კალანდაძე, უჯმაჯურიძე, დოლიძე (ყველა ბახმარო)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**სამეგრელო 1:1 მერცხალი**

0:1 კუნინი (14), 1:1 სიჭინავა (89)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**ჩელა — სქური**

*გაიმართება 21 მაისს*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შუქურა | 19 | 15 | 2 | 2 | 57:19 | 47 |
| ზუგდიდი | 19 | 13 | 3 | 3 | 52:20 | 42 |
| მეგრი | 19 | 13 | 2 | 4 | 30:14 | 41 |
| კოლხეთი 2 | 19 | 12 | 4 | 3 | 29:14 | 40 |
| ლაზიკა | 19 | 11 | 5 | 3 | 48:18 | 38 |
| თაზისი | 19 | 9 | 3 | 7 | 32:30 | 30 |
| სქური | 18 | 5 | 2 | 11 | 24:44 | 17 |
| სამეგრელო | 19 | 4 | 5 | 10 | 20:33 | 17 |
| ბათუმი 2 | 19 | 2 | 8 | 9 | 19:34 | 14 |
| მერცხალი | 19 | 2 | 16 | 11 | 16:38 | 12 |
| ჩელა | 18 | 2 | 4 | 12 | 16:44 | 10 |
| ბახმარო | 19 | 2 | 2 | 15 | 16:51 | 8 |

### აღმოსავლეთი

„ა" ზონა

XVIII ტური

12 მაისი

**მესხეთი 5:1 მრეტები**

1:0, 2:0, 3:0 ინასარიძე (18, 21, 38), 4:0 გვირჯიშვილი (70), 4:1 ხუციშვილი (78), 5:1 სუდაძე (88)
გაფრთხილება: ჩახვაძე, ფოჩხუა (ორივე მრეტები)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

**იბერია 2:0 არაგვი**

1:0 თოდაძე (4), 2:0 კასრაძე (10)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

**თორი 2:1 ცხუმი**

1:0 გ. ლომიძე (18), 1:1 ბოჯგუა (52), 2:1 კობესაშვილი (79პ)
გაფრთხილება: ცაავა (ცხუმი), ელისაშვილი, ფირცხალავა, დენისკინი (ყველა თორი)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (რუსთავი)

**საუ 0:2 ივერია**

0:1 ვეშაპიძე (21), 0:2 ბლიაძე (88)
გაფრთხილება: ნეკერაშვილი, მ. ლომიძე (ორივე ივერია)
მსაჯი: გ. ასკაროლლი (ქარელი)

**განთიადი 0:3 ცხინვალი**

*განთიადს ჩაეთვალა წაგება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 17 | 13 | 2 | 2 | 35:5 | 41 |
| თორი | 18 | 13 | 2 | 3 | 36:13 | 41 |
| ივერია | 17 | 11 | 0 | 6 | 38:20 | 33 |
| იბერია | 17 | 9 | 2 | 6 | 25:17 | 29 |
| მესხეთი | 17 | 8 | 4 | 5 | 41:30 | 28 |
| ცხუმი | 17 | 7 | 2 | 8 | 28:23 | 23 |
| განთიადი | 17 | 7 | 1 | 9 | 23:35 | 22 |
| საუ | 18 | 6 | 1 | 11 | 21:32 | 19 |
| მრეტები | 17 | 3 | 5 | 9 | 16:33 | 14 |
| ვარძია | 17 | 4 | 2 | 11 | 15:42 | 14 |
| არაგვი | 18 | 3 | 1 | 14 | 17:45 | 10 |

*განთიადი მოხსნილია გათამაშებიდან*

### აღმოსავლეთი

„ბ" ზონა

XVIII ტური

14 მაისი

**თბილისი 2 3:2 ამირანი**

0:1 ფურცელაძე (16), 0:2 ჭალიაშვილი (39), 1:2 ზურაბაშვილი (47), 2:2 მანჭარაული (67), 3:2 გოგისვანიძე (76)
ლალიაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (85, ამირანი)
მსაჯი: ი. აფციაური (დუშეთი)

**აკადემია 0:0 ლოკომოტივი 2**

გაფრთხილება: ჭილაძე (აკადემია)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**სამგორი 0:3 ჭაბუკიანი**

0:1, 0:2 ყაველაშვილი (4, 65), 0:3 მერაბაშვილი (72)
გაფრთხილება: ლევანიშვილი (სამგორი)
მსაჯი: ნ. მაისურაძე (თბილისი)

**ზოოვეტი 1:5 ალაზანი**

0:1 გოძიაშვილი (8), 1:1 ზაკუტაშვილი (26), 1:2 ი. ყალაბეგაშვილი (33), 1:3, 1:4 ვარამაშვილი (41, 70), 1:5 მიკუჩაძე (90)
გაფრთხილება: ოქრუაშვილი (ზოოვეტი)
მსაჯი: ა. ორდინიძე (ონი)

15 მაისი

**ხალიბი 3:0 დურუჯი**

*დურუჯი არ გამოცხადდა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 2 | 17 | 13 | 2 | 2 | 33:12 | 41 |
| არსენალი 2 | 17 | 11 | 4 | 2 | 37:17 | 37 |
| ჭაბუკიანი | 17 | 11 | 2 | 4 | 33:11 | 35 |
| ალაზანი | 17 | 11 | 2 | 4 | 42:18 | 35 |
| ზოოვეტი | 17 | 9 | 4 | 4 | 36:27 | 31 |
| ამირანი | 18 | 7 | 3 | 8 | 28:34 | 24 |
| ხალიბი | 18 | 6 | 2 | 10 | 23:32 | 20 |
| აკადემია | 17 | 4 | 5 | 8 | 11:13 | 17 |
| თბილისი 2 | 17 | 4 | 4 | 9 | 21:30 | 16 |
| სამგორი | 18 | 2 | 1 | 15 | 17:55 | 7 |
| დურუჯი | 16 | 2 | 1 | 13 | 12:41 | 7 |

საქართველოს ჩემპიონატი · მეორე ეტაპი

12 ტური ანონსი

# ა+ბ=ინტრიგა



შარშანდელი „ვიტ ჯორჯია“ — „კოლხეთი“: მიხეილ ქობულაძე ვიტელ მცველებს გაურბის

დღეს ჩვიდმეტი მაისია, ოთხშაბათი. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეთორმეტე ტური. რვა მატჩში საკმაოდ მნიშვნელოვანი რალაცეებია გასარკვევი — თუ „ა“ ზონაში ჩემპიონობისა და ევროსაგზურის მფლობელობის საკითხს უნდა მოეფინოს ნათელი (ნაწილობრივ), „ბ“-ში პირველ ლიგაში დამრჩენთა ამბავია საინტერესო.

ტურის ცენტრალური შეხვედრა უთუოდ „კოლხეთი“ — „ვიტ ჯორჯიაა“. აქამდე ჯიგრიანად მოვიდნენ ვეტერინარები, ტოლი არავის დაუდეს და ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად მეორე ადგილზე ამოყვეს თავი. მეორე ადგილიცაა და მეორე ადგილიც — ვეტერინარიის საფეხბურთო პირმშო ორადორი ქულითღა ჩამორჩება „ტორპედოს“ და მავანნი იმასაც იძახიან, ჩემპიონობის ბედი ბოლო ტურში „ტორპედო“ — „ვიტ ჯორჯიას“ შეხვედრაში გადაწყდებაო.

მანამდე კი ორი უმნიშვნელოვანესი მატჩიც უნდა ჩაატარონ ვიტჯორჯიელებმა, ერთი უკვე ნახსენებ „კოლხეთთან“, მეორე — „ბათუმთან“ მცხეთაში.

ეს „ვიტ ჯორჯიის“ უაღრესად მძიმე კალენდარზე და ბოლო დროს ჩინებულად მოთამაშე „კოლხეთსაც“ გვარიანი პრობლემები აქვს — ფოთელები საკმაოზე მეტად ჩამორჩებიან უშუალო კონკურენტებს და რას და როგორ აპირებენ, ეს სწორედ მათთან თამაშში უნდა დაამტკიცონ. ისე, ფავორიტებად მაინც მასპინძლები უნდა მივიჩნიოთ, „კოლხეთი“ ხომ „ფაზისზე“ მეტად ძლიერად თამაშობს.

„ვიტ ჯორჯიას“ მოსალოდნელმა შეფერხებამ ქუთაისის „ტორპედოს“ წისქვილზე უნდა დაასხას წყალი. „ტორპედო“ „სიონს“ მასპინძლობს და არა მგონია, სამ ქულაზე ნაკლებს დასჯერდეს. მეტოქეთა სუნთქვა ზურგს უწვავს ყიფიანის გუნდს და ახლა წაფორხილების დრო არ არის. მართალია, მეთერთმეტე ეროვნულის ლიდერებს არასტაბილური თამაში დასჩემდათ ამ ბოლო დროს, მაგრამ „დინამოსთან“ აშკარად ჩაგდებული მატჩის შემდეგ ისინი უთუოდ გამოიტანდნენ სათანადო დასკვნებს და... გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდება „სიონს“ კარის მშრალად შესანახად.

ჯანი კარნევალის გუნდი გორის „დილას“ დაუხვდება. არხეინ გორელებს ტყუილად მოსთხოვს ვინმე თავგამოდებას, იციან ქართლელებმა, სად, ვისთან და როდის გამოიდონ თავი. „ბათუმს“ კი, შემადგენლობაგადახალისებულ „ბათუმს“, არანაკლები ჭირი ჭირს, ვიდრე „კოლხეთს“ — ევროსაგზური კარგა შორსაა. თუმც მეტოქეები არიან ახლო და ერთი და ორი ქულის გაქარწყლება ყოველთვის შეუძლიათ ზღვისპირელებს (თუნდაც უშუალო კონკურენტებთან მატჩებში). „დილასთან“ შეხვედრის შემდეგ კარნევალის და კომპანიას „ვიტ ჯორჯია“ — „კოლხეთის“ ბარიერები ელით და ამათთან თამაშს რა აზრი აქვს, თუკი „დილას“ არ მოუგეს. აქედან გამომდინარე, მოიგებენ ბათუმელები.

სამტრედიაში ისეთი გუნდები თამაშობენ, ტკბილ-მწარე მოგონებებს რომ ალუძრავენ ფეხბურთის მოყვარულ კაცს. „იბერია“ — „დინამო“. გახსოვთ, ხომ? რა მატჩები და რა შეხვედრები... წავიდა ის დრო. არც „დინამოა“ „დინამო“ (ჩემპიონობის ამბავში) და არც „იბერიაა“ „სამტრედია“. თუმც ორივენი პირველი ლიგის გუნდები არიან და „ა“ ზონის მეოთხე შეხვედრასაც ისინი მართავენ.

„იბერიას“ ბევრი საქმე და სადავიდარაბო აღარ დარჩა, მაგრამ რაკი საამმატჩოდ სოსოს ტყუპისცალი ვასილ გიგიაძეც დაიმატა და გუშინ დიდი ჯიხაიშის ბაზაზეც შეიკრიბა, დიდი ჯახის მომლოდინენი უნდა ვიყოთ — სამტრედიაში ფავორიტი „დინამო“ იოლად ვერ მოიგებს, მაგრამ თუ შეძლებს, როგორც მინიმუმი, მესამე ადგილს შეინარჩუნებს.

ინტრიგა „ა“ ზონასაც ეყოფოდა ჩემპიონატს და „ბ“-სიც ზედ არ დაემატა? ნამეტანია, ფეხბურთის მზემ. ნამეტანია, მაგრამ კარგი კია, ეს დალოცვილი. „გორდა“ — თსუ — „სამგურალის“ ჭიდილი ლაზათს მატებს მეთერთმეტე ეროვნულს და ტურიდან ტურამდე რომ იძაბება და იხლართება საქმე, ესეც ართობს გულშემატკივარს. კი იძახიან ათას რალაცას, მაგრამ ათას რალაცას იტალიურ ფეხბურთზეც იძახიან და ნუ მოვიკლავთ თავს (იტალიელები რომ არ იკლავენ?!).

ამ ზონის სამი მატჩი უცილოდ ურთიერთკავშირში უნდა განვიხილოთ. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ... თუმც „გორდა“ — თსუ — „სამგურალის“ სამკუთხედზე ხომ გელაპარაკეთ. ბევრი ლათაიები არ არის საჭირო, „სამგურალი“ „არსენალს“ დაუხვდება (გაალმასებული), თსუ — „მერანს“, „გორდა“ კი „ხობთან“ შეეცდება სამი ქულის აღებას. ვნახოთ, რა და როგორ იქნება, თუმცა მეთორმეტე ტურში კონკურენტებზე ადვილი ამოცანა იმერლებს აქვთ ამოსახსნელი. „არსენალი“ უკვე ჩამოქვეითდა, მოტივაციაც აღარ ამოძრავებს და რაღა წყალტუბოში მოუნდებათ არმიელებს კარის გაჯახუნება. მით უმეტეს, ამ კარს იმგვარი ზამბარები აქვს, რუსთავში „გორდა“ მოიყოლა წინა ტურში.

ისე, ერთიც უნდა დავამატოთ — ამ შემართებით რომ ეთამაშა „სამგურალს“, აქამდეც რომ ასე მოეგო მატჩები შინა და გარეთ, ახლა პირველ ლიგაში დასარჩენად არა და, ჩემპიონობისთვის ნამდვილად იბრძოლებდა.

„ლოკომოტივი“ — „თბილისი“. „შენ ზევითა ხარ, მე — ქვევით“ შეხვედრების კატეგორიას მიეკუთვნება. „თბილისი“ თავმოყვარეობისთვის თუ გაირჯება, თორემ აზრი არა აქვს „ლოკომოტივისთვის“ წყლის ამღვრევას (ცოტა ძნელიცაა, ხომ იცით). რაც გინდა თქვი და უხელფასობა „დინამოს“ ფარმ-კლუბზე კი არა, „ატლეტიკოს“ ფეხბურთელებზე მოქმედებს — უფულოდ და უხელფასოდ კატები აღარ კნავიან ახლა.

უეფას პასუხმა, ევროსაგზურს „ტორპედოს“ ჩემპიონობის შემთხვევაში „ლოკომოტივი“ მოიპოვებსო, უარესი ცეცხლი ააგიზგიზა მეორე ადგილის მოსურნეთა გულში. გინდა ევროპა? დაითვალე ქულები. ქულები რომ დაითვალო, უნდა დააგროვო და ქულების დაგროვებას ხომ იცით, რა უნდა?!

რა და მოგებები, მოგებები, მოგებები.

ჰოდა, ყველა რომ მარტო მოგებაზე იფიქრებს, „სასეირნო“ მატჩები რომ შემცირდება, არავინ არავის არაფერს რომ არ დაუთმობს, ინტრიგა იქნება, აბა, არ იქნება?

**კონსტანტინე გოგიშვილი**



წინა „დინამო“ — „იბერია“: თენგიზ სიჭინავა (ბურთით) და იოსებ გიგიაძე

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 21 | იონანიძე | ტორპედო |
| 18 | ვ. კილასონია | გორდა |
| 13 | ზ. ქორიძე | ვიტ ჯორჯია |
| 12 | აშვეთია | დინამო |
| | ალექსიძე | დინამო |
| 11 | მეგრელაძე | ტორპედო |
| | დ. ჯანაშია | ტორპედო |
| 10 | წუწუნავა | თსუ |
| 9 | ქებაძე | ლოკომოტივი |
| | ხორგუაშვილი | დილა |
| | წიტაიშვილი | დინამო |
| | ვ. ჩიტაია | ხობი |

## «ა» ზონა

ფოთი. „ფაზისი“. 17 მაისი. 18 საათი

### კოლხეთი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. შილაკაძე; ი. შალამბერიძე, ვ. ჩოჩიშვილი (ყველა თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
დისკვალიფიცირებულნი: ტრაპაიძე (კოლხეთი)

ქუთაისი. „ტორპედო“. 17 მაისი. 18 საათი

### ტორპედო — სიონი

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

ბათუმი. „დინამო“. 17 მაისი. 18 საათი

### ბათუმი — დილა

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: აკოფიანი, გოჩაშვილი (დილა)

სამტრედია. „ეროსი მანჯგალაძე“. 17 მაისი. 18 საათი

### იბერია — დინამო

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); გ. მარღიშვილი (ქარელი), ლ. რაზმაძე (გორი); გ. ასკაროღლი (ქარელი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. მიმინოშვილი
დისკვალიფიცირებულნი: გეგეშიძე (იბერია), გუჩუა (დინამო)

## «ბ» ზონა

მცხეთა. „არმაზი“. 17 მაისი. 18 საათი

### თსუ — მერანი

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ლ. სილაგავა, ო. ხეცაძე; მ. ურუშაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია
დისკვალიფიცირებულნი: არავინი

წყალტუბო. „26 მაისი“. 17 მაისი. 18 საათი

### სამგურალი — არსენალი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მალაღურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა
დისკვალიფიცირებულნი: ჩხაბერიძე (სამგურალი)

თბილისი. „ეროვნული“. 17 მაისი. 18 საათი

### ლოკომოტივი — თბილისი

მსაჯები: მ. მაისურაძე; მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

სენაკი. „ეგრისი“. 17 მაისი. 18 საათი

### ხობი — გორდა

მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე
დისკვალიფიცირებულნი: ზურაბ აიანადი, ჯანგურია, რ. თოლორდავა (ყველა ხობი), ბურნაძე (გორდა)

საქართველოს ჩემპიონატი მეორე ეტაპი **11 ტური** მიმოხილვა

# ხინჯი ტორპედოს გულში



არჩილ სახვაძე და ირაკლი ვაშაკიძე მიხეილ ასათიანის იმ დარტყმულს უცქერენ, რომელსაც გოლი მოჰყვა

„შენ უნდა დაამტკიცო შენი სიმართლე, არ უნდა გაჩუმდე, უნდა შეედავო, სხვანაირად იფიქრებენ, რახან გაჩუმდა, ესე იგი ტყუისო. ამ სიტყვებით სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაცი მარტო „დინამო" — „ტორპედოს" მატჩის თანამსაჯ ავთანდილ სამხარაძეს როდი მიმართავდა. ანატოლი მილჩენკო თავის მონოლოგში მთლიანად სამსაჯო კორპუსს გულისხმობდა.

თითოეულმა მსაჯმა იცის, რა ხდება ეროვნულ ჩემპიონატში, ანაც რა უნდა მოხდეს და მოვლენებიც შესაბამისად ვითარდება. საქართველოში არ არსებობს კლუბი, ბოლომდე კმაყოფილი იყოს მსაჯთა ქმედებებით. ყველასა აქვს პრეტენზია და ამას დასასრული არ უჩანს.

სამად სამი ტურია დარჩენილი მეთერთმეტე გათამაშების დამთავრებამდე. ჯოჯოხეთი მსაჯებისთვის, ასე მოინათლა ჩემპიონატის ეპილოგი. ძალიან გაუჭირდებათ ქართველ არბიტრებს. ირგვლივ ისეთი უნდობლობა, დაძაბულობა და ინტრიგა სუფევს, რომ ამათი ერთი უმნიშვნელო შეცდომაც კი უზომოდ გაიბერება.

მე ვერ ვიქნები მსაჯთა განმსჯელი, მათ „შემოქმედებას" სამსაჯო კომიტეტთან ერთად, ალბათ, დროც შეაფასებს, მაგრამ შავოსანთა არასწორი გადაწყვეტილებები სხვებთან ერთად ჩვენი კლუბებისა და მათი თავკაცების ბრალიცაა. თუ ისინი კარგად დაფიქრდებიან, წარსულსაც სალი თვალით შეაფასებენ, მაშინ იქნებ დამეთანხმონ კიდეც.

„უნდა შეედავო, სხვანაირად იფიქრებენ... მილჩენკოს ახალიც არაფერი უთქვამს. ქართული საფეხბურთო სამყაროს დიდი ნაწილი (გულშემატკივარი, ჟურნალისტი, სპეციალისტების მესამედი) დიდი ხანია, სხვანაირად ფიქრობს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა. ალბათ, კიდევ დიდხანს არ შეიცვლება.

მეტად ჩახლართული და ვნებათაღელვით დახუნძლული გამოვიდა მეთერთმეტე გათამაშების მეთერთმეტე ტური. მისი გვირგვინი, ტურის ცენტრალური მატჩი, „დინამო" — „ტორპედო" უნდა გამოსულიყო, მაგრამ...

1:1, არჩათვლილი გოლი, გაძევებული მოთამაშე და ხუთი ქულით წინ გაჭრილი „ტორპედო". აი, რა დარჩა „დინამოს" საშაბათო, დიდი და სეზონში ბოლო დაპირისპირების შემდეგ. თბილისელები არც ცდილან, თავიანთი უკმაყოფილება დაემალათ. მასპინძელი მხარე, მისი გულშემატკივარი და ბევრი სხვაც ასე თვლიდა — „დინამო" დაწვეს.

„ტორპედომ" „დინამოსთან" ქულათა სასურველი და მეტად მომგებიანი ზღვარი შეინარჩუნა. კაცნაკლულ მეტოქეს თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე უგებდა კიდეც, მაგრამ ბოლოს ერთი ქულაღა იმყოფინა.

ქუთაისელები ძალიან ახლოს იმყოფებიან სანუკვარ მიზანთან, მათი მომხრეა გათამაშების კალენდარიც, მაგრამ არ შეიძლება, „ტორპედოს" გულში ხინჯად არ ჩარჩეს ერთი ფაქტი — „დინამო" ვერც ერთხელ წააქცია.

ჯერაც ჩემპიონები კი ქუთაისელთა მიერ მათ კარში გატანილ გოლსაც ეჭვის თვალით უყურებენ. თამაშგარე იყოო, იჩემებენ და ამაში ბევრი მხარდამჭერიც ჰყავთ, მაგრამ სულ სხვაგვარად ფიქრობს ანატოლი მილჩენკო.

სამსაჯოს უფროსი თითქოს დამაჯერებლად ასაბუთებს ყველაფერს. „დინამოს" მიერ გატანილი პირველი გოლი თამაშგარედან გატანილი ყოფილა, გუჩუამაც ისე შეიგინა, მთელმა თუ არა, ნახევარმა სტადიონმა მაინც გაიგო. მაშინ რაღაა საკამათო? თითქმის არაფერი, „ტორპედოს" მიერ გატანილი გოლის გარდა. ხმამაღლა ეს არავის დასცდენია, მაგრამ სპეციალისტთა აზრი მაინც ორად გაიყო. ერთნი მსაჯის სიმართლეს ამტკიცებენ, მეორენი — პირიქით. ვიდეოფირზე კი, როგორც ყოველთვის, გარკვევით არაფერი ჩანს.

საბოლოოდ ერთი რამ შეგვიძლია დავასკვნათ — „დინამოს" რაც სჭირს, მხოლოდ თავისი ბრალია და „ტორპედოც" სამართლიანად უსწრებს, მაგრამ საფეხბურთო სეზონის ექვს დაპირისპირებაში (ერთი ამხანაგური, სუპერთასი, ორ-ორი თასისა და ჩემპიონატის მატჩები) „ტორპედომ" ერთხელაც ვერ დაამტკიცა, რომ ის „დინამოზე" ძლიერია. გათამაშება კი თითქმის დასრულდა.

გორში ჩასულმა ფოთის „კოლხეთმა" მასპინძელს გამარჯვების თქმა არ დაამთავრებინა და გოლი გაუტანა. ზაველ ღალანიძემ, რომელიც ბოლო დროს სულ მოწოდების სიმაღლეზეა, ვეტერან თანაგუნდელ კიკლიაშვილს ნაჯაფარი დაუფასა და მეკარესთან პირისპირ გასულმა თავისი გუნდის საბოლოო გამარჯვებას ჩაუყარა საძირკველი.

„კოლხეთი" მთელი 90 წუთის განმავლობაში აკონტროლებდა თამაშს. სტუმართა მეკარეც იდგა ოფლგამოუსვლელი. ბოლოს გორელებს გორელმავე მოუღო ბოლო. გაგა ჩიტაიას დარტყმული სოლოლაშვილის კარის ცხრიანში შეფრინდა. ლამაზ გოლს ემოციაც თან ახლდა, რამაც ადგილობრივი ქომაგი გაალიზიანა და... თუმც უსაშველოც არაფერი მომხდარაო, გორელები თავიანთ გასარჩევს ყველაზე უკეთ თავადვე გაარჩევენ.

გაუჭირდა „ვიტ ჯორჯიას". არა, ვეტერინარებმა საბოლოოდ კი მოიგეს, მაგრამ სამ ქულას დიდი ენერგია და ნერვები შეალიეს. არადა, ყველაფრის მოგვარება პირველივე ტაიმში შეიძლებოდა. არაერთი საგოლე მომენტი გაატანეს ქარს კოტრიკაძის ბიჭებმა, მერე უცაბედად სტუმარმა ივეჩიანმა გამოყო ფეხი და ისეთი გაისროლა, რომ ბურთი ჭურაძის ბადემღა შეაჩერა.

„ვიტ ჯორჯიამ" მეორე ტაიმში ირგვლივ ცეცხლი დაანთო. შეწუხდა, მეტოქეც არაერთხელ შეაწუხა და სასურველი შედეგიც მოიმკო. მასპინძლებმა სტუმრების ერთს თავიანთი ორი გოლით ხომ უპასუხეს, სამჯერ ამდენიც ტრადიციულად ქარს გაატანეს.

ახლა ვიტელები მეტად ძნელი და საპასუხისმგებლო სამმატჩიანი მარათონისთვის ემზადებიან და ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

ბოლნისში „სიონმა" მეტად უნიათოდ ითამაშა. ისე უხეიროდ, რომ გუნდის ყველაზე ერთგული ქომაგი ალა სულ ფურთხებ-ფურთხებით წავიდა სტადიონიდან. მართალია, „სიონი" მეორე ტაიმში დაწინაურდა, მაგრამ „ბათუმს" ჯერ გათანაბრება, მერე კი გამარჯვების გოლის გატანა არ გასჭირვებია.

„ბათუმმა" და კარნევალიმ სამი ქულა წაიყოლეს და ახლა წინწასულთა დაწევასაც შეეცდებიან. მართალია, ძალიან ძნელი ამოცანის გადაწყვეტა მოუწევთ ბათუმელებს, მაგრამ შანსი არის და არა მგონია, კარნევალიმ რამე უბრძოლველად დათმოს.

„ბ" ზონაში თსუ-მ „არსენალს" „თბილისიც" მიაყოლა. სწორედ სტუდენტებმა გააფორმეს ოფიციალურად მათი ჯგუფიდან გავარდნა. თსუ სამი ქულის მოპოვებით გვარიანად მოფერიანდა, მაგრამ არა იმდენად, რომ თავი სამშვიდობოს დაიგულოს.

რუსთავში „გორდამ" ყველასთვის მოულოდნელად „სამგურალთან" წააგო და მდგომარეობაც სერიოზულად გაირთულა. აყალმაყალი და დავიდარაბა არც იმ თამაშს მოჰკლებია. ჯერჯერობით დღესაც არ გარჩეულა მტყუან-მართალი.

მსაჯები, უფრო სწორად ოთარ გუნთაძე ცემას კი გადაურჩა, მაგრამ გვარიანი შიში რომ ჭამა, ფაქტია. როგორც „ეროვნულზე", ასევე „ფოლადზეც" მზის ჩასვლას და დროის გასვლას ელოდნენ, რათა მსაჯები შინ უხიფათოდ გაესტუმრებინათ.

გუნთაძემ მასპინძლებს პენალტი არ მისცა და ფეხბურთელიც გაუძევა, ამან გააბოროტა მასპინძელი ფეხბურთელები. მატჩის ინსპექტორი ნიკა ამირეჯიბი და მსაჯები საპირისპიროს ამტკიცებენ, თერთმეტმეტრიანი სამართლიანად არ დაინიშნა, ბურნაძეც გასაგდები იყოო.

იმედია, ფეხბურთის ფედერაცია კიდევ ერთხელ დაუბრუნდება მეთერთმეტე ტურში მომხდარ ყველა ინციდენტს და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს, არადა...

ისე, საკითხავია, რა ჰქვია იმას, როცა მასპინძელი თავისას ცდილობს, მსაჯი თავისას, ხოლო სტუმარიც სათავისოდ „ჩალიჩობს"? ვფიქრობ, ეს არ არის ფეხბურთი.

მაინც არა გვგონია, იმას, რაც საქართველოს სტადიონებზე ხდება, საბოლოოდ თავისი, მართალი სახელი ეწოდოს, რადგან თითქმის არავინ მოჭრის იმ ტოტს, რომელზეც ხანგრძლივად და მეტად მყარადაა მოკალათებული. მით უმეტეს, როცა ხეს ძალიან მაღის ალმძვრელი ნუგბარი ასხია.

ავჭალაში „მერანი" ხობელთა მეკარეს, ორიოდ მცველს და თავისი სტადიონის კართა ძელ-ხარიხებს ეწინააღმდეგებოდა და ბოლოს როგორც იქნა, გაიმარჯვა. სასწაულებს სჩადიოდა ნიქაბერიძე, მეტად თავდადებული იყო ზურაბ აიანადი და ძელ-ხარიხებიც საკმაოდ მყარი ჰქონია „სინათლის" სტადიონს.

მეკარესთან პირისპირო, პენალტიო, შორეული დარტყმაო, სტუმართათვის კაცის დაკლებაო. ყველაფერმა ამან კინაღამ ვერ უშველა „მერანს" და რომ არა დავითაშვილის ცაცია, „ხობი" მისთვის არაფრისმომტან ქულას შინ გაიყოლებდა.

თბილისური „ლოკომოტივი", ცალი ფეხით უკვე უეფას თასზე სათამაშოდ რომ გამზადებულა, შაბათს ავლაბრის სტუმარი იყო და გამარჯვებულიც დარჩა.

რევაზ ძოძუაშვილი კი თავისი შეგირდების თამაშს სხვადასხვა კუთხიდან სწავლობს. აკვირდება ზევიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდანაც. შაბათს ბატონი რეზო ყველგან იყო, მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე ვერ იპოვიდით.

„ლოკომოტივს" რაღა ენაღვლება, მთავარია „ტორპედო" ჩემპიონი გახდეს და ევროსარბიელიც გარანტირებულია. არადა, თუ სასწაული მოხდა, თასის მოგება მოუწევს და სწორედ ამისთვის ემზადება ძოძუაშვილი.

მეთერთმეტე ტური აშკარად სტუმრებისა იყო. მათ ხუთი მატჩი მოიგეს, ერთში ფრე გაახერხეს და მხოლოდ ორში დამარცხდნენ. ბურთების შეფარდებაც 6:13-თან მათ უპირატესობაზე მეტყველებს.

...და ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ჩემპიონატის ბოლო სამ ტურში გელოდებათ.

**მამუკა ძვანტალიანი**



ნუგზარ კიკილაშვილის ფოტო

გაწევ-გამოწევა მსაჯებზე: ოთარ გუნთაძეზე რუსთავში და...



...კახაბერ მესხზე თბილისში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი მეორე ეტაპი

# 11 ტური

## „ა“ ზონის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 11 |
| მატჩი | 44 |
| გოლი | 108 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,45 |
| მასპინძელთა მოგება | 22 (50%) |
| ფრეები | 11 (25%) |
| სტუმართა მოგება | 11 (25%) |
| საერთო დასწრება | 125 500 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 2 852 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | IV,V: 15 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | II: 100 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 57 | 14,25 |
| სტუმარი | 49 | 12,25 |
| სულ | 106 | 26,50 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 19 | 4,75 |
| სტუმარი | 15 | 3,75 |
| სულ | 34 | 8,50 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 30 | 7,50 |
| სტუმარი | 27 | 6,75 |
| სულ | 57 | 14,25 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 26 | 6,50 |
| სტუმარი | 29 | 7,25 |
| სულ | 55 | 13,75 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 11 | 2,75 |
| სტუმარი | 24 | 6,00 |
| სულ | 35 | 8,75 |

*სემ - საშუალოდ ერთ მატჩში*

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 49 | 12,25 |
| სტუმარი | 60 | 15,00 |
| სულ | 109 | 27,25 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 19 | 4,75 |
| სტუმარი | 16 | 4,00 |
| სულ | 35 | 8,75 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 29 | 7,25 |
| სტუმარი | 16 | 4,00 |
| სულ | 45 | 11,25 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 28 | 7,00 |
| სტუმარი | 15 | 3,75 |
| სულ | 43 | 10,75 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 19 | 4,75 |
| სტუმარი | 24 | 6,00 |
| სულ | 43 | 10,75 |

*სემ - საშუალოდ ერთ მატჩში*

## „ბ“ ზონის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 11 |
| მატჩი | 44 |
| გოლი | 105 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,39 |
| მასპინძელთა მოგება | 24 (54%) |
| ფრეები | 6 (14%) |
| სტუმართა მოგება | 14 (32%) |
| საერთო დასწრება | 27 400 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 622 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | III,VII: 2 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | I,VII,IX,X: 100 |

### დინამო 1:1 ტორპედო

| | | |
|---|---|---|
| 13 | დაჯარიმდა | 10 |
| 3 | კუთხური | 1 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 4 | კარში დარტყმა | 3 |
| 2 | თამაშგარე | 8 |

### ვიტ ჯორჯია 2:1 იბერია

| | | |
|---|---|---|
| 12 | დაჯარიმდა | 11 |
| 13 | კუთხური | 1 |
| 13 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 15 | კარში დარტყმა | 2 |
| 3 | თამაშგარე | 4 |

### სიონი 1:2 ბათუმი

| | | |
|---|---|---|
| 14 | დაჯარიმდა | 13 |
| 3 | კუთხური | 6 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 8 |
| 3 | კარში დარტყმა | 15 |
| 1 | თამაშგარე | 6 |

### დილა 0:2 კოლხეთი

| | | |
|---|---|---|
| 18 | დაჯარიმდა | 15 |
| 0 | კუთხური | 7 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 11 |
| 4 | კარში დარტყმა | 9 |
| 5 | თამაშგარე | 6 |

### თბილისი 0:4 თსუ

| | | |
|---|---|---|
| 6 | დაჯარიმდა | 14 |
| 5 | კუთხური | 9 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 5 | კარში დარტყმა | 8 |
| 5 | თამაშგარე | 7 |

### არსენალი 0:1 ლოკომოტივი

| | | |
|---|---|---|
| 16 | დაჯარიმდა | 9 |
| 2 | კუთხური | 5 |
| 1 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 3 | კარში დარტყმა | 4 |
| 5 | თამაშგარე | 9 |

### გორდა 1:2 სამგურალი

| | | |
|---|---|---|
| 13 | დაჯარიმდა | 24 |
| 2 | კუთხური | 2 |
| 12 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 6 | კარში დარტყმა | 3 |
| 2 | თამაშგარე | 7 |

### მერანი 1:0 ხობი

| | | |
|---|---|---|
| 17 | დაჯარიმდა | 13 |
| 10 | კუთხური | 0 |
| 12 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 14 | კარში დარტყმა | 0 |
| 7 | თამაშგარე | 1 |

## სიმბოლური ნაკრები

კახა წუწუნავა *თსუ*
მიხეილ ბოზოხიძე *ტორპედო*
ელდარ გვასალია *კოლხეთი*
დავით დათუაძე *დინამო*
ლაშა ნოზაძე *ვიტ ჯორჯია*
დავით ხუჭუა *კოლხეთი*
სევასტი თოდუა *ვიტ ჯორჯია*
გივი დიდავა *დინამო*
ვალერი ტორჩინავა *კოლხეთი*
ზურაბ აიანადი *ხობი*
მამუკა ნიქაბერიძე *ხობი*

გუნდი: კოლხეთი

მწვრთნელი: გია ტყებუჩავა *კოლხეთი*

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 11 | 6 | 3 | 2 | 27:10 | 17 | 39 | 5 | 4 | 1 | 0 | 16:2 | 14 | 13 | 6 | 2 | 2 | 2 | 11:8 | 3 | 8 |
| 2 ვიტ ჯორჯია | 11 | 7 | 4 | 0 | 13:5 | 8 | 37 | 6 | 3 | 3 | 0 | 7:4 | 3 | 12 | 5 | 4 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 13 |
| 3 დინამო | 11 | 3 | 8 | 0 | 11:3 | 8 | 34 | 6 | 2 | 4 | 0 | 7:2 | 5 | 10 | 5 | 1 | 4 | 0 | 4:1 | 3 | 7 |
| 4 ბათუმი | 11 | 6 | 2 | 3 | 14:8 | 6 | 33 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:2 | 9 | 10 | 6 | 3 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 10 |
| 5 კოლხეთი | 11 | 5 | 3 | 3 | 15:8 | 7 | 31 | 5 | 4 | 1 | 0 | 11:2 | 9 | 13 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:6 | -2 | 5 |
| 6 სიონი | 11 | 2 | 1 | 8 | 11:24 | -13 | 18 | 6 | 2 | 1 | 3 | 11:11 | 0 | 7 | 5 | 0 | 0 | 5 | 0:13 | -13 | 0 |
| 7 დილა | 11 | 2 | 0 | 9 | 9:23 | -14 | 16 | 6 | 2 | 0 | 4 | 4:8 | -4 | 6 | 5 | 0 | 0 | 5 | 5:15 | -10 | 0 |
| 8 იბერია | 11 | 2 | 1 | 8 | 6:27 | -21 | 16 | 5 | 2 | 0 | 3 | 3:7 | -4 | 6 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:20 | -17 | 1 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 9 მერანი | 11 | 7 | 4 | 0 | 12:2 | 10 | 33 | 6 | 4 | 2 | 0 | 7:0 | 7 | 14 | 5 | 3 | 2 | 0 | 5:2 | 3 | 11 |
| 10 ლოკომოტივი | 11 | 7 | 2 | 2 | 18:3 | 15 | 32 | 5 | 3 | 2 | 0 | 8:1 | 7 | 11 | 6 | 4 | 0 | 2 | 10:2 | 8 | 12 |
| 11 თსუ | 11 | 7 | 0 | 4 | 17:10 | 7 | 29 | 5 | 4 | 0 | 1 | 6:1 | 5 | 12 | 6 | 3 | 0 | 3 | 11:9 | 2 | 9 |
| 12 გორდა | 11 | 6 | 2 | 3 | 18:7 | 11 | 28 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 13 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:4 | 4 | 7 |
| 13 სამგურალი | 11 | 5 | 3 | 3 | 11:7 | 4 | 24 | 5 | 4 | 0 | 1 | 8:3 | 5 | 12 | 6 | 1 | 3 | 2 | 3:4 | -1 | 6 |
| 14 არსენალი | 11 | 3 | 0 | 8 | 11:21 | -10 | 14 | 6 | 3 | 0 | 3 | 10:12 | -2 | 9 | 5 | 0 | 0 | 5 | 1:9 | -8 | 0 |
| 15 თბილისი | 11 | 2 | 1 | 8 | 8:23 | -15 | 14 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | -6 | 4 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:13 | -9 | 3 |
| 16 ხობი | 11 | 1 | 0 | 10 | 10:32 | -22 | 8 | 5 | 1 | 0 | 4 | 6:16 | -10 | 3 | 6 | 0 | 0 | 6 | 4:16 | -12 | 0 |

# «ა» ზონა

თბილისი
13 მაისი
18 საათი
ეროვნული
5 000 (ტევადობა 75 000)

## დინამო 1:1 ტორპედო

0:1 ასათიანი (85), 1:1 ანჩაბაძე (86)
**დინამო:** გრიშიკაშვილი, შაშიაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, გუჩუა, სახვაძე, ნემსაძე (დათუაძე 20), ანჩაბაძე, გ. შენგელია (რუხაძე 73), წიტაიშვილი (არველაძე 55), სიჭინავა
*სათადარიგონი:* ა. ჩიხრაძე; ქემოკლიძე, მონასელიძე, გაბიდაური
**ტორპედო:** ზოიძე, იონანიძე, მახვილაძე, კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი (შეყრილაძე 64), დ. ჯანაშია (ბობოხიძე 75), მეგრელაძე (ასათიანი 57), ჩხეტიანი, თურმანიძე, ახვლედიანი, ხვადაგიანი
*სათადარიგონი:* ჭანტურია; ვაჩიბერაძე, ამისულაშვილი, იმედაძე
**გაფრთხილება:** გოგიაშვილი (5), დიდავა (61)
**გაძევება:** გუჩუა (29)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
**სფფ-ს დელეგატი:** ა. მილჩენკო

მცხეთა
13 მაისი
18 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 2:1 იბერია

0:1 ივეჩიანი (28), 1:1 ლ. ნოზაძე (48), 2:1 ქორიძე (78)
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, თოდუა, კობიაშვილი, საჯაია, ჯ. მუჯირი (დ. დოლიძე 50), ლ. ნოზაძე, კოტორაშვილი (რ. გოცირიძე 87), ზ. გვაზავა, ყიფიანი, ვ. გოჩაშვილი (ი. ხაჭაპურიძე 90), გიორგი ქორიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; მორჩილაძე, დილმელაშვილი
**იბერია:** ჩომახიძე, ბიწაძე, გედენიძე, გეგეშიძე, მიქელთაძე, დ. ნოზაძე, მ. ჯინჭარაძე, კ. ჯანაშია (შ. ონიანი 34), ს. გიგიაძე, ივეჩიანი, მუმლაძე
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; თოდაძე, კბილაშვილი, გ. სვანაძე
**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); გ. ასკაროლლი (ქარელი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

ბოლნისი
13 მაისი
18 საათი
თემურ სტეფანია
600 (ტევადობა 3 000)

## სიონი 1:2 ბათუმი

1:0 ისიანი (53პ), 1:1 ქორიძე (53პ), 1:2 სიდამონიძე (73)
**სიონი:** დალაქიშვილი (ვოლკოვი 46), ვ. მაისურაძე, კ. გოდერძიშვილი, დიმიტრიშვილი, სვანიძე, მ. გოგოლაძე, ბ. შენგელია (კენჭოშვილი 86), ნ. მინდიაშვილი, კ. გოგოლაძე, ისიანი (თ. სამხარაძე 58), მოსეშვილი
*სათადარიგონი:* დ. ჯაფარიძე, მ. სამხარაძე, ფ. არჩვაძე
**ბათუმი:** ჩლაიძე, ზ. არჩვაძე, სიდამონიძე, მ. მახარაძე, შ. ხუჯაძე, კობიძე (თედორაძე 58), ქაცარავა (ღლონტი 70), გელა ქორიძე (მინდაძე 54), ხომერიკი, რომანაძე, აფხაზავა
*სათადარიგონი:* ტოგონიძე; სიხარულიძე, ბახტაძე
**მსაჯები:** მ. მალალურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სოლაგავა (ყველა თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

გორი
13 მაისი
18 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

## დილა 0:2 კოლხეთი

0:1 ღალანიძე (1), 0:2 ჩიტაია (73)
**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, ებანოიძე (ხორგუაშვილი 69), გაგნიძე, ფეზუაშვილი, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, ციცქიშვილი, არუთინიანი, ოლგესაშვილი (კარელიძე 71), სულთანიშვილი
*სათადარიგონი:* მდივანი; მარეხაშვილი, დ. მაისურაძე
**კოლხეთი:** ქვაჩახია, კედელაშვილი, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, ტრაპაიძე, კიკლიაშვილი, ე. გვასალია (ჩიტაია 70), ახალკაცი (ხუჭუა 52), ღალანიძე, შალამბერიძე (პაპავა 76)
*სათადარიგონი:* მ. გვასალია; შავგულიძე, მ. ქობულაძე
**გაფრთხილება:** ციცქიშვილი (2), გოჩაშვილი (10), ხუჭუა (89)
**გაძევება:** ტრაპაიძე (26), აკოფიანი (26)
**მსაჯები:** ს. კახიანი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); თ. ლაცაბიძე (სურამი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

# «ბ» ზონა

მცხეთა
12 მაისი
18 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 0:4 თსუ

0:1, 0:2 წუწუნავა (21, 83), 0:3 ადამია (87), 0:4 წუწუნავა (89)
**თბილისი:** მამალაძე, ყუფარაძე, ჩივაძე, ძაგნიძე, ზვ. ლაბაძე, ი. შენგელია, ბურდული, კოხრეიძე (მანჭარაული 85), დ. ტყებუჩავა, გონჩაროვი (კანდელაკი 55), გადელია (ლოლაძე 46)
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი; სულაქველიძე
**თსუ:** მერლანი (გუგუნავა 44), ბარქაია (თ. ბოკერია 87), ებრალიძე, სვანაძე (ლობჟანიძე 46), ადამია, წუწუნავა, დეკანოსიძე, მაზიაშვილი, ერაძე, კვიციანი, დ. არჩვაძე
*სათადარიგონი:* გ. გოცირიძე, ბ. ნოზაძე, ახალაძე, ქადაგიძე
**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), კ. თბილელი; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

თბილისი
13 მაისი
18 საათი
ისანი
200 (ტევადობა 2 000)

## არსენალი 0:1 ლოკომოტივი

0:1 ჯულელი (68)
**არსენალი:** კუპატაძე, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, ე. ალადაშვილი, ხარებავა, შუკაკიძე, ქოიავა (ჩალაძე 66), სულაძე, ი. კაპანაძე (წონკოლაური 75), კაკაშვილი, ა. ხმალაძე (გ. ტუღუში 69)
*სათადარიგო:* დ. ქაცარავა
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, აბრამიძე, გ. ჩიხრაძე, ლ. მიქაძე, ხიზანიშვილი, კვარაცხელია (გილაური 81), დ. გოდერძიშვილი, რუსია, ჯულელი, ხუროძე (კაციაშვილი 46)
*სათადარიგონი:* ასლანაძე; სალუქვაძე, ლ. ჩხაიძე, რ. ონიანი, ბაქრაძე
**გაფრთხილება:** ირემაშვილი (12), ხუროძე (26)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; ნ. რუსიშვილი, გ. კიკაჩეიშვილი (სამივე ქუთაისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

რუსთავი
13 მაისი
18 საათი
ფოლადი
1 500 (ტევადობა 10 700)

## გორდა 1:2 სამგურალი

0:1 ქუთათელაძე (30), 1:1 ვ. კილასონია (80), 1:2 დარსაძე (87)
**გორდა:** ბედიაშვილი, მჭედლიძე, ბურნაძე, ბექაური, გაბელაია (დ. ბერიძე 53), ვ. კილასონია, მელაძე, გ. კილასონია, მიშველაძე (კიტეიშვილი 72), კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე
*სათადარიგონი:* გონგაძე; პატარიძე, ა. ბუკია, სილაგაძე, ბაჩილავა
**სამგურალი:** სტურუა, ფრანგიშვილი, ჭელიძე, ჩხაბერიძე, დარსაძე, გიორგობიანი, ბერაძე, ბაბუნაშვილი (ჭყონია 85), ხუნდაძე (ნებიერიძე 90), კვერნაძე (ვოსკანოვი 77), ქუთათელაძე
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ფუტკარაძე, გ. გოგოლაძე
**გაფრთხილება:** ფრანგიშვილი (59), ბურნაძე (70), ჩხაბერიძე (74)
**გაძევება:** ბურნაძე (71)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ზ. ჯვარიძე, ზ. დოლიძე; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

თბილისი
13 მაისი
18 საათი
სინათლე
1 000 (ტევადობა 3 000)

## მერანი 1:0 ხობი

1:0 დავითაშვილი (90)
როსტიაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (14, მეკარე)
**მერანი:** ნაჭყეპია, ლ. ამბიძე (დავითაშვილი 46), ცქიფურიშვილი, დევიძე, გ. ილურიძე (ლ. თოლორდავა 73), კობესაშვილი, ხორხელი, კაკაბაძე, ბოლქვაძე (ჭინჭარაული 72), გუჯაბიძე, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ლურსმანაშვილი, ჯიშკარიანი, კოშკაძე
**ხობი:** ნიქაბერიძე, ჯამბურია, ჯიქია, ოდიშარია, ზურაბ აიანადი, ხურცილავა, დ. ჩიტაია, ქაშიბაძე, აბაკელია, ჭიჭინაძე, ვ. ჩიტაია
*სათადარიგონი:* რ. თოლორდავა; მ. ბუკია, ლატარია, ბერაია, მ. ტყებუჩავა
**გაფრთხილება:** აიანადი (18), ამბიძე (23), ბოლქვაძე (26), ცქიფურიშვილი (87)
**გაძევება:** ჯამბურია (14), რ. თოლორდავა (90)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი; ს. შალამბერიძე (ყველა თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი);
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია


კიევის „დინამოს“ სერგეი რებროვიც (მარცხნივ) დაემშვიდობა

# უკრაინელი მამალი
## ტოტენჰემმა რებროვი 5 წლით გადაიბირა

ესეც ასე, ტრანსფერი შედგა: ინგლისურმა „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ კიევის „დინამოსა“ და უკრაინის ეროვნული ნაკრების ფორვარდი სერგეი რებროვი გადაიბირა. „მამლებმა“ გრიგორი სურკისს 11 მილიონი გირვანქა (16.48 მილიონი დოლარი) უნდა ჩაუთვალონ.

რებროვმა „ტოტენჰემთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გუშინ ლონდონში გააფორმა, მას შემდეგ, რაც საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება გაიარა.

## ამხანაგური მატჩები

**ინგლისი — ბრაზილია**
**ინგლისი — უკრაინა**
**ინგლისი — მალტა**

ინგლისის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა კევინ კიგანმა დაასახელა ის 28 ფეხბურთელი, რომლებიც ამხანაგური მატჩებისთვის მოემზადებიან.

ევროპის ჩემპიონატისთვის კი 22 რჩეულს კიგანი 1 ივნისს გამოაცხადებს.

მეკარეები: დევიდ სიმენი (არსენალი), ნაიჯელ მარტინი (ლიდს იუნაიტედი), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩ თაუნი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა);

მცველები: ტონი ადამსი, მარტინ კიოუნი (ორივე არსენალი), სოლ კემპბელი (ტოტენჰემ ჰოთსპური), რიო ფერდინანდი (ვესტ ჰემ იუნაიტედი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), გარი ნევილი, ფილიპ ნევილი (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი);

ნახევარმცველები: დევიდ ბექემი, პოლ სქოულზი (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი), პოლ ინსი (მიდლსბრო), სტივ მაკმანამანი (რეალი, ესპანეთი), კირონ დაიერი (ნიუკასლ იუნაიტედი), ჯეიმი რედნაპი, სტივენ ჯერარდი (ორივე ლივერპული), ჯეისონ უილკოქსი (ლიდს იუნაიტედი), დენის უაიზი (ჩელსი), რეი პარლოუ (არსენალი), ნიკ ბარმბი (ევერტონი);

თავდამსხმელები: ალან შირერი (ნიუკასლ იუნაიტედი), ემილ ჰესკი, რობი ფაულერი, მაიკლ ოუენი (ყველა ლივერპული), კევინ ფილიპსი (სანდერლენდი), ენდი კოული (მანჩესტერ იუნაიტედი)

# კატალონია ბობოქრობს


ნუნიესის დილემა?


„კამპ ნოუ“ „ბარსას“ გაებუტა

## ბარსელონა „ბარსელონას“ წინააღმდეგ

გეხსომებათ, რაც ხდებოდა „კამპ ნოუზე“ „ჩელსისთან“ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩის დროს. მაშინ, 18 აპრილს, 98 ათასი ბარსელონელი ერთხმად ამხნევებდა საყვარელ გუნდს — „ბარსელონას“ უძლეველობისა სჯეროდათ...

10 მაისს იმავე „კამპ ნოუზე“ ისევ ის ბარსელონელი ქომაგები მისულიყვნენ, თუმცა ერთი ცვლილება მაინც შეინიშნებოდა — მათი რწმენა უგზოუკვლოდ გამქრალიყო...

აღარც დაპირებული ესპანეთისა და ჩემპიონთა თასები, ქვეყნის პირველობაზე გამარჯვების მეტად მოკრძალებული შანსი — მოკლედ, აღარაფერი, გალიზიანებული გულშემატკივრების გარდა. ერთად შეკრებილი აღგზნებული ქომაგები კი, მტრისას, სამიოდე მათგანი „ვალენსიასგან“ ძლეული კლუბის პრეზიდენტის ლოჟასთან მიიჭრა და რომ არა პოლიცია...

„ბარსელონას“ ჭარმაგი ბოსი ხოსეპ ლუის ნუნიესი ცხოვრებისგან ნაწრთობი კაცია და მუქარით ძნელად თუ შეშინდება, მაგრამ... „მაისის ბოლოს 22 წელი შესრულდება, რაც „ბარსელონას“ პრეზიდენტი ვარ. ამ ხნის განმავლობაში არაერთი უსიამოვნო წუთის გადატანა მომიხდა. ხან ვის შევტაკებივარ, ხან ვის — ამბობს ნუნიესი — წესით, ჩემი ასაკისა (68 წელი) და მდგომარეობის კაცს აღარაფერი უნდა უკვირდეს, მაგრამ იმან, რაც „ვალენსიასთან“ მატჩის დროს ვნახე, ძალიან გამაოცა — ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ კატალონიელები „კამპ ნოუზე“ „ბარსელონას“ საწინააღმდეგო, შეურაცხმყოფელი შინაარსის ტრანსპარანტებს გამოფენდნენ. რაღა გითხრათ? დავიღალე, აღარ მსურს ამდენი დაუმსახურებელი ლანძღვა-გინების მოსმენა. დაე, გულშემატკივრებმა თავად გააკეთონ არჩევანი — პატივისცემით თუ არ მოგვექცევიან, გადავდგები, ხელებიც დამიბანია“.

წავა ნუნიესი? ამ კითხვაზე პასუხს სავარაუდოდ ივლისში, კლუბის მესვეურთა საერთო კრების შემდეგ შევიტყობთ. თუკი პრეზიდენტის განცხადება ტაქტიკური სვლა არ არის, მის მემკვიდრედ გახდომის ყველაზე დიდი შანსი ხუან გასპარს აქვს.

ხუან გასპარი წლების მანძილზე კლუბის პრესმდივანი გახლდათ, ახლა კი ვიცე-პრეზიდენტია. ხოსეპ ნუნიესის თქმით, ახალი პრეზიდენტის არჩევნებზე ის გასპარს დაუჭერს მხარს. თუმცა, შესაძლოა, ვადამდელი არჩევნები არც ჩატარდეს და გასპარი 2002 წლამდე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნოს (სწორედ იმ დროს უმთავრდება ნუნიესს პრეზიდენტობის ვადა).

აქამდე ლუის ვან გაალი არ გვიხსენებია. არადა, კლუბის ქომაგები თავიანთ უპირველეს მტრად სწორედ მას მიიჩნევენ. მთელი ბარსელონა ერთხმად გაიძახის: „მოგვაშორეთ ვან გაალი!“

ჰოლანდიელი კი თავს არხეინად გრძნობს. მან „ვალენსიასთან“ მატჩის შემდეგ გაოცებით იკითხა, რატომ უნდა გადავდგეო? ახლა კი, ნუნიესის განცხადების შემდეგ, ამბობს: „პრეზიდენტის წასვლა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას მწვრთნელიც უკან უნდა გაჰყვეს. ვინ იქნება კლუბის სათავეში, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს“.

ვან გაალისთვის იქნებ ასეც იყოს, მაგრამ ახალი პრეზიდენტისთვის? მას ხომ ფანთა მხარდაჭერა დასჭირდება. ბარსელონელ მოქალაქეებს კი ლუის ვან გაალი, ფილიპ კოკუს თქმის არ იყოს, მაინც ათვალწუნებული ეყოლებათ, რაგინდ კარგი შედეგი უნდა აჩვენოს მან.

**გიორგი დარჯანია**



**გერმანელი** იუპ ჰაინკესი აცხადებს, რომ ბუნდესნაკრების მწვრთნელობა მისთვის დიდი პატივია. „ჩემს სამწვრთნელო კარიერაში განსაკუთრებული მოვლენა იქნება, თუ გერმანიის ნაკრების თავკაცობას შემომთავაზებენ“ — ამბობს ჰაინკესი. შეგახსენებთ, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა ამას წინათ განაცხადა, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ერიხ რიბეკი ალბათ პოსტს დატოვებს და მის ნაცვლად იუპ ჰაინკესს დავნიშნავთო.

**მექსიკელი მცველი რაფაელ მარკესი გაისად, შესაძლოა მადრიდის „რეალში“ აღმოჩნდეს. სამეფო კლუბი 23 წლის პერსპექტიული ფეხბურთელის გადაბირებას ლამობს და „მონაკოს“ 6,5 მილიონ გირვანქას სთავაზობს. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ გამოკითხვაში მარკესი საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო მცველად დაასახელეს. იგი „მონაკოში“ სეზონის დასაწყისში გადავიდა, მანამდე კი მექსიკურ „ატლასში“ თამაშობდა.**

**გერმანელი** მცველი კრისტიან ვიორნსი დაშავდა და ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს. დორტმუნდის „ბორუსიას“ 28 წლის ფეხბურთელმა ბუნდესლიგის ბოლო ტურში, „შალკეს“ წინააღმდეგ მატჩში, მუხლის მყესები დაიზიანა და ექიმების ცნობით, დაახლოებით 6 კვირას ვარჯიშს ვერ განაახლებს.

**ფრანგ თავდამსხმელ დავიდ ტრეზეგეს კარიერის გაგრძელება ინგლისში ან იტალიაში სურს. „შარშან „მონაკოში“ დავრჩი და საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე, მომავალ სეზონს კი, ალბათ, საზღვარგარეთ დავიწყებ, რამდენიმე ინგლისური და იტალიური კლუბი მიწვევს. ჩემთვის საუკეთესო არჩევანი „მილანია“ — განუცხადა ფეხბურთელმა ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთს. იტალიური გრანდი ტრეზეგეთი ადრეც დაინტერესდა და არ არის გამორიცხული, ზაფხულის ტრანსფერების განახლებისთანავე ფორვარდი მილანში გადაიბიროს.**

**ინგლისის** ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი ალექს ფერგიუსონი ვეტერანი ფორვარდის ტედი შერინგემის შენარჩუნებას ლამობს. ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი ივნისის ბოლოს უსრულდება. „მანჩესტერის“ ხელმძღვანელობამ მას რამდენიმე თვის წინ შეთანხმების გახანგრძლივება შესთავაზა, მაგრამ მაშინ მხარეები რატომღაც ვერ მორიგდნენ. „სერ ალექსთან საუბრით კმაყოფილი დავრჩი, დავრწმუნდი, რომ მას ნამდვილად ვჭირდები“ — განაცხადა შერინგემმა, თავად ფერგიუსონმა კი დასძინა: „ტედი თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს და სხვა კლუბები, ალბათ, მაღალ ხელფასს გადაუხდიან, მაგრამ ვგონებ, ჩვენ მას ხელსაყრელი წინადადება შევთავაზეთ. შერინგემი კარგი ფეხბურთელია და „მანჩესტერში“ უნდა დარჩეს“.

**ფრანგული „ოლიმპიკის“ ნახევარმცველმა სტეფან დალმამ პსჟ-სთან ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა. პარიზულმა კლუბმა მსურველებს 10 მილიონი დოლარი გადაუხადა. 21 წლის ფეხბურთელი გაისად ჩემპიონთა ლიგაში მესამედ იასპარეზებს, წინა სეზონებში იგი „ლანსისა“ და „ოლიმპიკის“ რიგებში ირიცხებოდა და უპირველეს ევროპულ საკლუბო ტურნირში თამაში ორჯერ უკვე მოასწრო. „მილანის „ინტერი“ და მადრიდის „რეალი“ მიწვევდნენ, მაგრამ სამშობლოში დარჩენა ვამჯობინე“ — თქვა დალმამ. პსჟ-ს პრეზიდენტი ლორან პერპერი ფეხბურთელზე დიდ იმედებს ამყარებს: „დალმა ჯერ 21 წლისაა და უკვე ერთობ გამოცდილია. მჯერა, რომ იგი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახდება“.**

**ფრანგი** ოლივიე დაკური პრემიერლიგაში დაბრუნდა — 25 წლის ფეხბურთელი „ლიდს იუნაიტედში“ ჩაირიცხა. ინგლისური კლუბის თავმჯდომარის, პიტერ რიდსდეილის ცნობით, მათ ფეხბურთელი 7,3 მილიონი გირვანქის (11 მილიონი დოლარი) საფასურად შეიძინეს. „ოლივიე დაკურმა „ლიდსთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა“ — აცხადებს რიდსდეილი. ფრანგი ფეხბურთელი „ლანსში“ შარშან 6,5 მილიონ გირვანქად „ევერტონიდან“ გადავიდა და წლეულს ფრანგული კლუბის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

**ბრაზილიელ ფორვარდ ჟუნინიოს ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, დარჩეს თუ არა „მიდლსბროში“. „ინგლისურ კლუბთან კონტრაქტი ივნისის ბოლოს მისრულდება, მანამდე რაიმე უნდა გადავწყვიტო. „მიდლსბროში“ მადრიდის „ატლეტიკოდან“ განათხოვრებით ვთამაშობ. გავიგე, რომ ბრაიან რობსონი ესპანური კლუბის ხელმძღვანელებთან შეხვედრას აპირებს. თავად ძლიერ გუნდში ასპარეზობა და რაიმე ტიტულის მოგება მსურს“ — აცხადებს სამხრეთამერიკელი. ესპანური პრესა არ გამორიცხავს, რომ ბრაზილიელმა ფეხბურთელმა პრიმერადივიზიონიდან გავარდნილი „ატლეტიკო“ საბოლოოდ დატოვოს, „მიდლსბროში“ არ დაბრუნდეს და სხვა ევროპულ კლუბში გადაბარგდეს.**

**იტალიის** ნაკრების ერთ-ერთი მეკარე ანჯელო პერუცი „სკუადრა აძურას“ ძირითად შემადგენლობაში თითქმის ველარ ხვდება და მთავარ მწვრთნელ დინო ძოფით უკმაყოფილოა. „ინტერის“ საინფორმაციო არხების ცნობით, გოლკიპერს ურჩევნია, სანაკრებო კარიერა დაასრულოს, ვიდრე ახალგაზრდა ჯანლუიჯი ბუფონისა და ფრანჩესკო ტოლდოს შემყურემ თითქმის ყველა მატჩი სათადარიგოთა სკამზე გაატაროს. ჯერჯერობით უცნობია, აპირებს თუ არა „იუვენტუსის“ ყოფილი და „ინტერის“ ამჟამინდელი კარის დარაჯი ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებას.

**ესპანელი ფორვარდის ფერნანდო მორიენტესის გადაბირებას „რომა“ ცდილობს. მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი ამჟამად დაშავებულია და გაურკვეველია, შეძლებს თუ არა მომავალ კვირას ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ვალენსიას“ წინააღმდეგ თამაშს. სამეფო კლუბს „რომას“ წინადადებაზე არაფერი განუცხადებია, იტალიურმა სააგენტომ კი, რომელმაც ეს ინფორმაცია გაავრცელა, სატრანსფერო თანხა არ დააკონკრეტა.**

**იტალიელი** მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი „ფიორენტინაში“ დარჩენას მომავალ სეზონშიც აპირებს. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგაში წარუმატებელი ასპარეზობის შემდეგ გამოცდილმა სპეციალისტმა მარტში ფლორენციული კლუბიდან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ პრეზიდენტი ვიტორიო ჩეკი გორი ტრაპატონის ენდო და მას თანამდებობა შეუნარჩუნა. სერია A-ს ბოლო ტურები „ფიორენტინამ“ წარმატებით ჩაატარა, საბოლოო ცხრილში მერვე ადგილი დაიკავა და გაისად უეფას თასზე ითამაშებს.

**ალბანეთში სისხლიანი ტრაგედია დატრიალდა. საფეხბურთო კლუბ „ტომორი ბასატის“ პრეზიდენტი ადრიან კობო და ერთ-ერთი მსაჯი ლუან ზილკო ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. კობო არბიტრთან ერთად ყავას მიირთმევდა, როცა ბოროტმოქმედებმა დაცხრილეს. ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშის ცნობით, კრიმინალს ფეხბურთთან კავშირი არ აქვს, მსაჯი და კლუბის პრეზიდენტი სრულიად შემთხვევით იმყოფებოდნენ ერთად. ფედერაციის გადაწყვეტილებით, დაღუპულთა პატივსაცემად მომავალ კვირას დაგეგმილი ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები არ ჩატარდება.**

**ნორვეგიის** ნაკრებს ევროპის ჩემპიონატისთვის ორი წამყვანი ფეხბურთელი გამოაკლდა. „ტრავმის გამო ბელგია-ჰოლანდიაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი რონი იონსენი და „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ნახევარმცველი ოივინდ ლეონარდსენი არ გვეყოლებიან, სამწუხაროა, მაგრამ რას ვიზამთ“ — განაცხადა გუშინ ნილს იოჰან სემბმა, ნორვეგიელთა მწვრთნელმა. იონსენი, რომელიც კარგა ხანია ტრავმირებული იყო, ახლახან გამოჯანმრთელდა, თუმცა „მანიუს“ ბოლო ვარჯიშზე ისევ დაშავდა, რაც შეეხება ლეონარდსენს, მან პრემიერლიგის ბოლო ტურში კოჭი დაიზიანა.

ბელგია **EURO 2000** ჰოლანდია

# წარმოგიდგენთ მონაწილეებს

Carlsberg FUJIFILM JVC McDonald's PlayStation PRINGLES Coca-Cola HYUNDAI MasterCard PHILIPS PSINet sportal.com

B ჯგუფს სხვებთან შედარებით ოდნავ სუსტად მიიჩნევენ. თუმცა ვინ იცის, ეგებ ევროპის მომავალი ჩემპიონი სწორედ ამ ოთხეულში იმალება. სხვა თუ არაფერი, იტალია და თანამასპინძელი ბელგია განა ვინმეს რამეს დაუთმობენ?

10 ივნისს ბრიუსელში, მეფე ბოდუენის სტადიონზე ევრო 2000-ს სწორედ B ჯგუფი გახსნის. პირველ მატჩში ბელგია შვედეთს უმასპინძლებს.

ჯგუფის ფავორიტი, ცხადია იტალიაა. თუმცა, მათი მრავლისმნახველი მწვრთნელი დინო ძოფი ფრთხილობს: „ერთ მეტოქესაც ვერ ჩავთვლი სუსტად. ხომ გახსოვთ, თურქულმა „გალათასარაიმ" ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში „მილანს" აჯობა, ხოლო უეფას თასზე „ბოლონიას" სძლია. ყველა შეხვედრას უკიდურესად სერიოზულად მივუდგებით და არ დავივიწყებთ, რომ ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე 16 უძლიერესი გუნდი ასპარეზობს".

„ახლა დიდებული გუნდი გვყავს და არავისი გვეშინია. ევროპის საუკეთესო ნაკრებები დაგვიმარცხებია და დაე მათ ეშინოდეთ ჩვენი. მთავარია, დამქანცველი სეზონის შემდეგ ფეხბურთელებს დაღლილობა მოვუხსნა. გვფარავდეს ალაჰი!" ეს, ცხადია, თურქთა მწვრთნელის მუსტაფა დენიზლის სიტყვებია. თურქები მეორედ მოხვდნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და ბელგია-ჰოლანდიაში წინა ტურნირში ნაჭამი სირცხვილის ჩამორეცხვას შეეცდებიან. ინგლისში, ევრო 96-ზე მათ ჯგუფში სამივე თამაში ისე წააგეს, გოლიც არ გაუტანიათ...

ბელგიელები კი, ბოლო დროს მომძლავრებული თავიანთი ეროვნული გუნდისგან ლამის ევროპის ჩემპიონობას ითხოვენ. დიდი შანსია, დღევანდელი კრებსი, ნაკრების მთავარი მწვრთნელი რობერ ვასეჟი ცოტა ხანში ბელგიელი ხალხის მტრად გამოაცხადონ. თუ, ცხადია, ბელგიელები ვერ ივარგებენ. თუმცა, ტურნირიც იმიტომ არის საინტერესო, რომ წინასწარ ვერავინ ვერაფერს განჭვრეტს...

## B ჯგუფი

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 ივნისი | ბრიუსელი | ბელგია — შვედეთი | 23.45 * |
| 11 ივნისი | არნემი | თურქეთი — იტალია | 17.30 |
| 14 ივნისი | ბრიუსელი | იტალია — ბელგია | 23.45 |
| 15 ივნისი | ეინდჰოვენი | შვედეთი — თურქეთი | 23.45 |
| 19 ივნისი | ბრიუსელი | თურქეთი — ბელგია | 23.45 |
| | ეინდჰოვენი | იტალია — შვედეთი | 23.45 |

* დრო თბილისისაა



ვინ ვის? თანაჯგუფელი მწვრთნელები: ბელგიელი რობერ ვასეჟი, თურქი მუსტაფა დენიზლი, ვინ ვის? შვედი ტომი სოდერბერგი და იტალიელი დინო ძოფი



## ბელგია

ბელგიის ფეხბურთის ასოციაცია დაარსდა 1895 წელს
პრეზიდენტი: მიშელ დოვი
გენერალური მდივანი: ალენ კურტუა
თამაშებს ატარებს ბრიუსელში, „მეფე ბოდუინზე" (ტევადობა 40 000)
ეროვნული ნაკრების მწვრთნელი: რობერ ვასეჟი
კაპიტანი: ლორენცო სტალენსი
ქვეყნის უძლიერესი კლუბები: ანდერლეხტი (ბრიუსელი), ბრიუგე, სტანდარდი (ლიეჟი), გენკი, გენტი, ანტვერპენი, მეხელენი
მსოფლიოს ჩემპიონი: არ ყოფილა
ფინალისტი: არ ყოფილა
ევროპის ჩემპიონი: არ ყოფილა
ფინალისტი (1): 1980
საუკეთესო მიღწევა: 1986 წლის მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაიკავა მეოთხე ადგილი



## შვედეთი

შვედეთის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1904 წელს
პრეზიდენტი: ლარს-აკე ლაგრელი
გენერალური მდივანი: ლარს-კრისტერ ოლსონი
თამაშებს ატარებს სტოკჰოლმში, „რასუნდაზე" (ტევადობა 36 000)
ეროვნული ნაკრების მწვრთნელი: ტომი სოდერბერგი
კაპიტანი: სტეფან შვარცი
ქვეყნის უძლიერესი კლუბები: გეოტებორგი, აიკ (სტოკჰოლმი), მალმიო, ნორჩიოპინგი, ჰელსინგბორგი, იორგრიტე
მსოფლიოს ჩემპიონი: არ ყოფილა
ფინალისტი (1): 1958
1950 წლის ბრაზილიის და 1994 წლის აშშ-ის მსოფლიოს ჩემპიონატებზე დაიკავა მესამე ადგილი
ევროპის ჩემპიონი: არ ყოფილა
ფინალისტი: არ ყოფილა
საუკეთესო მიღწევა: 1992 წლის შვედეთის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტი



## თურქეთი

თურქეთის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1923 წელს
პრეზიდენტი: ჰალუკ ულუსოი
გენერალური მდივანი: უფუკ ოზერთუნი
თამაშებს ატარებს სტამბოლში, „ალი სამი იენიზე" (ტევადობა 40 000)
ეროვნული ნაკრების მწვრთნელი: მუსტაფა დენიზლი
კაპიტანი: ოგიუნ თემიზქანოღლუ
ქვეყნის უძლიერესი კლუბები: გალათასარაი (სტამბოლი), ფენერბაჰჩე (სტამბოლი), ბეშიქთაში (სტამბოლი), ტრაბზონსფორი (ტრაპიზონი)
საუკეთესო მიღწევა: მონაწილეობდა 1954 წლის შვეიცარიის მსოფლიოსა და 1996 წლის ინგლისის ევროპის ჩემპიონატებზე



## იტალია

იტალიის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1898 წელს
პრეზიდენტი: ლუჩანო ნიცოლა
გენერალური მდივანი: ჯილბერტო პეტრონზიო
თამაშებს ატარებს ბარიში, „სან ნიკოლაზე" (ტევადობა 58 270), პერუჯაში, „რენატო კურიზე" (ტევადობა 27 900), სალერნოში, „არეკიზე" (ტევადობა 37 894), ნეაპოლში, „სან პაოლოზე" (ტევადობა 75 000)
ეროვნული ნაკრების მწვრთნელი: დინო ძოფი
კაპიტანი: პაოლო მალდინი
ქვეყნის უძლიერესი კლუბები: იუვენტუსი (ტურინი), მილანი, ინტერი (მილანი), ლაციო (რომი), პარმა, რომა (რომი), ფიორენტინა (ფლორენცია), ბოლონია
მსოფლიოს ჩემპიონი (3): 1934, 1938, 1982
ფინალისტი (2): 1970, 1994
ევროპის ჩემპიონი (1): 1968
1988 წლის გფრ-ის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალისტი

იტალია

# ძოფის აძურას ძლიერება და სიძნელეები

ამბობენ, იტალიელებს საკუთარი თავისთვის რაიმეს დამტკიცება ისე არასდროს დასჭირვებიათ, როგორც დღესო.

ფეხბურთზეა ლაპარაკი. უფრო ზუსტად, ნაკრებზე.

მართლაც, „სკუადრა აძურას" ბოლო ორი ჩემპიონატია, თვალში საცემი და თავმოყვარეობის საამებელი არაფერი გაუკეთებია: ევრო 96-ზე ჯგუფური ეტაპიდან გამოეთიშა შეჯიბრებას, მსოფლიოს 98 წლის ჩემპიონატზე კი მხოლოდ მეოთხედფინალამდე მივიდა.

კაცმა რომ თქვას, ამ სეზონში არც კლუბებს გაუმართლათ. მართალია, იტალიელებს სწამთ, რომ მათი სერია A მსოფლიოში საუკეთესოა, მაგრამ უეფას თასზე მეოთხედფინალშიც კი ვერ გავიდნენ, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში ხსენებულ ეტაპს მხოლოდ „ლაციომ" მიაღწია და ისიც „ვალენსიასთან" გავარდა. ასეთი საშინელება აპენინებზე ათ წელიწადზე მეტია არ დამართნიათ.

რა უნდა მოხდეს ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად? კითხულობდა ერთი ხნის წინ მილანური გაზეთი „გაძეტა დელო სპორტი". ამ კითხვაზე პასუხი ბევრმა ცნობილმა მოღვაწემ გასცა და როგორც გაირკვა, მათ უმეტესობას გამოსავლად ევროპის ჩემპიონატზე „სკუადრა აძურას" კარგი გამოსვლა მიაჩნია.

როგორც ჩანს, ხსნა ერთია — ემოციური ვულკანი, ახალი ინტერესი, საკუთარი თავის რწმენა.





კრისტიან ვიერი დაღლილი არ იქნება და დინო ძოფსაც სხვებზე მეტად, ალბათ, მისი ეიმედება

### ძოფი, რომელიც თავს იცავს

-აბა, გაგონილა ყოფილი მეკარე მწვრთნელი გამხდარიყო და გუნდის მშენებლობის ამოსავალ წერტილად დაცვა არ მიეჩნია?

1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი დინო ძოფიც ასეა — 20 თვეა, რაც „სკუადრა აძურას" მწყემსავს და ამ ხნის განმავლობაში, ძირითადად დაცვით ვარიანტებს ამუშავებს. შედეგიც შესაბამისი მიიღო: იტალიის ეროვნულ გუნდში ყველაზე ძლიერი რგოლი დაცვაა.

„ლაციოს" კაპიტანმა, ალესანდრო ნესტამ და პარმელმა ფაბიო კანავარომ ორი წლის წინ, მსოფლიოს 1998 წლის პირველობაზე, ერთმანეთის ყაიდას ისე აუღეს ალღო, რომ დღეს ბევრი მსოფლიოს ყველაზე შეუვალ წყვილად მიიჩნევს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მათ უკან „ფიორენტინას" გოლკიპერი ფრანჩესკო ტოლდო ან „პარმას" მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი იდგება, იტალიელთა კარში ბურთის შეგდება ძნელი წარმოსადგენი ხდება.

მარჯვენა ფრთას ან იუვენტუსელი ჯანლუკა პესოტო ანაც „ინტერის" კრისტიან პანუჩი გაამაგრებს, ხოლო მარცხნივ პრობლემა მითუფრო არ არსებობს, რადგან იქ ისეთი კაცი დგას, თავად ძოფს რომ ეუბნება შენ ჩადი, მე უნდა გავანათოო. მისი სახელია:

### პაოლო მალდინი სინიორ 104

„სკუადრა აძურას" ფეხბურთელებს შორის ერთადერთი, ვინც ვარსკვლავი მწვრთნელის დაპყრობილ სიმაღლეებს ეტოლება, გუნდის კაპიტანი პაოლო მალდინი გახლავთ. „მილანის" მცველს ეროვნულ გუნდში 104 თამაში აქვს ჩატარებული — რაღა დარჩა ძოფის რეკორდამდე, რომელიც 112-ის ტოლია?

მალდინი ევროპის ჩემპიონატის დღეებში 32 წლისა გახდება, მაგრამ თამაშისთვის თავის დანებებას რომ აპირებდეს, არაფერი ეტყობა.

წარსული დროების ვარსკვლავის, ჩეზარე მალდინის ვაჟმა მაისურა — აძურა პირველად 1988 წლის 31 მარტს იუგოსლავიელებთან ამხანაგური მატჩის დროს მოირგო და მას მერე ქვეყნის უპირველესი პროფესიონალთაგანია. ამასწინათ, ესპანეთში, საკონტროლო შეხვედრაში, 0:2 დამარცხების მიუხედავად, იგი საუკეთესო იტალიელად აღიარეს და უწინასწარმეტყველეს (თავადაც დაადასტურა), რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატმდე მის ბრწყინვალე კარიერას, წესით, ჩრდილი არ უნდა მიადგეს.

ამბობდნენ ევრო 2000-ის დასრულების შემდეგ მალდინი ჯანლუკა ვიალისთან „ჩელსიში" გადავაო, მაგრამ კაპიტანმა სახალხოდ უარჰყო ეს ხმები და „შავ-წითლებს" ერთგულება დაუსაბუთა.

„პაოლო ჩემზე გაცილებით ძლიერია" — თქვა მამამისმა ჯერ კიდევ 1985 წლის იანვარში, როდესაც თავისი 16 წლის ვაჟის დებიუტი იხილა — „იგი ორივე ფეხს მარჯვედ ხმარობს, მე კი „ცალფეხა" გახლდით. გარდა ამისა, 16 წლისა მე გაცილებით მოუქნელი ვიყავი".

არადა სინიორ ჩეზარე მალდინი პატარა კაცი როდი გახლდათ. ის იმ „მილანის" კაპიტანი იყო 1963 წელს ჩემპიონთა თასი რომ მოიგო.

მაშინ, 85-ში, პაოლომ სეზონის უმეტესი ნაწილი სათადარიგოთა სკამზე გაატარა და ძირითადად უმცროს ძმასთან, პიერჩეზარესთან ერთად ახალგაზრდულ გუნდში ხარჯავდა ენერგიას, მაგრამ ნიჭმა მაინც მალე გაანგრია ჯებირი და მას მერე მარცხენა მცველი მალდინი იტალიის ექვსგზის ჩემპიონი, ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელი და სხვა აურაცხელ ჯილდოთა მპყრობელი გახდა.

ერთიხანობა, 1996 და 1997 წლებში, როდესაც „მილანს" გაჭირვების ჟამი დაუდგა, საზოგადობის ნაწილმა მალდინი და მისი გამოცდილი თანაგუნდელები, დემეტრიო ალბერტინი და ალესანდრო კოსტაკურტა წარსულად ჩათვალა, მაგრამ საპირისპირო სულ მალე დამტკიცდა: 1999 წელს ალბერტო ძაკერონის ხელმძღვანელობით „მილანმა" ისტორიაში მე-16 ტიტული მოიპოვა და მისი ფეხბურთელებიც იმ ხალხად წარმოჩინდნენ ძნელი დროების გადალახვა რომ ხელეწიფებათ.

ვენესუელელ მოდელზე, ადრიანაზე დაქორწინებულ პაოლოს მალდინების დინასტიის გამგრძელებლად ვაჟიშვილი, კრისტიანი ესახება.

### ნახევარდცვა და თავდასხმა

თავდასხმაში ძოფი კრისტიან ვიერის მძლავრი ფეხბურთის გარდა ყველაზე მეტად, ალბათ, ბოლო დარტყმის ოსტატს, ფილიპო ინძაგის დაეყრდნობა. მართალია, ვიერის ტრავმამ სეზონის დიდი ნაწილი გამოატოვებინა, მაგრამ გაიხსენეთ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე მის მიერ ხუთ თამაშში გატანილი ხუთი გოლი და დაამატეთ ის, რომ ტრავმამ, შესაძლოა დადებითი როლიც ითამაშოს — ვიერი დაღლილი არ იქნება — რის შედეგადაც მარტივ დასკვნას გამოვიტანთ: ვიერი ევრო 2000-ზე აუცილებლად ითამაშებს.

ცხადია, დიდი ძალაა ალესანდრო დელ პიეროც. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში, 98-ში, მას, მაინც და მაინც, არ წაუვიდა საქმე, იგი ვარსკვლავია და, თან, ინძაგისთან ზედმიწევნით შეთამაშებული — „იუვენტუსში" ერთად ლაშქრავენ მეტოქეთა კარებს.

ნახევარდაცვაში კი ძოფს მართლაც ბევრი აქვს საფიქრალი, ეს რგოლი მისი აქილევსის ქუსლია. მწვრთნელმა ბოლო ამხანაგურ მატჩებში ერთხელაც შენიშნა, რომ მოედნის შუაში „სკუადრა აძურა" ძირითადად გრძელ პასებს მიმართავს, ეს კი მას ყველაფერზე მეტად აღიზიანებს.

„ფეხბურთელებმა ბურთი მეტად უნდა გაიჩერონ. მისი შორს გადაგდება გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები. დარჩენილ პერიოდში მახვილს სწორედ ამაზე გა[illegible] — განაცხადა მწვრთნელმა ბოლო ამხანაგური შეხვედრის შემდეგ, რომელშიც იტალიამ პორტუგალიას 2:0 მოუგო.

რაც 1998 წელს ჩეზარე მალდინი შეცვალა, ძოფმა ნახევარდაცვაში უამრავი მოთამაშე გამოსცადა: „მილანელი" ჯენარო გატუზო, იუვენტუსელები ჯონატან ბაკინი და ალესიო ტაკინარდი, ბოლონიელი ჯონატან ბინოტო, ფიორენტინელი სანდრო კოისი, რომაელი დამიანო ტომაზი და უდინელი ჯულიანო ჯანიკედა. სულ ბოლოს ჩამოთვლილთ კვლავ უდინელი სტეფანო ფიორე, პარმელი პაოლო განოლი და იუვენტუსელი ჯანლუკა ძამბროტაც შეემატნენ, მაგრამ გარანტირებული, ჯერჯერობით, არავის არაფერი აქვს.

და ბოლოს, ერთი დიდი იმედი: „რომას" გამთამაშებელი ფრანჩესკო ტოტი, რომელსაც იტალიაში აქა-იქ გენიოსსაც უწოდებენ. ჩვენი აზრით, ეს წოდება მეტისმეტია, მაგრამ ტოტი რომ ევრო 2000-ზე სერიოზულ სიტყვას იტყვის, გვწამს.

### მათთვის, ვისაც დინო ძოფი არ ახსოვს

თუ დინო ძოფს სამწვრთნელო კარიერაც ისეთივე წარმატებული ექნება, როგორც ფეხბურთელისა ჰქონდა, ესე იგი, იტალიის ნაკრები ჰოლანდია — ბელგიიდან ჩემპიონის ტიტულით უნდა დაბრუნდეს. ძოფი ქვეყნის ისტორიაში უდიდეს მეკარედაა აღიარებული.

დღევანდელი მწვრთნელი ფეხბურთს 1961-83 წლებში თამაშობდა. იგი გახლდათ წევრი იმ „სკუადრა აძურასი", რომელმაც 1968 წელს, ისტორიაში ერთადერთხელ, ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. შემდეგ, 1982-ში, 41 წლის „პაპა დინო" ენცო ბეარზოტისეულ ნაკრებში კაპიტნის რანგში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ეროვნულ გუნდში ნათამაშევ 112 შეხვედრაზე ზევით მოგახსენეთ, აქ კი დავძენთ, რომ 1974 წელს ძოფმა „სკუადრა აძურას" კარი 1 143 წუთის განმავლობაში დაულაშქრავად შეინახა ანუ გოლი 12 თამაშსა და ოდნავ მეტში არ გაუშვია.

ძოფის კარიერა საკლუბო დონეზეც ფრიად წარმატებული გახლდათ. მან კარიერა მშობლიურ „უდინეზეში" დაიწყო, რის მერეც „მანტოვა", „ნაპოლი" და „იუვენტუსი" მოიარა. ტურინელთა შემადგენლობაში იგი იტალიის ექვსგზის ჩემპიონი გახდა.

მწვრთნელობა „პაპა დინომ" იტალიის ოლიმპიურ ნაკრებში დაიწყო და გუნდი სეულის, 1988 წლის ოლიმპიადაზე გაიყვანა. შემდეგ, გარკვეული ინტერვალით, „იუვენტუსს" ხელმძღვანელობდა —„იუვემ" მაშინ უეფას თასი მოიპოვა — ხოლო ბოლოს ჯერ „ლაციოს" მწვრთნელი გახდა, ხოლო შემდეგ კლუბის პრეზიდენტი.

„როგორც მწვრთნელი, ძოფი, არიგო საკისა და ჩეზარე მალდინის შორისაა, ოღონდ უფრო მალდინისკენ იხრება. ის ტრადიციების მოყვარული პიროვნებაა, მაგრამ ახალ დროებასთან ადაპტაციის უნარიც ძლიერ აქვს განვითარებული" — ამბობს მისი ოდინდელი შეგირდი „იუვენტუსში", მასიმო მაურო,

### ერთადერთი და გასამეორებელი

ევროპის ჩემპიონატებზე, როგორც მოგახსენეთ, იტალიამ ერთადერთხელ, 1968 წელს გაიმარჯვა. ეს ის პერიოდი გახლდათ, როდესაც ქვეყანაში საკუთარ თავს ეჭვის თვალით უყურებდნენ, რადგან ინგლისში, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, „სკუადრა აძურა" კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ჩატოვა ჯგუფში, საიდანაც კიდევ ერთი კომუნისტური გუნდი, სსრკ-ის ნაკრები გავიდა.

იტალიელთა მაშინდელი მწვრთნელი გახლდათ ფერუჩო ვალკარეჯი, რომელმაც ევრო 68-ის ფინალში, იუგოსლავიის ნაკრების წინააღმდეგ, კორეელთაგან ლაფდასხმული შემადგენლობიდან მხოლოდ ორი კაცი ათამაშა.

ძოფი ვალკარეჯის დარ რეფორმებს არ ატარებს და მაინც, „აძურის" საკუთარი თავისთვის იმდენის დამტკიცება დღეს რომ სჭირდება — ალბათ, 1968 წლის შემდეგ აღარ დასჭირვებია.

**მიხეილ სურგულაძე**



პაოლო მალდინი: რაღა დარჩა ძოფის რეკორდამდე?

ბელგია

# როგორც კარგ ვესტერნში

*...ელგიელები ამბობენ: „ჩვენს ნაკრებს ევროპის ...ჩემპიონობის მოპოვება ძალუძს. გარდა იმისა, ...რომ ტურნირის მასპინძლები ვართ, საამისოდ ...ერთი ფაქტორიც არსებობს სერიოზულ ...მეტოქედ არავინ აღგვიქვამს“.*



რობერ ვასეჟი

...მოდით, ერთი შეხედვით უცნაუ... (თუგინდ სულელური უწოდეთ) კი... ...ვა დავსვათ — აინტერესებთ ბელ... ...ელებს ფეხბურთი (ზოგადად), ევ... ...პის ჩემპიონატი (კონკრეტულად) ... თავიანთი ნაკრები (კიდევ უფრო ...ნკრეტულად)? ამის თაობაზე „სა... ...იელი“ ამ ხუთიოდე თვის წინაც ...რდა. თურმე ერთ-ერთ ბელგიურ გა... ...თს გამოკითხვა მოუწყვია. რესპო... ...ენტებს ერთადერთი კითხვით მიმა... ...თავდნენ — რა არის ევრო 2000? ...უხები ასეთნაირად განაწილდა:

— ბელგიელთა 58 პროცენტი ...ლის, რომ ევრო 2000 ერთიანი ევ... ...პული ვალუტაა.

— 8 პროცენტს ეს ახალი საუკუ... ...ს დადგომასთან დაკავშირებული სა... ...თო ევროპული ფესტივალი ჰგო...

— ევროკავშირის გაფართოების გე... ...ის კოდური სახელწოდება არისო, ...ტკიცებს გამოკითხულთა 2,4 პრო... ...ნტი.

— ისეთებიც იყვნენ, ევრო 2000 ...როვიზიის სიმღერის კონკურსიაო, ...მ თქვეს.

...აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ...დმეტია. თუმცა ბელგიაში არის ხა... ...ხი, ვისაც ფეხბურთი უყვარს. ამავე ...მოკითხვის შედეგების მიხედვით, ისინი ქვეყნის მოსახლეობის 28 პროცენტს შეადგენენ და ბელგიურ ფეხბურთზე გული შესტკივათ.

რაც შეეხება ბელგიურ ფეხბურთს და მის ნაკრებს, ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში „წითელმა ეშმაკებმა“ თერთმეტი ამხანაგური მატჩი გამართეს და მათგან მხოლოდ ორი მოიგეს. იქნებ მეტოქეები ერგოთ უსაშველოდ ძლიერები? არა მგონია. ლუქსემბურგთან ფრეს რომ დასჯერდები, რაღაა სალაპარაკო.

მოკლედ, ცვლილებების განხორციელება გახდა საჭირო. ერთი წელიც არ არის, რაც ბელგიის ფეხბურთის ფედერაცია ამ დასკვნამდე მივიდა და ძველი მწვრთნელი ჟორჟ ლიკენსი გაისტუმრეს. „რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. ბელგიის ჩემპიონატში მოთამაშე საუკეთესო ფეხბურთელები შემოვიკრიბე, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის“ — ამ სიტყვებით დაემშვიდობა ლიკენსი ნაკრებს.

ბელგიის ნაკრების თამაშისას მის სათადარიგოთა სკამზე ჩამომჯდარ უხეშნაკვთებიან, მუდამ მოღიმარ და პირში ვეება სიგარაგარჭობილ სამოციოდე წლის მამაკაცს თუ შენიშნავთ, იცოდეთ, ეს რობერ ვასეჟია, ბელგიელთა ახალი მესაჭე.

ლისაბონის „სპორტინგისა“ და ლიეჟის „სტანდარდის“ ყოფილი თავკაცი ამბობს, ძველი ყაიდის მწვრთნელი ვარო, თუმცა გუნდი კი ახალი შექმნა.

ვასეჟისეული ნაკრების პირველი თამაში და პირველი სენსაცია — 5:5 ჰოლანდიასთან. მერე ბელგია ანადგურებს მაროკოს, იმ დროისთვის უძლიერეს აფრიკულ ნაკრებს — 4:0. ამას მოჰყვა მარცხი ინგლისთან, სანდერლენდში, თუმცა სტუმრები იმ დღეს კუნძულელებს ტოლ-სწორად ეთამაშნენ, საბოლოოდ 1:2. მერე კი იყო იტალია. კარგა ხანია, „სკუადრა ამურას“ ასეთი სირცხვილი არ უჭამია — ლეჩეში „ვიღაც“ ბელგიელებთან 1:3 წააგო. ერთმა ბელგიელმა თქვა: „კარგი ვესტერნი ხომ გინახავთ. სოფელს ყაჩაღები რომ შეესევიან და ამ დროს გორაკზე მაშველთა რაზმი გამოჩნდება, სწორედ მის მეთაურს ჰგავს რობერ ვასეჟი, დროულად მიეშველა ჩვენს ნაკრებს“.

ეს ყველაფერი კარგია. თუმცა გავა დრო და ამხანაგურ მატჩებში მოპოვებულ გამარჯვებებს ყველა დაივიწყებს. მთავარი ევროპის ჩემპიონატია, იქ რას მიაღწევს გუნდი. „ჩვენი ჯგუფი ძალიან ძლიერია. თუმცა, ვფიქრობ, მეოთხედფინალში გასვლას შევძლებთ“ — განაცხადა ვასეჟმა ჰოლანდიასთან ბოლო მატჩის შემდეგ (ეს შეხვედრა 2:2 დასრულდა). „სულ მალე ბელგიის ნაკრები ისეთ დონეს მიაღწევს, რომ ალარავის შიში არ ექნება. აი, მაშინ კი აუტსაიდერებიდან ფავორიტებად ვიქცევით“ — ეს სიტყვები კი რობერ ვასეჟმა 26 აპრილს, ოსლოში, ნორვეგიელთა ძლევის მერე თქვა.

და მაინც, კარგი მწვრთნელი ძალიან ბევრს ნიშნავს, თუმცა მისი გარჯის შედეგი ფეხბურთელებმა უნდა დაგვანახონ.

ბელგიაში მიაჩნიათ — ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებას რომ მიაღწიოს, მარკ ვილმოტსი საუკეთესო ფორმაში უნდა იყოს. გელზენკირხენელები კი, რომლის „შალკე 04“-შიც ვილმოტსი თამაშობს, აცხადებენ, რასაც როი კინი „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ წარმოადგენს, ბელგიელი ჩვენთვის იგივეაო. ეროვნულ ნაკრებში მან ასაკოვანი ენცო შიფოს ადგილი დაიკავა და რაც მთავარია, საქმესაც ჩინებულად ართმევს თავს. ენცო შიფო კი, მოგეხსენებათ, ბოლო ოცწლეულის ყველაზე ცნობილი ბელგიელი ფეხბურთელია.

ვილმოტსზე საუბრისას არ იქნება, ბელგია-ჰოლანდიის ჯერჯერობით ბოლო შეხვედრა არ გავიხსენოთ (მათი მატჩების რაოდენობამ კარგა ხანია, ასს გადააჭარბა). საცოდავი სანახავები იყვნენ ედგარ დავიდსი და კლარენს ზეედორფი, რომლებიც მთელი 90 წუთი ამაოდ ცდილობდნენ მოედნის ცენტრში უპირატესობის მოპოვებას — მარკ ვილმოტსი ელვის სისწრაფით დაჰქროდა მათ ...

ჰო, ელვის გახსენებაზე, გელზენკირხენელმა გულშემატკივრებმა ბელგიელს მეტსახელიც მოუგონეს — „მისტერ ათასი ვოლტი“. ამაზე ვილმოტსი ეშმაკურად იღიმება და ამბობს, ამ სახელს ტყუილად არ მეძახიანო, თუმცა... ის ენერგიის უშრეტი წყარო როდია. კვლავ ფეხბურთელს მოვუსმინოთ: „ნებისმიერ მატჩში დიდებულად შემიძლია ვითამაშო, მაგრამ ჩემპიონატების ამბავიც ხომ მოგეხსენებათ. მეც ადამიანი ვარ, ხანდახან დასვენება მჭირდება“.

სულ ვილმოტს ბელგიის ნაკრებში 45 თამაში ჩაუტარებია და 16 გოლიც გაუტანია. რობერ ვასეჟმა კი მას კაპიტნის სამკლაური უბოძა.

მარკ ვილმოტსის გარდა ბელგიის ნაკრებს სხვა მაღალი კლასის ფეხბურთელებიც ჰყავს. აქ საინტერესო სხვა რამ გახლავთ. გუნდში მისულ ვასეჟს ძირეული ცვლილებები არ მოუხდენია. ფაქტობრივად, იმავე შემადგენლობით იგებს თამაშებს, რომელიც ჟორჟ ლიკენსის ხელში თითქმის მუდამ მარცხდებოდა. ასეთი მაჩვენებელიც არსებობს: ლიკენსის დროს ბელგიელებმა 11 შეხვედრაში მხოლოდ 7 გოლი გაიტანეს, ვასეჟისეულმა გუნდმა კი 7 მატჩში — 18. რა ხდება?

მბო მპენზა: „ვგრძნობთ, რომ ვასეჟი თითოეულ ჩვენთაგანს ენდობა. ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ეს უდიდესი სტიმულია. ჩვენ მინდორზე ერთმანეთისთვის ვთამაშობთ, რაც ასევე ვასეჟმა გვასწავლა. ის დიდი მწვრთნელია“.

მბო მპენზასს სიტყვების დასტურად ასეთი ფაქტის დასახელებაც შეიძლება — ჟილ დე ბილდე და ლუკ ნილისი, რომლებიც ადრე ეროვნულ ნაკრებში თამაშს უარობდნენ, დაბრუნდნენ. მათ გარდა გუნდში არიან მბო მპენზას ძმა ემილი „შალკედან“, დერბელი ბრანკო შტრუპარი, ვესტერლოელი ტონი ბროგნო, ვინაც მიმდინარე სეზონში 23 გოლი გაიტანა და ლიეჟელი მიხაელ გოსენსი. ცხადია, აქ მხოლოდ ზოგიერთი ფეხბურთელი დავასახელეთ, ისინი, ვისი ევროპის ჩემპიონატზე თამაში საბოლოოდ გადაწყვეტილია. დანარჩენთა გვარებსაც მალე შევიტყობთ. გუნდის ღერძი კი ფილიპ დე ვილდე, სტალენსი, ვილმოტსი და შტრუპარი უნდა გახდნენ. სწორედ მათ შეუწყვილებს მწვრთნელი დანარჩენებს.

აქამდე ბელგიის ნაკრების და მისი თავკაცის ღირსებებზე ვისაუბრეთ. ცხადია, ბელგიას სუსტი მხარეებიც აქვს, რის გამოც მის ფავორიტობას ეჭვის თვალით უყურებენ. მათი „აქილევსის ქუსლი“ დაცვაა. ზემოთ ვთქვით, რომ ბელგიელებმა ბოლო 7 მატჩში 18 გოლი გაიტანეს, გაშვებულებზე კი არაფერი გვითქვამს. არადა, მეტოქეებმა თერთმეტჯერ შეძლეს ევროპის კარსმომდგარი ჩემპიონატის თანამასპინძელთა კარის დალაშქვრა. ასე რომ, გუნდში კვლავაც ბევრი რამ არის გამოსასწორებელი, მაგრამ დრო?

**გიორგი დარჯანია**



ჟაკ მუნარონი (მარცხნივ) და ემილ მპენზა: ესეც ვარჯიშია

## ხდება ხოლმე...

1. ყოველი მეორე ბელგიელი ქალი აღიარებს, რომ ბრანკო შტრუპარი მისი ოცნების მამაკაცია.
2. იოჰან ვალემის მამა ფეხბურთის თავგადაკლული გულშემატკივარია და შვილსაც კრუიფის პატივსაცემად დაარქვა იოჰანი.
3. ივს ვანდერჰეგი 18 წლის ასაკში კომაში ჩავარდა. მისი გადარჩენის შანსი მხოლოდ 5 პროცენტია — ამბობდნენ ექიმები. გადარჩა.
4. ბრანკო შტრუპარი ხორვატია, თუმცა ბელგიის მოქალაქედ ყოფნა ამჯობინა.
5. არც ძმები მპენზები გახლავთ ნამდვილი ბელგიელები, მათი მშობლები კონგოელები არიან.
6. ლუკ ნილისს გულშემატკივრები „იღბლიან ლუკს“ ეძახიან.
7. ბელგიის ნაკრები ოდითგანვე „წითელი ეშმაკების“ სახელითაა ცნობილი.
8. ბელგიის ჩემპიონატი ევროპაში ყველაზე უხვგოლიანია.
9. რობერ ვასეჟი ბელგიის ნაკრების პირველი ფრანგულად მოლაპარაკე მწვრთნელია.
10. ნაკრების ახალმა მწვრთნელმა რამდენიმე თვეში ეროვნულ გუნდში ხუთი მეკარის შეცვლა მოახერხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შვედეთი

# ვინ არის მარკუს ოლბოკი?



შვედებს ლიდერი გამოაკლდათ: ჰენრიკ ლარსონი (№10) • ევროპის ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს

სკანდინაველები ევროპის ჩემპიონატზე პირველად ითამაშებენ. ალბათ გაგიკვირდათ, არა? არა, არაფერი შემშლია. უბრალოდ, იმაზე მოგახსენებთ, რომ შვედებმა ევროპის უპირველეს საფეხბურთო ფორუმზე მონაწილეობა ბრძოლით პირველად მოიპოვეს, მათ შესარჩევი ეტაპი გადალახეს. განა ვინმეს დაავიწყდა, რომ რვა წლის წინ სწორედ შვედეთი მასპინძლობდა იმ ჩემპიონატს, რომელშიც დანიამ ევროპის უძლიერესის ტიტული მოიპოვა.

შვედები ჯგუფში ჩემპიონატის ერთ-ერთ მასპინძელთან — ბელგიელებთან, მსოფლიოს სამგზის და ევროპის 1968 წლის ჩემპიონ იტალიელებთან და კერკეტ კაკლად მიჩნეულ თურქებთან ერთად მოხვდნენ. რა შანსი აქვთ შვედებს? „დღეს გუნდი მზადაა, ძველი დიდება გაიხსენოს და ჩინებული, მეტიც, ბრწყინვალე ფეხბურთიც ითამაშოს, თუმცა პრობლემებიც თავზე საყრელი გვაქვს" — ამბობს შვედთა დამრიგებელი ტომი სოდერბერგი. მართლაც სტეფან შვარცი, პონტუს კამარკი, ანდრეას ანდერსონი დაშავებულნი არიან. ამას დაუმატეთ გუნდის უპირობო ლიდერი, სული და გული ჰენრიკ ლარსონი, რომელიც კარგა ხანია, დამტვრეულია და...

ალბათ დამეთანხმებით, მართლაც დიდი პრობლემაა, თუმც შვედები იმედს არ კარგავენ. „რა თქმა უნდა, მათი არყოფნა ჩვენთვის დიდი დანაკლისი იქნება, მაგრამ რას ვიზამთ. ბედს უნდა შევეგუოთ, თუმცა ნაადრევად ნურვინ ჩამოგვწერს" — ისევ სოდერბერგი.

მოსალოდნელია, ასეთ პირობებში გუნდის ლიდერობა პრემიერლიგაში მობურთალმა, ლონდონის „არსენალის" შემტევმა ნახევარმცველმა ფრედერიკ ლიუნგბერგმა იკისროს. ექსტრავაგანტული ვარცხნილობის „მეთოფე" ბელგია-ჰოლანდიაში ისეთივე იქნება, როგორიც 90-იანების დასაწყისში შვედური ფეხბურთის ვარსკვლავი თომას ბროლინი იყო. ლიუნგბერგი ბრწყინვალე ფეხბურთელია, რომელსაც ეფექტური გოლების გატანაც ეხერხება და ნებისმიერი გუნდის დაცვის გარღვევა ძალუძს.

მეორე ფეხბურთელი, რომლის დიდი იმედიც ექნებათ შვედებს ევრო 2000-ზე, ასევე პრემიერლიგელი, „ქოვენთრის" მეკარე მაგნუს ჰედმანი გახლავთ. დღეს უკვე თამამად ამბობენ, რომ შვედეთის ნაკრებს თომას რაველის მერე ჩინებული და საიმედო მეკარე ჰყავს. მაგნუს ჰედმანმა ევრო 2000-ის შესარჩევში ჩატარებულ 8 მატჩში მხოლოდ ერთადერთი ბურთი გაუშვა, რაც, დამეთანხმებით, სოლიდური შედეგია.

ზემოთ პრობლემებზე მოგახსენებდით. შვედებს გარდა იმისა, რომ ოთხი ძლიერი მოთამაშე არ ეყოლებათ, კიდევ ერთ თავსატეხად თავდასხმაში უნიათო თამაში ექცათ.

კვლავაც შესარჩევ მატჩებს მივუბრუნდეთ. 8 თამაშში სკანდინაველებმა 10 ბურთი გაიტანეს.

„რაც ლარსონი დაშავდა, გამოკვეთილი მეგოლე გუნდში არ ჩანს. ბელგია-ჰოლანდიაში თავდასხმაში, ალბათ ლარსონს იტალიური „ბარის" ახალგაზრდა ფორვარდი იკსელ ოსმანოვსკი შეცვლის. მას კი, სავარაუდოდ, ახალბედა მარკუს ოლბოკს შევუწყვილებთ" — აცხადებს ტომი სოდერბერგი.

ვინ არის მარკუს ოლბოკი? იგი შვედეთის გასული წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია 15 გოლით, რომელზეც უკვე ტაციაობაა. მას ინგლისის, იტალიის და ესპანეთის გუნდები აკვირდებიან. სად ითამაშებს სტოკჰოლმის აიკ-ის თავდამსხმელი, ეს ალბათ ევრო 2000-ის ბოლოს გაირკვევა. მის თამაშზე, ცხადია, ზეგავლენას თავად ევროპის ჩემპიონატი მოახდენს. და კენეტ ანდერსონი, „ბოლონიას" თავდამსხმელი?

აყლაყუდა ბოლონიელი, რომელსაც მეორე სართულზე თავით ჩინებული თამაში ეხერხება, არავის დავიწყებია. იგი ბელგია-ჰოლანდიის მინდვრებზე აუცილებლად გამოჩნდება.

ისევ პრობლემები. ტომი სოდერბერგს, შვედეთის ნაკრების მწვრთნელს, სერიოზული უთანხმოება აქვს ბელგიური „ანდერლეხტის" ნახევარმცველ პარ ზეტერბერგთან. მოთამაშე, რომელიც „ანდერლეხტის" რიგებში 5-ჯერ გახდა ბელგიის საუკეთესო ფეხბურთელი, მწვრთნელს ვერ ეგუება: „მე და ტომის განსხვავებული აზრები გვაქვს, თითქმის ყოველთვის უსიამოვნო საუბარი გვიწევს. ვფიქრობ, მის ხელში ნაკრებს ვერ გამოვადგები. ამით იმას ვამბობ, რომ სოდერბერგის ნაკრებში მე არ ვითამაშებ".

ეს უკვე მესამე პრობლემაა. არადა, სკანდინაველებს ურიგო ნაკრები როდი ჰყავთ, მაგრამ...

ახლა კვლავ ჰენრიკ ლარსონზე, შ ტლანდიური „სელტიკის" თავდამ მელზე, რომელმაც ორ სეზონში 7 ზე მეტი გოლი გაიტანა... ლარსო ვარჯიში ახლადა განაახლა. ნაკ ბის ექიმმა ანდრეას ვალენტინმა კიდევ მაშინ, როდესაც იგი მძიმ დაშავდა, თქვა — მკურნალობა სა რაუდოდ 3-5 თვეს გასტანს. სურ ლის მიუხედავად, არა გვგონია, ჰ რიკმა ევრო 2000-ის ფინალურ ეტ პზე ითამაშოს. ამ დროს მას მხოლ ვარჯიში თუ შეეძლებაო.

ლარსონის ტრავმის შესახებ ყ ლამ იცის. უეფას თასის მერვედფ ლში შვედმა ფრანგულ „ლიონთან" ტჩისას ფეხი ორ ადგილზე მოიტ

...1997 წელს ნაკრები სოდერბერ ტომი სვენსონისგან ჩაიბარა. სვენს ნმა 1994 წელს აშშ-ში გუნდი მსო ლიოს ჩემპიონატზე ათამაშა და სა ტიო მესამე ადგილი დაასაკუთრე ნა, ძლიერი ბულგარეთი 4:0 გაან გურა. თუმცა შვედები შემდეგ ვე ევრო 96-ზე გავიდნენ და ვერც 19 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე.

სვენსონის დიდად ეიმედებოდათ, გრამ... ასეა თუ ისე, გუნდი ახალ ზრდული ნაკრების ყოფილმა თავ ცმა ჩაიბარა. სოდერბერგი შვედმა სა რტულმა ჟურნალისტებმა გასუ წლის საუკეთესო მწვრთნელად არეს. მას თავიდანვე ეჭვის თვალ შეჰყურებდნენ, სვენსონის შემდეგ ვის სჯეროდა, რომ შვედები ოდე რაიმე ღირებულს მოახერხებდნენ.

შეძლეს. შვედეთმა შესარჩევის ვლით პირველად მოიპოვა ევრო ჩემპიონატზე თამაშის უფლება, რ სოდერბერგს ნამდვილად ჩაეთვ ბა.

სოდერბერგის ფილოსოფია: „ჩემ პრესტიჟული არაფერს ნიშნავს, მ ვარია, კარგი გუნდი შევქმნა, შენ პროცესში უამრავი ხელისშემშლე ფაქტორია, თუნდაც ერთი თამაშის გდება, მაგრამ მე ყველაფრისთვის მ ვარ".

**გიორგი ვაშაკი**

## თურქეთი

# მწყობრი მარში ევროპისკენ



თურქთა ლაშქარი ევროპისკენ ირაზმება

თურქეთი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მეორედ მიემგზავრება. ოთხი წლის წინანდელმა საკონტინენტო პირველობამ ჩვენს სამხრეთელ მეზობლებს მწარე გამოცდილება შესძინა. თურქთა ტურნე ინგლისის საფეხბურთო მინდვრებზე სრული კრახით დასრულდა, ნაკრები ჯგუფში სამივე მეტოქესთან — პორტუგალიასთან, ხორვატიასთან და დანიასთან დამარცხდა და გოლიც კი არ გაუტანია, ისე დაბრუნდა შინ. მაშინ თურქთა მთავარ გუნდს „გალათასარაის" ამჟამინდელი თავკაცი ფათიჰ თერიმი წვრთნიდა. მან ეს თანამდებობა 1996 წელს დატოვა და საპატიო პოსტი მუსტაფა დენიზლის გადააბარა, ეს სპეციალისტი ნაკრებს დღემდე ავარჯიშებს.

დღევანდელი გადასახედიდან ოთხი წელი ეგებ ბევრი სულაც არ იყოს, მაგრამ ჩვენმა მეზობლებმა ნათლად დაამტკიცეს, რომ ეს დრო ქვეყანაში ფეხბურთის გაფურჩქვნა-განვითარებისთვის მცირე სულაც არ არის და თუ მონდომებ, ბევრს მიაღწევ...

თურქული ფეხბურთის პროგრესმა დღეს მთელი ევროპა აალაპარაკა, ამის მაგალითად ქვეყნის ჩემპიონ „გალათასარაის" უეფას თასის ფინალისტობაც გამოდგება... ივნისში გასამართ უპირველეს ევროპულ ტურნირზე თურქთათვის მათზე გამოცდილ და სახელიან მეტოქეთა წინააღმდეგობა იქნებ სულაც აღარ იყოს დაუძლეველი ბარიერი.

დღევანდელობას თავი დავანებოთ და თურქული ფეხბურთის წარსულს გადავხედოთ.

დაახლოებით ასი წლის წინანდელი თურქული ჩანაწერები გვამცნობს, რომ ამ ქვეყანაში ფეხბურთი პირველად 1895 წელს, ქალაქ იზმირში, იქაურ სტუდენტებს და ბრიტანელ სტუმარ სპორტსმენებს უთამაშიათ. ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ ერთ-ერთი თურქული უმაღლესი სასწავლებლის შეგირდებს გუნდი შეუქმნიათ, რომლისთვისაც „გალათასარაი" დაურქმევიათ. სწორედ ეს გაერთიანება გახლდათ დღევანდელი უეფას თასის ფინალისტის ისტორიული წინამორბედი.

მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულებში თურქეთში საფეხბურთო კლუბები სოკოებივით მომრავლდნენ. „გალათასარაის" გარდა სხვა აწ უკვე ტიტულიანი გუნდებიც — „ფენერბაჰჩე" და „ბეშიქთაში" ჩამოყალიბდნენ. გუნდთა რიცხვის ზრდამ კი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის დაარსების აუცილებლობა წარმოშვა.

ჩემპიონის ბედი 1950 წლამდე პრიმიტიული, რეგიონთაშორისი პირველობებით ირკვეოდა. ჩემპიონატი მხოლოდ 50-იანი წლების ბოლოს დაიხვეწა და პირველი ტიტული „ფენერბაჰჩემ" მოიგო — 1958 წელს. ქვეყნის თასის გათამაშებას 1963 წლიდან ჩაეყარა საფუძველი, ამჯერად „გალათასარაიმ" იმარჯვა.

რადგან ჩვენი საუბრის თემა თურქეთის ნაკრებია, ისიც უნდა ვახსენოთ, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ჩამოყალიბებისთანავე, ანუ 1923 წელს, ეროვნული ნაკრებიც შეიქმნა, მალე კი გუნდის ნათლობაც შედგა. თურქებმა სტამბოლში რუმინელებს უმასპინძლეს და ფრედ 2:2 ითამაშეს.

კვლავ დღევანდელობას დავუბრუნდეთ...

„ნაკრები დღეს ძლიერი და დახვეწილი გუნდია, იგი არავის უფრთხის. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ 1996 წლის ევროპის ჩემპიონატთან შედარებით უკეთეს შედეგს მივაღწევთ" — ირწმუნება ერთ-ერთი ცნობილი თურქი ჟურნალისტი.

თურქული ფეხბურთის წინსვლა ვახსენეთ, რაც ლიტონი სიტყვები როდია. ამ ყველაფერს ქვეყნის კლუბების ბოლოდროინდელი წარმატება ანდაც ევრო 2000-ის შესარჩევ ციკლში თურქთა მიერ გერმანიის ნაკრების დამარცხება ადასტურებს.

ნაკრების ამჟამინდელ მწვრთნელ მუსტაფა დენიზლიზეც ვთქვათ. ეს სპეციალისტი გუნდს მეორედ ხელმძღვანელობს. 1996 წელს პოსტი ფათიჰ თერიმისგან ჩაიბარა. მანამდე კი, პირველად ნაკრებს 80-იან წლებში ედგა სათავეში. ამის შემდეგ „გალათასარაიშიც" იმუშავა.

დენიზლი ფეხბურთზე ფანატიკურად შეყვარებული კაცია. იგი ძალიან მშვიდია, თუმცა, ლმობიერი ხასიათის მიუხედავად, ერთობ მიზანდასახული და მომთხოვნია.

ყურადღების ღირსნი არიან დენიზლის შეგირდებიც. მწვრთნელი მოძრავ და უნივერსალურ ფეხბურთელებს ანიჭებს უპირატესობას, ამგვარი კი თურქეთის ნაკრებში, მისი აზრით, ტაიფურია — „ბეშიქთაშის" გამოცდილი და სხარტი მოთამაშე, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ხუთი გოლი გაიტანა და გერმანელებთან ჯგუფურ, აგრეთვე ირლანდიელებთან საპლეიოფო მატჩე ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედან ტაიფურს მეტსახელად „საყინულ ეძახიან.

თურქ სპეციალისტებს მიაჩნია რომ გუნდს ერთობ ძლიერი და მო ლური ნახევარდაცვა ჰყავს, თუ ევრო 2000-ზე მათი მთავარი იმ ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო მბარდირი, „გალათასარაის" ფორ რდი ჰაქან შუქურია, რომელიც ტოქე მცველებს ყოველთვის დიდ თ სატეხსა და საფიქრალს უჩენს. მაგებმა მას „ბოსფორის ხარი" შ რქვეს.

ამბიციური თურქები ახლა ბელგ ჰოლანდიისკენ ირაზმებიან, თან როპას ხმამაღალი შეძახილებით რთხილებენ: „ჩვენ მოვდივართ, გეს ჩვენი ხმა? ეს მწყობრი თურქთ მარშია".

**ნიკა შუბლ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**არსენალი ლონდონი** (ინგლისი)

დაარსდა: 1886 წელს
თავმჯდომარე: პეტერ ჰილ-ვუდი; გენერალური დირექტორი: კენ ფრაიარი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი; სტადიონი: „ჰაიბერი“ (ტევადობა 38 500);
კაპიტანი: ტონი ადამსი; ინგლისის ჩემპიონი (11): 1931, 33, 34, 35, 38, 48, 53, 71, 89, 91, 98; ასოციაციის თასის მფლობელი (7): 1930, 50, 71, 79, 93, 98; ლიგის თასის მფლობელი (2): 1987, 93; ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1): 1994; ფინალისტი (1): 1995; უეფას თასის მფლობელი (1): 1970; ევროპის სუპერთასის ფინალისტი (1): 1994

**გალათასარაი სტამბოლი** (თურქეთი)

დაარსდა: 1905 წელს
პრეზიდენტი: ფარუკ სურენი; გენერალური მდივანი: ალეს უნალ ერზენი; მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი
სტადიონი: „ალი სამი იენი“ (ტევადობა 40 000)
კაპიტანი: ბიულენთ ქიორქმაზი
თურქეთის ჩემპიონი (14): 1962, 63, 69, 71, 72, 73, 87, 88, 93, 94, 97, 98, 99, 2000; თასის მფლობელი (13): 1963, 64, 65, 66, 73, 76, 82, 85, 91, 93, 96, 99, 2000; ევროთასების ფინალში პირველადაა



„გალათასარაი“ „პარკენზე“. ფათიჰ თერიმის გაკვეთილი

# რა დროს პოლიტიკაა

ᲓᲐᲜᲘᲐᲨᲘ ხალხი მშვიდად ცხოვრობს, კოპენჰაგენიც წყნარი ქალაქია. მაგრამ ორი დღეა, რაც ყველაფერი შეიცვალა — ქუჩაში ნაბიჯს ვერ გადადგამ, პოლიციელი არ შეგეფეთოს. სამართალდამცავთა გააქტიურების მიზეზიც სერიოზულია — 12 500 ინგლისელი და 10 000 თურქი გულშემატკივრის სტუმრობა ხუმრობა როდია. თანაც ხმები გავრცელდა, ლიდსიდან ბლომად ხალხია ჩამოსული, რათა სტამბოლელებზე შური იძიონო. ჰოდა, პოლიციელებმაც რა ქნან, მორიგეობენ. საბედნიეროდ, ჯერჯერობით არაფერი მომხდარა.

ინგლისისა რა მოგახსენოთ, თურქეთში კი პოლიტიკური ცხოვრება ჩაკვდა. ამასაც თავისი ახსნა აქვს — თურქეთის დედაქალაქში ამ პროფესიის მიმდევარი ორიოდე კაცი თუ დარჩა. 200 იქაური პარლამენტარი და ნახევარი მინისტრთა კაბინეტი კი დღეს კოპენჰაგენშია. „გალათასარაი“ ფინალში გავიდა — რა დროს პოლიტიკაა.

# აუ, რა ბევრია!

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ფინალისთვის გუნდების გარდა მასმედიაც ემზადება. მშრალი ფაქტები ასეთია — მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი 185 ქვეყანაში გადაიცემა და მას 500 მილიონი ადამიანი მიადევნებს თვალს. გადაცემის ხარისხზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, კოპენჰაგენის „პარკენზე“ 17 კამერა დამონტაჟდება. სტადიონზე იქნება 300 რეპორტიორი და 140 ფოტოგრაფი, ხოლო სხვადასხვა არხებზე რეპორტაჟებს 25 კომენტატორი მოემსახურება.

*— 1988 წელს უეფას თასის ფინალში „ლევერკუზენმა“ პენალტებით დაამარცხა „ესპანიოლი“. მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ, 1996 წელს დარჩნენ იტალიური კლუბები ფინალს მიღმა, დღეს ბოლო თორმეტი სეზონის განმავლობაში ასეთი მეორე შემთხვევა იქნება.*

* * *

*— „გალათასარაი“ პირველი თურქული კლუბია, ვინაც ევროტურნირის ფინალში გააღწია. აქამდე თურქთაგან საუკეთესო შედეგი იმავე „გალათასარაის“ ჰქონდა. 1989 წელს მან ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში ითამაშა.*

* * *

*— 1984 წლიდან მოყოლებული ინგლისურ კლუბებს უეფას თასი არ მოუგიათ. ბოლოს ეს „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ შეძლო.*

* * *

*— „ტოტენჰემ ჰოთსპური“ უეფას თასის პირველი მფლობელიც არის. 1972 წელს წმინდა ინგლისურ ფინალში ლონდონელებმა „ვულვერჰემპტონი“ დაამარცხეს. ინგლისელებს უეფას თასი კიდევ ოთხჯერ აულიათ: „ლივერპულს“ (1973 და 76 წლებში), „იფსვიჩ თაუნს“ (1981) და ისევ „ტოტენჰემს“ (1984).*

* * *

*— 90-იან წლებში ოთხჯერ გაიმართა უეფას თასის წმინდა იტალიური ფინალი.*

* * *

*— უეფას თასის წინამორბედი ბაზრობათა თასი გახლდათ. თუ „არსენალმა“ დღეს „გალათასარაის“ სძლია, ორივე ამ ჯილდოს მფლობელი პირველი გუნდი გახდება. ბაზრობათა თასი „არსენალმა“ 1970 წელს მოიგო.*

* * *

*— მადრიდის „რეალი“ ერთადერთი კლუბია, რომელიც ორჯერ ზედიზედ (1985, 86 წლებში) დაეუფლა უეფას თასს.*

* * *

*— უეფას თასის ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით ამსტერდამის „აიაქსს“ მოუგია. 1984-85 წლების სეზონის პირველ ეტაპზე ჰოლანდიელებმა ლუქსემბურგის „რედ ბოიზს“ 14:0 სძლიეს.*

* * *

*— ორი მატჩის ჯამში ყველაზე დიდი ანგარიშით მოგებაც ჰოლანდიელთა ანგარიშზეა. 1972-73 წლების სეზონში „ფეიენოორდმა“ ლუქსემბურგის „რუმელანჟი“ 21:0 დაამარცხა.*

* * *

*— 1996 წელს უეფას თასზე მიუნხენის „ბაიერნმა“ იმარჯვა. იმ სეზონში იურგენ კლინსმანმა 15 გოლი გაიტანა. ევროტურნირების ისტორიაში ერთ სეზონში ამდენი ბურთი ჯერ არავის გაუტანია.*



REUTERS კოპენჰაგენიდან

ბოლო დღეებში კოპენჰაგენს პოლიციელები მოეძალნენ

# ისტორიულ-დაკნინებული ფინალი

UEFA CUP

**უეფას თასი. ფინალი**

„ᲒᲐᲚᲐᲗᲐᲡᲐᲠᲐᲘ“ დღეს, უეფას ...ის ფინალში, ისტორიის ახალი ...ის დასაწერად ემზადება. თავს და... ...ქმევა „თურქული ფეხბურთის ევ... ...პული ბრწყინვალება“.

„...არსენალი“ დღეს, უეფას თასის ...ალში, შეეცდება მიაღწიოს იგი..., რასაც ამავე სტადიონზე 1994 ...ს მიაღწია — მოიპოვოს ევრო... ...ლი ჯილდო, ოღონდ ერთი განსხ... ...ებით: ექვსი წლის წინ ჯილდოს ...ების მფლობელთა თასი ერქვა, ...ა უეფას თასი ჰქვია.

...ასეირო კი ის გახლავთ, რომ რო... ...ც ერთი, ასევე მეორე უეფას თა... ...ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუ... ...რი ეტაპიდან გავარდა, რაც საკუ... ...ვ შეჯიბრებას, დაგვეთანხმებით, ...ვარად აკნინებს.

...აგრამ დღევანდელ მეტოქეთა გა... ...ობას შორის სერიოზული განსხ... ...ებაც არის. კერძოდ, სტამბოლე... ...ბი ფინალში გასვლამ გააბედნიე... ...იქ გამარჯვება კი ქვეყნად ყველა... ...ს დაავიწყებს, ხოლო ლონდონე... ...ბმა რომც მოიგონ, მაინც დანანე... ...გაიხედავენ ჩემპიონთა თასისკენ. ...ი, რას ამბობს არსენალელთა მც... ...ლი დიქსონი: „არ მომწონს უე... ...თასისთვის ბრძოლა, რადგან რაც ...ა მოხდეს, ჩვენს გუნდს არ ჩამო... ...დება სინანული: „რა მოხდებოდა, ...ნ რომ... ჩვენი ადგილი ჩემპიონთა ...გაშია. იქ უნდა გაგვემარჯვა“.

...ა მაინც, დღევანდელი თამაშის ...ად აგდება არ ივარგებს. მას დე... ...იწის 185-მა ქვეყანამ უნდა ადე... ...ს თვალი. თანაც, პრემიერლიგაში ...რე ადგილზე გასულმა „არსენა... ...“ სხვადასხვა შეჯიბრებებში ზე... ...ედ 12 თამაშის მოგების შემდეგ ...ლო აკორდიც ძლიერად უნდა ჩა... ...კრას.

...„გალათასარაი“ კი ის გუნდია, რომელმაც თურქეთის ჩემპიონობა და თასი ერთდროულად მოიგო, ხოლო ეს ზუსტად ის შედეგი გახლავთ შარშან რომ ჰქონდა. კიდევ, სტამბოლელები ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს ბოლო ოთხი წელიწადია, არავის უთმობენ.

ერთადერთი, რაც „გალათასარაის“ ევროპულ გამარჯვებებს შავ ლაქად მოეცხო, ნახევარფინალის პირველი შეხვედრის წინ მათი ქომაგების მიერ ორი ინგლისელი ფანის მოკვლა გახლდათ. მოგეხსენებათ, ნახევარფინალში თურქეთის ჩემპიონმა „ლიდს იუნაიტედი“ დაამარცხა.

ჭორი, თითქოს ინგლისელები თურქებზე შურისძიებას აპირებენ, კოპენჰაგენში, სადაც დღევანდელი მატჩი უნდა ჩატარდეს, ერთობ შემაშფოთებლად გავარდა. მართალია, „ლიდსი“ „ლიდსია“, „არსენალი“ კი „არსენალი“, მაგრამ მეტოქეები ხომ ისევ ინგლისელები და თურქები არიან. ამიტომაც დანიის სამეფოში პოლიციის პირადი შემადგენლობის მეხუთედი, თვლით ორი ათასი, მობილიზებულია.

მოედანზე კი ლონდონელებს 35 წლის გეორგე ჰაჯის გასაუვნებლად მართებთ ძალთა სრული მობილიზება. შორს წასვლა არ არის საჭირო. ნახევარფინალში, „ლიდსთან“ რუმინელმა დაამტკიცა, რომ ძველებურად ეხერხება ჯადოსნური ფინტების დახვავება და პასიც ისევე ჭუირს. ამრიგად, თუ ჰაჯიმ გაილაღა, „გალათასარაის“ ფორვარდები, არიფი და ჰაქან შუქური დევიდ სიმენის კართან უამრავ ხელსაყრელ მომენტს იხელთებენ.

სამაგიეროდ, თურქთა გუნდში არ იქნება ყმაწვილკაცი, ნახევარმცველი ემრე ბელოზოღლუ, რომელიც ლიდსში გააძევეს მოედნიდან, თუმცა ამით სუათ ქაიას, ოქან ბურუქის და უმით დავალას პრობლემა არ იხსნება. მათ მოედნის შუაში თამაშის დიდი გამოცდილება უმაგრებთ ზურგს.

ხოლო „არსენალი“ შეიძლება გახდეს პირველი ინგლისური გუნდი, რომელიც 1984 წლის მერე მოიპოვებს უეფას თასს. 84-ში ჯილდო „ტოტენჰემ ჰოთსფურს“ ერგო. ანკი რატომ არ უნდა გახდეს? მოედანზე რა მოხდება, ვერავინ იტყვის, მაგრამ გვარებს თუ გადავიკითხავთ, ვნახავთ, რომ ლონდონელებს, ფაქტობრივად უნაკლო შემადგენლობა ჰყავთ.

დავიწყოთ: ტიერი ანრი საუცხოო ფორმაშია და მას პარტნიორობას (ფრედერიკ ლიუნგბერგის ტრავმის ფონზე) ალბათ, მარკ ოვერმარსი გაუწევს. სულ წინ დენის ბერხკამპი იქნება, ხოლო თუ გაუჭირდა, პრობლემა არაა, მას ნვანკვო კანუ შეცვლის. განა მარტო თავდასხმის ხსენება არაა საკმარისი? ამას დაამატეთ არანაკლებ ცნობილი ნახევარმცველები და მწვრთნელი არსენ ვენგერი, თავისი ნიჭითა და ცოდნით.

თუმცა, როგორც გითხარით, გვარების კითხვა ერთია, ხოლო მოედანზე რა მოხდება — მეორე. „გალათასარაი“ კი დღეს ისტორიის ამოტრიალებას აპირებს და ამ განწყობამ შეიძლება მოაგებინოს.

**მაიკ ქოლეტი, როიტერი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, სილვინიო, პარლოუ, ვიეირა, პეტი, ოვერმარსი, ბერხკამპი, ანრი
გალათასარაი: ტაფარელი, კაპონე, პოპესკუ, ბიულენთი, ჰაქან უნსალი, უმითი, ჰაჯი, სუათი, ოკანი, ჰაქან შუქური, არიფი
მსაჯი: ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)

# არივედერჩი, სკუდეტო



ალესანდრო დელ პიერო — დაკარგული სკუდეტოს სიმბოლო

ასეთი დრამატული ფინალი არავის არასდროს უნახავსო, ალბათ გადაჭარბებული ნათქვამი იქნება, მაგრამ იტალიის ახლანდელი ჩემპიონატი რომ დრამატულთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამოურჩეული გამოდგა, დიდი ფიცი-მტკიცი არ სჭირდება. „იუვენტუსი" ისტორიაში 26-ე სკუდეტოს უმიზნებდა, „ლაციო" — მეორეს. გაიმარჯვა „ლაციომ", მაგრამ ამ გამარჯვებას წინ დიდი ვნებათაღელვა უსწრებდა. ბოლოსწინა ტურში, როდესაც რომაელებმა ბოლონიაში 3:2 გაიმარჯვეს, „იუვენტუსმა" შინ „პარმას" 1:0 მოუგო, ოღონდ იმ დღეს, „ბებერი ქალბატონის" კარში აშკარა გოლი არ ჩათვალეს და ზვირთიც აგორდა. იტალიური პრესა-ტელევიზია მთელი კვირის განმავლობაში გამოთქვამდა ოდინდელ ეჭვს, რომ ტურინელები ხშირად მსაჯების დახმარებით იმარჯვებენ. პროტესტს გამოთქვამდნენ „ლაციოს" ქომაგები, მოთამაშეები და მწვრთნელიც. საბოლოოდ, უცნაური ვითარება შეიქმნა: ქვეყნის ყველაზე პოპულარული გუნდი, „იუვენტუსი", რამდენიმე დღეში ლამის ყველაზე საძულველად იქცა. ბოლო ტურის წინ ძალიან ბევრი ნატრულობდა მის დამარცხებას.

„იუვენტუსი" მართლაც დამარცხდა, ოღონდ უცნაურად. პერუჯაში, სადაც ის ჩემპიონატს ასრულებდა, თავსხმა მოვიდა და პირველი ტაიმის შემდეგ მინდორი დაიტბორა. მსაჯმა თამაში ერთ საათზე მეტი ხნის შემდეგ განაახლა. ამასობაში რომში „ლაციო" რეჯინას მასპინძლობდა. პირველი ნახევრის შემდეგ, როდესაც შეიტყეს, რომ პერუჯაში თამაშის განახლება ფერხდებოდა, იქაც შეყოვნდნენ: ერთდროულად დაწყებული გადამწყვეტი მატჩები ერთდროულადვე უნდა დასრულდესო, მაგრამ 20 წუთის შემდეგ მოთმინების ფიალა აევსოთ და ბურთიც გააგორეს.

„ლაციომ" მოიგო და ჩემპიონი გახდა.

მეოთხე ადგილზე გასულმა „ინტერმა" და მეხუთემ, „პარმამ" 23 მაისს, ვერონაში, პლეი-ოფში ჩემპიონთა ლიგის საგზური უნდა გაითამაშონ.

## იმედით ცოცხლობს ერიკსონი

„ჩემპიონობის იმედი მაშინაც კი მქონდა, როდესაც „იუვენტუსი" 9 ქულით გვისწრებდა" — 19 მარტის ამბავს იხსენებს და აღიარებს „ლაციოს" ბედნიერი მწვრთნელი, შვედი სვენ გორან ერიკსონი — „იმედი ჩემი ცხოვრების კრედოა. ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ იტალიის ჩემპიონობა ასეთ სიხარულს მომგვრიდა. დაუჯერებელია, ევროპის სხვა ქვეყნებში მოპოვებული ჯილდოები ამასთან ახლოსაც ვერ მივა".

გავიხსენოთ: ერიკსონი სერია A-ში 13 წელიწადია მუშაობს, იყო „რომაში", „ფიორენტინაში" და „სამპდორიაში", „ლაციოს" კი 1997 წლიდან უდგას სათავეში. სხვა ქვეყნის ტიტულებზე მსჯელობის უფლებაც აქვს: 1981 წელს შვედეთში „გიოტებორგი" მიიყვანა ტიტულამდე, ხოლო შემდეგ, 1983, 1984 და 1991 წლებში პორტუგალიაში „ბენფიკა" გააჩემპიონა.

მწვრთნელის შემდეგ ყველაზე უპრიანი ვეტერანი ფორვარდის, რობერტო მანჩინის ხსენება იქნება. მანჩინის რომში მეორე, უფრო ზუსტად კი მოედანზე გასულ მწვრთნელს უწოდებდნენ და აი, მასთან დაკავშირებული ერთი ფრიად საინტერესო ფაქტიც: თავდამსხმელი სკუდეტოს 1991 წელს, „სამპდორიას" შემადგენლობაშიც დაეუფლა, ხოლო ის „სამპდორია" გახლდათ ბოლო „სხვა" იტალიური გუნდი, ვინც ჩემპიონი გახდა: შემდეგ „მილანისა" და „იუვენტუსის" ჰეგემონია დადგა. მოკლედ, მანჩინის დაკარგულს მანჩინივე დაიბრუნებსო — იტალიაში ორი კლუბის უპირობო ბატონობას ბოლო მოეღო.

„მგონი, ეს სკუდეტო უფრო სამახსოვროა, ვიდრე ის, „სამპდორიაში" რომ მოვიგე, რადგან ახლა მეტი წვალება დაგვჭირდა. დღეს გაურკვეველმა გრძნობამ შემიპყრო. არ ვიცი მოვიწყინო, რადგან ფეხბურთს თავს ვანებებ, თუ ჩემპიონობა ვიზეიმო" — განაცხადა ვეტერანმა, რომელსაც „ლაციოს" ოფისში თავისი კაბინეტი კარგა ხანია, გაუკეთეს.

გაორებული გახლდათ რომაელთა თავდამსხმელი სიმონე ინძაგიც. ერთი მხრივ, სკუდეტო, რომელიც მან მოიგო, ხოლო მეორე მხრივ სკუდეტო, რომელიც მისმა იუვენტუსელმა ძმამ, ფილიპომ ვერ მოიგო:

„ბედნიერი ვარ, მაგრამ პიპოს ამბავმა ძალიან მატკინა გული".

სამაგიეროდ, „ლაციოს" არგენტინელი ნახევარმცველი, დიეგო სიმეონე საკუთარ გრძნობებში ჩინებულად გახლდათ გარკვეული.

„ჩვენ ვიმსახურებდით ამ ჩემპიონობას, რადგან ყველაზე ძნელ მომენტებში ერთი წუთით არ დავნებებულვართ. „იუვენტუსმაც" საუცხოო სეზონი ჩაატარა. გასული კვირის ინციდენტი უბრალოდ ცუდი იღბლის ბრალი გახლდათ, მაგრამ სკუდეტოს მაინც ჩვენ ვიმსახურებდით" — თქვა არგენტინელმა.

## ძმა და ბაბუა

„ლაციოს" პრეზიდენტი, სერჯო კრანიოტი ცრემლებს ვერ იკავებდა:

„ჩემი ძმა ჯუზეპე რომ არა, „ლაციოს" პრეზიდენტი არასდროს გავხდებოდი. ეს 1992 წელს მოხდა. ჯუზეპე დარწმუნებული იყო, რომ პროექტი, რომელიც ჩვენ შევადგინეთ, აუცილებლად მოიტანდა წარმატებას. წლევანდელი სკუდეტო ერიკსონის დამსახურებაა. ერთადერთი კაცი, ვისაც გამარჯვების რწმენა არ შერყევია, სვენი იყო. 19 მარტს, როდესაც ვერონაში წავაგეთ, წარმატებისა აღარ მწამდა. „იუვენტუსი" 9 ქულით გვისწრებდა და ხელი მქონდა ჩაქნეული.

საოცრად ბედნიერი პერიოდი მიდგას. ამასწინათ ბაბუა გავხდი, ახლა კი ჩემპიონობა მოვიგეთ. ეს ჩემი ცხოვრების ორი უბრწყინვალესი განცხა გახლდათ.

ყველა რჩება გუნდში. ასეთი შედეგის შემდეგ შეცვლა არაფრის შეიძლება. მხოლოდ თუ შევმატებთ რამეს. ჩემი მიზანი ოცნებათა გუნდის შექმნაა. ეს ტიტული გამარჯვებათა სერიის პირველი ნაბიჯი უნდა იყოს".

## თქვენ, მოჯი?

თქვენ რაღას იტყვით სინიორ ლუჩანო მოჯი? ჰკითხეს ჟურნალისტებმა „იუვენტუსის" გენერალურ მენეჯერს, რომელსაც ბოლო კვირის მანძილზე იტალიური ფეხბურთის ყველაზე გავლენიანი საქმეთა ჩამწყობი უძახეს.

მან უპასუხა: „ახლა, როდესაც „იუვენტუსი" ჩემპიონი ვერ გახდა, ალბათ, ყველა ბედნიერია. ასეთი დასასრულის შემდეგ ვერავინ ვერაფერს იტყვის. იტალიის ჩემპიონობა გაყალბებულიაო, მხოლოდ იმ შემთხვევაში იტყოდნენ, სკუდეტო ჩვენ რომ მოგვეგო. ვულოცავთ. რაც უნდოდათ, ის მიიღეს.

აჰა, ბატონო, ესეც ჩემი განსაკუთრებული ძალაუფლება. ჩემს შესახებ მრავალი უსამართლო სიტყვა თქვეს, მაგრამ ერთი პასუხიც არ გამიცია, რადგან თუ გინდა სიმართლე დაამტკიცო, ხმა არ უნდა ამოიღო".

შემდეგ ჰკითხეს, მსაჯს წვიმიან თამაშში მეორე ტაიმი თუ უნდა ჩაეტარებინაო.

„თავად განსაჯეთ" — უპასუხა გენერალურმა მენეჯერმა, ბოლოს კი „ლაციოს" ჩემპიონის დამსახურებულად მოპოვებული წოდება მოულოცა.

## არავის ბრალია

„დღეს ჩემპიონობა რომ დავკარგეთ, აბსოლუტურად არავის ბრალია" — განაცხადა „იუვენტუსის" მწვრთნელმა, კარლო არჩელოტიმ — „ეს ზღვარგადასული და მეტად უცნაური თამაში იყო. უნდა გაეგრძელებინა თუ არა მსაჯს თამაში? არ ვიცი, მე ხმა არ ამომიღია. ვიდექი და მის გადაწყვეტილებას ველოდი.

სამაგელი კვირა გაგვითენდა, მწარე, გულდასაწყვეტი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: „იუვენტუსს" ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა. მთელი სეზონის განმავლობაში საუკეთესო თვისებებს ვავლენდით, რადგან ძალიან დიდი კონკურენცია შეგვხვდა და ბოლოს სამართებლის პირზეც მოგვიწია გავლამ.

ეს უცნაური შუადღე ძალიან დიდხანს დამამახსოვრდება. ჩვენ სკუდეტოს ვიმსახურებდით, თუმცა ასევე იმსახურებდა „ლაციო".

## „ლაციო", „ლაციო"

მაშ ასე, „ლაციო" ჩემპიონი მეორედ გახდა და 1974 წლის სკუდეტომაც მისტიკური მნიშვნელობა დაკარგა.

1974... სად იყო მაშინ მილიონერი კლუბი მილანის საფონდო ბირჟაზე? სად იყო მაშინ უცხოელი მწვრთნელი? გუნდს ტომაზო მაესტრელი ხელმძღვანელობდა; სად იყო მაშინ ამდენი უცხოელი ფეხბურთელი?

უცხოელთაგან „ლაციოს" ერთადერთი შეხება ჰქონდა: მის შემადგენლობაში თამაშობდა ასეთი კაცი, ჯუზეპე უილსონი, რომელიც იტალიის მოქალაქე კი გახლდათ, მაგრამ ინგლისში, დარლინგტონში იყო 1945 წელს დაბადებული.

მაშინ, სერია A-დან სერია B-ში 13-წლიანი ასვლა-ჩასვლის შემდეგ რომაული კლუბი უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ორი სეზონის დამკვიდრებული გახლდათ. წინა წელს, 1973-ში, „ლაციო" ძალიან მიუახლოვდა სკუდეტოს, „იუვენტუსს" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა — ბოლო ტურში „ნაპოლისთან" წაგებამ გაუფუჭა საქმე. მაგრამ 74-ში ყველაფერი გამოსწორდა, „ტოტალური ფეხბურთის" იტალიური ვერსიის მიმდევარმა იგივე „იუვენტუსი" იმავ ორი ქულით ჩამოიტოვა.

მაშინდელი „ლაციოს" ვარსკვლავი თავდამსხმელი ჯორჯო კინალია გახლდათ.

„პირველი სკუდეტო დაუვიწყარია" — იგონებს კინალია — „დღევანდელი გამარჯვებისგან განსხვავებით, ის ნაკლებად დაგეგმილი და დაპროგრამებული იყო. ჩვენი გუნდი თვითნაკეთი გახლდათ, ხოლო ახლანდელი ეპოქის შვილია. დღევანდელ „ლაციოს" 12 თვის შემდეგ ჩემპიონთა თასის მოგება და იმის შემდგომი სეზონის ფავორიტის რანგში დაწყება ხელეწიფება".

მაშინდელ „ლაციოში" კინალიას გარდა მეკარე ფელიჩე პულიჩი, მარცხენა მცველი ლუიჯი მარტინი და ნახევარმცველი ვინჩენცო დამიკო ბრწყინავდნენ.

შემდეგ კი დროება იცვალა. „ლაციოს" წარმატება რომის ლურჯი ნაწილის პიცერიებში კედლებზე გაკრულ პლაკატებსღა შემორჩა, გუნდი კვლავ ცხრილის შუაში ჩაეშვა, ხოლო 1980 წელს ლიგიდან გავარდა და მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. დადგა 1987 წელი, როდესაც რომაელები სერია C-ში გავარდნას მხოლოდ პლეი ოფში გამარჯვებამ გადაარჩინა, თუმცა 1988 წელს ისინი უკვე უმაღლეს დივიზიონში დაბრუნებას ზეიმობდნენ.

მერე კი იყო კრანიოტი...

## და შევჩენკო?

და თქმა უნდა, ანდრეი შევჩენკო, მესამე ადგილზე გასული „მილანის" უკრაინელი თავდამსხმელი და 24 გოლით სერია A-ს აწ უკვე გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი. მართალია, ჩემპიონატის ბოლო კვირამ მთელი ემოცია და ყურადღება „ლაციოსა" და „იუვენტუსის" დაპირისპირებაზე გადაიტანა, მაგრამ დაუშვებელია იტალიის ჩემპიონატის დებიუტანტზე არაფერი ვთქვათ.

„ძალიან ბედნიერი და დაღლილი ვარ" — ამბობს ყოფილი კიევის დინამოელი — „დაუმთავრებელი და ძნელი სეზონი იყო, უფრო ძნელი, ვიდრე წარმომედგინა, მაგრამ 24 გოლი გავიტანე და ვფიქრობ, ეს აბსოლუტურად ნორმალური შედეგია".

ცნობისთვის, შევჩენკო იტალიური სერია A-ს ისტორიაში მერვე უცხოელია, რომელმაც საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა.

შევჩენკოს ჩინებული დებიუტი ჰქონდა: პირველივე ტურში „ლეჩეს" გაუტანა, ხოლო მეორეში „პერუჯას", მაგრამ მისი ნამდვილი აღზევება რომში, „ლაციოსთან" 4:4 ნათამაშევ შეხვედრაში დაიწყო, სადაც უკრაინელმა ჰეთ-თრიკი შეასრულა. შემდეგ, დეკემბერში, შინ, რეჯინასთან" (2:2) ორივე გოლი შევჩენკომ შეაგდო და იანვარში, იმავ „პერუჯას" ჰეთ-თრიკი შეუსრულა.

და მაინც, უკრაინელის ყველაზე მნიშვნელოვან გოლებად მარტში, „იუვენტუსის" კარში გატანილებია მიჩნეული. ის შეხვედრა „მილანმა" 2:0 მოიგო და სკუდეტოსვის ბრძოლის მცირე იმედიც ჩაესახა.

„კმაყოფილი ვარ, სამომავლოდ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება რომ მოვიპოვეთ, მაგრამ ისეთი დაღლილი გახლავართ, რომ მომავალ სეზონზე ფიქრიც არ შემიძლია" — დასძენს ბოლოს მილანელი.

## ბატი, ბატი, ბატიგოლ

ასეთი სიმღერა ფლორენციის „არტემიო ფრანკიზე" მომავალი სეზონიდან შეიძლება აღარ შემოსძახონ, რადგან: „თუ წავედი, იმედი მაქვს, როდესაც სხვა გუნდის შემადგენლობაში ჩამოვალ, ტაშით შემხვდებიან" — თქვა დიდმა ფლორენციელმა — არგენტინელმა კვირას, ბოლო ტურში, „ვენეციის" კარში სამიდან ორი გოლის გატანის შემდეგ — ბატისტუტა 152 გოლით „ფიორენტინას" რეკორდსმენი გახდა.

აქამდე საკლუბო რეკორდი შვედი კურტ ჰამრინისა გახლდათ — 150

„ბოლო ექვსი თვეა, წესიერად არ მძინია. მომავალზე ვფიქრობდი. ძალიან ბევრმა დიდმა გუნდმა შემომთავაზა სამსახური. საერთოდ, ფლორენციაში თავს ბედნიერად კი ვგრძნობ, მაგრამ კლუბს, რაც დრო გადის, უფრო ვშორდები. მე ხომ მხოლოდ ფეხბურთელობა მინდა. მაგრამ აქ რაღაც სხვას მთხოვენ. ერთადერთი, რამაც შეიძლება აზრი შემაცვლევინოს ის სითბოა, ფლორენციელი ხალხი ყოველდღიურად რომ მაგრძნობინებს" — დაავგვირგვინა გაბრიელმა.

„ფიორენტინა" ბატისტუტას გარეშე? ბატისტუტა სხვა გუნდში?

იტალიის ჩემპიონატი დამთავრების დღესაც ახალ ინტრიგას გვთავაზობს.

პაპუნა ძედია

## უნგრეთი

30-ე ტური: მტკ — დუნაფერი 1:4; პეჩი — დებრეცენი 2:0; ზალაეგერსეგი — დიოშდიორი 0:0; ჰალადაში — ტატაბანია 1:1; ვაცი — ნიირშეგი 0:1; ვაშაში — უიპეშტი 3:0; დიორ ეტო — ფერენცვაროში 2:1; ჰონვედი — შიოფოკი 1:1

ნებისმიერი დონის ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდი, რომელიც ზედიზედ 28 თამაშს არ წააგებს, უდავოდ ჩემპიონობას იმსახურებს. ჰოდა, „დუნაფერი" უნგრეთის ჩემპიონი სრულიად სამართლიანად გახდა. გუნდი წლეულს ერთადერთხელ, მხოლოდ პირველ ტურში დამარცხდა, ეს იყო და ეს. 29-ე ტურში ვადამდელი ჩემპიონი გახდა.

შაბათს „დუნაფერმა" უახლოესი მდევარი და პოტენციური კონკურენტი მტკ 4:1 დაამარცხა, 70 ქულა დააგროვა და სხვათათვის მიუღწეველი შეიქნა. ისიც გავითვალისწინოთ, რომ მტკ ხელწამოსაკრავი გუნდი სულაც არ არის, რაც არ უნდა იყოს, ბუდაპეშტელები ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონები არიან. გასათვალისწინებელია, რომ „დუნაფერის" ამჟამინდელი თავკაცი გეორგე მიალი მტკ-ს ყოფილი მწვრთნელია. იგი შარშან გაათავისუფლეს...

ერთი აღსანიშნავი ფაქტიც. „დუნაფერი" მეოთხე არაბუდაპეშტური გუნდია, რომელსაც ოდესმე უნგრეთის ჩემპიონობის პატივი ერგო. მანამდე სულ სამნი იყვნენ — „ნადივარადი", „დიორი" და „ვაცი".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 29 | 21 | 7 | 1 | 73:23 | 70 |
| მტკ | 29 | 17 | 8 | 4 | 60:24 | 59 |
| ვაშაში | 29 | 18 | 4 | 7 | 56:26 | 58 |
| ტატაბანია | 29 | 12 | 12 | 5 | 31:31 | 48 |
| ფერენცვაროში | 30 | 12 | 8 | 10 | 54:37 | 44 |
| დებრეცენი | 29 | 12 | 7 | 10 | 42:38 | 43 |
| დიორ ეტო | 29 | 11 | 8 | 10 | 47:33 | 41 |
| უიპეშტი | 29 | 10 | 10 | 9 | 44:36 | 40 |
| პეჩი | 29 | 10 | 10 | 9 | 36:43 | 40 |
| ნიირშეგი | 29 | 11 | 7 | 11 | 30:39 | 40 |
| ჰონვედი | 30 | 10 | 9 | 11 | 27:34 | 39 |
| ზალაეგერსეგი | 29 | 8 | 13 | 8 | 30:26 | 37 |
| ჰალადაში | 29 | 7 | 7 | 15 | 31:46 | 28 |
| ნადიკანიჟა | 29 | 6 | 8 | 15 | 21:41 | 26 |
| დიოშდიორი | 29 | 5 | 8 | 16 | 24:49 | 23 |
| შიოფოკი | 30 | 6 | 7 | 17 | 25:50 | 22 |
| ვაცი | 29 | 3 | 5 | 21 | 23:78 | 14 |

„შიოფოკს" დაკლებული აქვს 3 ქულა

## რუმინეთი

თასის ფინალი

დინამო 2:0 უნივერსიტატეა

1:0 ნიკულაე (33პ), 2:0 პილდანი (90)

რუმინეთის თასი ბუქარესტის „დინამომ" მოიპოვა და ამგვარად დუბლი შეასრულა — ქვეყნის ჩემპიონობა და თასი ერთდროულად მოიგო. ბუქარესტის „დინამოსა" და კრაიოვის „უნივერსიტატეას" თასის საფინალო შეხვედრა, რომელიც „დინამომ" 2:0 მოიგო, გამორჩეულად უხეში ყოფილა.

მატჩის განმავლობაში თამაშის წესი 65-ჯერ დაირღვა. მართალია, „დინამო" პირველი ტაიმის ბოლოს 10 კაცით დარჩა, მაგრამ მაინც მოიგო და ჯილდოსაც დაეუფლა.

დაძაბულობა ქომაგებსაც გადაედო და ხელჩართული ბრძოლები გაა... ღეს. დედაქალაქელმა ფანებმა სტუმრები დაჯაბნეს და რამდენიმე კრაიოველი სხეულის დაზიანებით ჰოსპიტალში მოხვდა.

## უკრაინა

გადადებული მატჩი: დნიპრო — კარპატი 1:1

24-ე ტური: დინამო — შახტარი 2:1; ზაპოროჟიე — პრიკარპატიე 2:2; ვორსკლა — მარიუპოლი 1:1; კრივბასი — ნივა 5:1; ცსკა — დნიპრო 3:0; ტავრია — მეტალისტი 2:2; ზირკა — კარპატი 0:2; მეტალურგი — ჩორნომორეცი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 24 | 22 | 2 | 0 | 67:13 | 68 |
| კრივბასი | 24 | 15 | 6 | 3 | 46:22 | 51 |
| შახტარი | 24 | 15 | 3 | 6 | 40:12 | 48 |
| ვორსკლა | 24 | 12 | 7 | 5 | 44:23 | 43 |
| მეტალისტი | 24 | 10 | 5 | 9 | 32:31 | 35 |
| ზაპოროჟიე | 24 | 9 | 8 | 7 | 32:24 | 35 |
| მეტალურგი | 24 | 9 | 8 | 7 | 29:25 | 35 |
| კარპატი | 24 | 10 | 1 | 12 | 32:30 | 34 |
| მარიუპოლი | 24 | 9 | 3 | 12 | 35:39 | 30 |
| ცსკა | 24 | 7 | 7 | 10 | 25:29 | 28 |
| დნიპრო | 24 | 6 | 7 | 11 | 19:41 | 25 |
| ტავრია | 24 | 6 | 7 | 11 | 28:39 | 25 |
| პრიკარპატიე | 24 | 6 | 7 | 11 | 21:35 | 25 |
| ჩორნომორეცი | 24 | 5 | 5 | 14 | 11:40 | 20 |
| ნივა | 24 | 4 | 8 | 12 | 29:51 | 20 |
| ზირკა | 24 | 0 | 8 | 16 | 11:47 | 8 |

# ყველანი დებიუტანტები ვართ

## ზურაბ ტომარაძე ახალგაზრდა შეგირდებით ქართული კალათბურთის გამოსულიერებას აპირებს

*...ვირას ვერის ბაღში განსაკუთრებული ატმოსფერო სუფევდა. ბევრმა ცნობი-...ყვარემ მოიყარა თავი, უკლებლივ ყველას ერთი რამ აინტერესებდა — ...რების დღევანდელი სახე.*

*...ათუმიდან თბილისს ჩამოსული ეროვნული გუნდი დანიაში გამგზავრებამდე ...ანგურად „მაკაბის" უნდა გაეჯიბრებოდა, მანამდე კი ნაკრების მთავარ მწვრთნელ ...რაბ ტომარაძეს წამსვლელთა საბოლოო შემადგენლობა უნდა დაესახელებინა. ...მ ინტერვიუზე ტომარაძეს რამდენიმე დღით ადრე შევუთანხმდი. იგი სანაკ-...ო ამბებზე ვრცლად საუბარს შემპირდა. დათქმულ დროს შევხვდით კიდეც ...ის ბაღში. ეგაა, თავიდანვე გამაფრთხილა მწვრთნელმა, ძალიან მოუცლელი ...დ და იქნებ ყველაფერზე ლაპარაკი ვერც კი მოვასწროთო. ცხადია, ამაზეც ...ლს ვიყავი, ათიოდ წუთში ხომ თამაში უნდა დაწყებულიყო.*

*...როგორც კი განვმარტოვდით, უმალ საქმეზე გადავედი. სალაპარაკო თემა ...სავით ნათელი იყო — ეროვნული გუნდი, მისი საევროპო მზადება. ერთი ...ყვით, ყველაფერი, რაც ნაკრებთან არის დაკავშირებული...*

**— კმაყოფილი ხართ გუნდის მომ...ებით?**

— შეუძლებელია, ბოლომდე კმაყო-...ი ვიყო. ვფიქრობ, მეტის გაკეთება ...ლებოდა. ისე აეწყო, რომ წინა-...რ ვერაფერი დავგეგმეთ მწვრთნე-...მა, ძირითადად ლეგიონერების სა-...ხს ვგულისხმობ, კარგი იქნებოდა, ...ი ნაადრევი ჩამოყვანა ყოფილიყო ...ძლებელი, შემადგენლობაში რამ-...მე ისეთიცაა, მათთან ერთი კვი-... მანძილზეც არ მქონია ურთიერ-...ა. ასეთ პირობებში სერიოზულ მო-...ებაზე საუბარიც ზედმეტია, რაც ...ერხდა, იმით უნდა დავკმაყოფი-...ეთ.

**— როდის გადაწყვიტეთ, ვის წა-...ნდით დანიაში?**

— დღეს, ჯერ ბიჭებისთვისაც არ ...ქვამს. რამდენიმე ვარიანტი მქო-... მოფიქრებული და საბოლოოდ გა-...ვყვიტე, რომ მაისურაძეს და უგ-...ლიძეს შეველიოთ. ეს იმას არ ნი-...ს, რომ ეს კალათბურთელები მზად ...რიან, უბრალოდ, ჩავთვალეთ, რომ ...ტაპზე სხვებს უფრო მეტის გაკე-... შეუძლიათ. მაისურაძეს თან ფე-... აწუხებს, ბოლომდე ვერ მოიშუშა ...ემა.

**— უგრეხელიძე არაა თქვენთვის ...ურველ ფორმაში?**

— პირიქით, ძალიან კარგად გამოი-...ება, ამდენს არც კი ველოდი ამ ...ისგან. ვარჯიშზე რაც დავავალე, ...აფერი გამიკეთა, მაგრამ მაინც მე-...მეტად ახალგაზრდაა და მივიჩნი-... რომ გამოცდილი მოთამაშე უფრო ...შეელებოდა. გარწმუნებთ, მას კი-... არაერთხელ მიეცემა თავის გამო-...ს შესაძლებლობა.

**— „სლოვანში" უგრეხელიძის თა-...ნდელებზე რა შთაბეჭდილება ...ქმნათ, მომატებული აქვთ ბო-... და ცქიტიშვილს?**

— მათ სულ ორჯერ ივარჯიშეს ...თან ერთად და ეს დრო ძალიან ...ა საიმისოდ, რომ სერიოზული და-...ები გავაკეთო. ერთი შეხედვით არა-...თ, ნორმალურად გამოიყურებიან, ... ოდნავ დაღლილობა ეტყობათ. მი-... მგზავრობაცაა და ისიც, რომ სა-...ველოში წამოსვლამდე მათ პლეი ...ს უმძიმეს შეხვედრებში ითამაშეს. ...ლება ითქვას, ეს ბიჭები პრაქტი-...ად უნაკლოდ მიგვყავს დანიაში, ...ამ მჯერა, თავს არ შეირცხვენენ.

**— ზაზა ფაჩულიას შემთხვევა ...ო რთულია. იგი საერთოდ არ ...ხავთ საქმეში...**

— ზაზა მოსკოვში შემოგვიერთდე-... სამწუხაროდ, სხვანაირად არ მო-...და, რადგან „ულქერის" ხელმძღ-...ლობამ არ გაანთავისუფლა მანა-... დღესვე შეიძლება ითქვას, რომ ...ულიას სახით ევროპულ კალათ-...თში მალე გამოჩნდება კიდევ ერთი ...იო ვარსკვლავი, იგი ძალიან ნი-...ია და აქვს ყველანაირი მონაცემი, ... მაღალი დონის კალათბურთი ითა-...ს. ფაჩულია, ბოისასთან, ცქიტიშ-...თან და უგრეხელიძესთან ერთად, ... არის ქართული კალათბურთის ...ანდელი სახე. თუ მათ ასეთივე ...ომებით განაგრძეს შრომა, ძალი-...ლე ჩვენს კალათბურთს დიდი ამ-...ები გაუჩნდება და კონკრეტულ მი-

ზნებსაც დავისახავთ. ამ ბიჭებს თუ ტრავმამოშუშებულ ვატო ნაცვლიშვილს და ვლადიმერ სტეფანიას დავამატებთ, საქართველოს ნაკრები ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცევა.

**— სტეფანიას ჩამოყვანა არც გიცდიათ?**

— ერთხანს იყო ლაპარაკი, მაგრამ მერე გამოირიცხა. კალათბურთის ფედერაციას მე გადავეცი იმ მოთამაშეთა სია, რომლებიც შეკრებაზე იყვნენ გამოძახებულნი, იქ, ცხადია, სტეფანიაც შედიოდა, მაგრამ... ათასი პრობლემა წამოიჭრა, ამ საკითხზე ფედერაციაში უფრო კონკრეტულად გიპასუხებენ, მოთამაშეთა ჩამოსაყვანად ხომ სწორედ ფედერაცია ზრუნავს.

**— სლოვაკეთში მყოფ დავით ბერძენიშვილზე საერთოდ არ ყოფილა ლაპარაკი?**

— კი, დათოს რამდენჯერმე ველაპარაკე ტელეფონით, სხვებთან ერთად ისიც გამოვიძახეთ ნაკრებში, მაგრამ კვლავაც აწუხებს მხარი. თავადვე მითხრა, ნაკრებში თამაში ჩემზე მეტად ვის უნდა, მაგრამ ვერ ჩამოვალ, ასეთი ტრავმით ბოლომდე ვერ დავიხარჯები და უაზრობააო. ჩანს, ბერძენიშვილი მართლა არაა ფორმაში, თორემ ამას ნამდვილად არ მეტყოდა. რომ დავფიქრდი, მართალიც იყო, დანიაში ყველა ისეთი მოთამაშე გვჭირდება, ვინც ჯანმრთელად იქნება და ნაკრებისთვის ყველაფერს გააკეთებს.

**— მოდით, ახლა გუნდის ცალკეულ სათამაშო რგოლებზე გადავიდეთ, კარგი იქნება, თქვენეულ ტაქტიკასაც თუ გაგვანდობთ...**

— ნაკრებში არ არის ისეთი რგოლი, რომელიც გამოკვეთილად ძლიერი და ბოლომდე დაბალანსებული იქნება. გვიჭირს ცენტრზე, უკანახაზში, ერთი სიტყვით, დალხინებულნი ნამდვილად არ ვართ. თუ დავუკვირდებით, საერთოდ არა გვყავს კლასიკური გამთამაშებელი, გამოკვეთილი ცენტრი. ამიტომ ჩვენ, მწვრთნელებმა, კალათბურთელები ორ კატეგორიად დავყავით, პერიმეტრისა და ფარის მოთამაშეებად. გადავწყვიტეთ, რომ უნივერსალიზმისკენ ავიღოთ მიმართულება, თუ საჭირო გახდა, ფარის მოთამაშესაც უნდა შეეძლოს ბურთის გათამაშება, ფრთაზე თამაში. უკანახაზელებსაც ვთხოვთ, რომ უფრო ყურადღებით იყვნენ ფარზე, მათაც უნდა მოხსნან ბურთი. შევეცდებით, რაც შეიძლება სწრაფი და დინამიური თამაში შევთავაზოთ მეტოქეებს. რაც მთავარია, მათ აგრესიული დაცვა უნდა დავუპირისპიროთ. დანარჩენს შეხვედრათა მსვლელობა დაგვანახებს, კონკრეტულ მოწინააღმდეგეს საგანგებო ტაქტიკას შევაგებებთ და ყველაფერს ვილონებთ, ჩვენთვის სასურველი თამაში მოვახვიოთ თავს.

**— ზაზა ფაჩულიას, ალბათ, ცენტრზე თამაშს დააკისრებთ...**

— ის, რომ ფაჩულია მხოლოდ ცენტრობით შემოვფარგლოთ, ვფიქრობ, ძალიან დიდი ფუფუნება იქნება ჩვენი ნაკრებისთვის. ფარქვეშ თამაშის გარდა ზაზას ბევრი სხვა რამის კეთებაც შეუძლია და ეს აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. სადაც გაჭირება, გუნდს



ზურაბ ტომარაძე
ნიკა ცქიტიშვილს არიგებს

რომელ ამპლუაშიც დასჭირდება გაძლიერება, სწორედ იქ ვათამაშებ.

**— თქვენი აზრით, რა არის დღევანდელი საქართველოს ნაკრების ყველაზე დიდი პლუსი?**

— ალბათ ის, რომ თორმეტივე მეტნაკლებად თანაბარძალოვანი მოთამაშე გვყავს. მწვრთნელებს შეგვეძლება, ნებისმიერ კალათბურთელს დავეყრდნოთ. ვფიქრობ, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

**— მეტოქეებზე თუ გაქვთ წარმოდგენა?**

— ძალიან ზედაპირული, ზოგ მათგანზე საერთოდ არაფერი მსმენია, საფუძვლიანად კი არც ერთ მოწინააღმდეგეს არ ვიცნობ. როგორც შევიტყვე, ირლანდიელები ძალიან სერიოზულად ემზადებიან ამ ტურნირისთვის. თურმე ერთი თვეა, რაც ნაკრები ვარჯიშს შეუდგა, ამერიკის სტუდენტური ლიგის გუნდებიდანაც ჩამოუყვანიათ მოთამაშეები. დანიელებზე ალარაფერს ვამბობ, ისინი მასპინძლები და უპირველესი ფავორიტები არიან. ამ ორივე გუნდს და ასევე რუმინეთს ძალიან კარგი შემადგენლობები ჰყოლიათ, მაგრამ, ჩვენი არ იყოს, მათაც აქვთ პრობლემები. ამბობენ, ირლანდიას შეიძლება ლიდერი არ ჰყავდეს. ვერც დანიელები კრებენ ყველა სასურველ კალათბურთელს.

**— ნაკრებში ბევრი დებიუტანტია, ეს არ გაშინებთ?**

— ადრე თუ გვიან ყველას აქვს დებიუტი, ეს ჩვეულებრივი ამბავია. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ვინც ახლა მიგვყავს, სწორედ ესენი არიან მზადყოფნაში და გამოუცდელობის გამო არავინ უნდა დაიჩაგროს. დებიუტანტები ჩვენც ვართ, მწვრთნელები, ასეთი დონის ტურნირზე არც მე და არც ჩემი თანაშემწე ნუგზარ კანდელაკი არასდროს გავძღოლივართ გუნდის თამაშს.

**— შანსებს როგორ შეაფასებდით?**

— არ მსურს, წინასწარ გულშემატკივარს იმედი მივცე და დავპირდე, რომ აუცილებლად გავიმარჯვებთ. ვფიქრობ, მთლად უშანსოდ არ უნდა ვიყოთ, მაგრამ ყველაფერი მაინც იქ უნდა დავამტკიცოთ, დანიაში. ამხელა გზაზე წასაგებად ნამდვილად არ მივდივართ და რაც გამოგვივა, ამასაც მალე ვნახავთ. ერთი კი უეჭველია, ახლა ქართულ კალათბურთს მოგება ისე სჭირდება, როგორც არასდროს. ეს ყოველივე თითოეულ ჩვენგანს შეგნებული აქვს და ყველაფერს გავილებთ, რათა ქომაგები გავახაროთ. ბოლო უნდა მოეღოს ისეთ ყოფას, ჩვენს კალათბურთს რომ არ ეკადრება...

**გიორგი ბიძაშვილი**

### შეხვედრათა განრიგი

17 მაისი

საქართველო — ლუქსემბურგი

18 მაისი

საქართველო — რუმინეთი

19 მაისი

საქართველო — დანია

20 მაისი

საქართველო — კვიპროსი

21 მაისი

საქართველო — ირლანდია

---

პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# უყოჩო ინდიანა შინ წამოაქციეს

**აღმოსავლეთი**

15 მაისი

| | |
|---|---|
| ინდიანა | 3 |
| ფილადელფია | 2 |

**ინდიანა 86:107 ფილადელფია**

ინდიანა: ჯეკსონი (12), როუზი (13), მულინი (13), დევისი (7), სმიტსი (15); ბესტი (11), კროშერი (9), პერკინსი (6), მაკკეი

ფილადელფია: აივერსონი (37), მაკკი (13 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), ლინჩი (6), ჰილი (12 ქულა, 10 მოხსნა), რეთლიფი (26); კუკოჩი (13), ოლი, მაკკალოფი, ჯონსი

წინა მატჩში მომხადრმა ჩხუბმა და აყალმაყალმა, რომელშიც ინდიანელმა რეჯი მილერმა და ფილადელფიელმა მეტიუ გეიგერმა ერთმანეთს ცხვირ-პირი დაუმტვრიეს, „ფილადელფია" უფრო აზარალა. კლუბს 50 ათასი დოლარის ჯარიმის გადახდა დაეკისრა, თავად გეიგერსაც გვარიანად, 20 ათასით შეუთხელეს ჯიბე. „ინდიანას" შედარებით იაფი დაუჯდა მკლავმაგრობა — გეიგერის ყბის მუშტით მოსინჯვისთვის მილერი მხოლოდ 5 ათას დოლარს გადაიხდის, მისი კლუბი კი მშრალი გამოვიდა ამ საქმიდან. ეს ფინანსურად, სპორტული თვალსაზრისით კი „ინდიანა" გაცილებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მილერიც და გეიგერიც დისკვალიფიცირებულნი არიან შესაბამისად ერთი და ორი თამაშით, მაგრამ თუ გეიგერის არყოლა „ფილადელფიასთვის" თითქმის არაფერს ნიშნავს, რეჯი მილერის გამოკლება მისი გუნდისთვის შეუვსები ნაპრალია. ამდენად „ინდიანა" მომდევნო თამაშში ფაქტობრივად წასაგებად გაიწირა. გეიგერის უხეშობამ, რის გამოც ჩხუბი ატყდა, „ფილადელფიას" საბოლოოდ ორი გამარჯვება მოუტანა. „სულაც არ მინდოდა, ყველაფერი ამგვარად დამთავრებულიყო. მეტიუს კი ვუთხარი, რეჯის წინააღმდეგ დაცვაში ხისტად ეთამაშა, მაგრამ მან ზედმეტად იუხეშა. ვწუხვარ, რომ ყველაფერმა ასეთი სახე მიიღო" — თქვა „ფილადელფიას" მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა, რომელიც ოთხი წლის წინ „ინდიანას" ედგა სათავეში და რეჯი მილერიც მის ხელში დაფრთიანდა. ამდენად ბრაუნმა მშვენივრად იცის ყოფილი გუნდის ავანჩავანი, იცის, საიდან უნდა ელოდოს მთავარ საფრთხეს. ახმახ გეიგერს მილერის თამაშიდან გამოთიშვაც იმიტომ დაავალა. მანაც გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

მიუხედავად იმისა, რომ მეხუთე თამაში ინდიანაპოლისში გაიმართა, მილერის არყოფნაში მასპინძელთა გამარჯვების შანსები ერთმიორად შემცირდა. არა, მილერი გუნდთან კი იყო, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყოლილი სათადარიგოთა სკამზე იჯდა (უფრო კი ფეხზე იდგა) და იქიდან ადევნებდა თვალყურს თავისი გუნდის ჯახირს.

ფილადელფიელთა ლიდერი ალენ აივერსონი პირდაპირ დაფრინავდა, თავს არ ზოგავდა. დაუფასდა კიდეც გარჯა: წინა თამაშთან შედარებით ორჯერ მეტი ქულა დააგროვა. ლიდერის ლაღი თამაშით ფრთაშესხმული სტუმრებიც შავ დღეში აგდებდნენ ყოჩის გარეშე დარჩენილ მასპინძლებს. მათ განსაკუთრებით 208-სანტიმეტრიანი ცენტრი, თეო რეთლიფი არ აკლებდა ხელს. მან პლეი ოფში სარეკორდო, 26 ქულას ცხრა მოხსნა და ოთხი დაფარებაც დაურთო, თან ორჯერ მასზე 16 სანტიმეტრით მაღალ რიკ სმიტსს დაუფარა. აარონ მაკკის კი სულაც ერთი შედეგიანი გადაცემა დააკლდა, რომ სამმაგი დუბლი შეესრულებინა კარიერაში პირველად.

ინდიანელთა უსუსურობას მთლად იმასაც ნუ გადავაბრალებთ, რომ რეჯი მილერი აკლდათ, მასპინძლებს ფაქტობრივად კაცი არ ჰყავდათ, ვინც შეტევებს ბურთის კალათში ჩაგდებით დაასრულებდა. ამ პლეი ოფში მატჩში საშუალოდ 21,4 ქულის ჩამგდები ჯალენ როუზისა კი ეიმედებოდათ მასპინძლებს, მაგრამ მან ვერ ივარგა — პირველი ექვსი სროლა ააცილა და ვერც შემდეგ იყოჩაღა დიდად. მისი „ინდიანა" უკვე პირველი თორმეტწუთეულის შემდეგ 13 ქულის სხვაობით აგებდა — 16:29. მეორე მეოთხედში სხვაობა კიდევ ათი ქულით გაიზარდა და აღარც შემცირებულა.

მომდევნო, რიგით მეექვსე შეხვედრას 19 მაისს „ფილადელფია" უმასპინძლებს და ანგარიშის გათანაბრებას შეეცდება. აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ასოციაციის პლეი ოფების ნახევარსაუკუნოვან ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, გუნდი პირველი სამი თამაშის წაგების შემდეგ სერიაში საბოლოოდ გამარჯვებული გამოსულიყოს.

**ირაკლი ფირაშვილი**



REUTERS

ინდიანა — ფილადელფია. ინდიანელი კრის მულინი (მარჯვნივ) ტონი კუკოჩის წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | უეფას თასი. ფინალი 17 მასი | | | |
| 501 | არსენალი-გალათასარაი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | უეფას თასის აღება 17 მაისი | | | |
| 701 | არსენალი (1,35)-გალათასარაი (2,6) | | | |
| | გერმანია. II ბუნდესლიგა. 32-ე ტური 18 მაისი | | | |
| 001 | ფორტუნა-მიონხენგლადბახი | 3,6 | 3,2 | 1,7 |
| 002 | კოტბუსი-ზანქტ პაული | 1,5 | 3,5 | 5,0 |
| 003 | მაინცი-ბერლინი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 004 | ალემანია-კიოლნი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 005 | ვალდჰოფი-ოფენბახი | 1,8 | 3,4 | 3,4 |
| 006 | ქემნიცი-კიკერსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 007 | ჰანოვერი-ფიურტი | 1,75 | 3,0 | 4,2 |
| 008 | კარლსრუე-ობერჰაუზენი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 009 | ნიურნბერგი-ბოხუმი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | ინგლისი. პლეი-ოფი 17 მაისი | | | |
| 010 | იფსვიჩი-ბოლტონი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 011 | ჯილინგემი-სტოკი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 012 | უიგანი-მილუოლი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 013 | დარლინგტონი-ჰარტლპული | 1,7 | 3,3 | 4,0 |
| 014 | პიტერბრო-ბარნეტი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| | 18 მაისი | | | |
| 015 | ბარნსლი-ბირმინგემი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| | ჩეხეთი. 30-ე ტური 17 მაისი | | | |
| 016 | დუკლა-ჰ.კრალოვე | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| 017 | ბანიკი-ლიბერეცი | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 018 | ბოჰემიანსი-ბლშანი | 1,65 | 3,1 | 4,7 |
| 019 | ბრნო-სლავია | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| 020 | ბუდეიოვიცე-სიგმა | 2,0 | 3,2 | 2,9 |
| 021 | სპარტა-დრნოვიცე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 022 | ტეპლიცე-ვიქტორია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 023 | იაბლონეცი-ოპავა | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| | რუსეთი. მე-9 ტური 17 მაისი | | | |
| 024 | როტორი-ცსკა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 025 | ანჟი-ფაკელი | 1,75 | 2,9 | 4,4 |
| 026 | ნ.ნოვგოროდი-სპარტაკი | 6,0 | 3,5 | 1,45 |
| 027 | დინამო-კრილია | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 028 | სატურნი-ლოკომოტივი | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| 029 | ჩერნომორეცი-ურალანი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 030 | ტორპედო-ალანია | 1,55 | 3,2 | 5,6 |
| 031 | ზენიტი-როსტსელმაში | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | იტალია. თასის ფინალი 18 მაისი | | | |
| 040 | ინტერი-ლაციო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | დანია. თასის 1/2 ფინალი 17 მაისი | | | |
| 042 | ოლბორგი-აკადემისკი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| | 18 მაისი | | | |
| 043 | ბრიონდბიუ-ვიბორგი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | კალათბურთი. 1/4 ფინალი 17 მაისი | | | |
| 803 | მაიამი-ნიუ იორკი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | ჰოკეი. 1/2 ფინალი 18 მაისი | | | |
| 807 | ნიუ ჯერსი-ფილადელფია | 1,7 | 4,0 | 2,4 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ






### ავტორბოლა


ედი ირვინი


ანუკ ვურველდი

# ...მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა

მას „ფორმულა 1-ის პლეიბოის“ და „ოლსტერელ კაზანოვას“ ეძახიან. „იაგუართან“ 32 მილიონ დოლარიანი კონტრაქტი აქვს და მართალია, მსოფლიოს უსწრაფეს მრბოლთა წლევანდელ შეჯიბრებაში ჯერ ქულაც არ მოუპოვებია, ევროპული ტაბლოიდების პირველ გვერდებზე მაინც სხვებზე ხშირად ხვდება.

ასე იყო გუშინაც, როცა ედი ირვინმა თავისი მორიგი სასიყვარულო რომანის დასრულება აუწყა საზოგადოებას: „განსაკუთრებული მიზეზი არ ყოფილა. უბრალოდ, დავშორდით. ვაღიარებ, რომ ძნელი საყურებელია, როგორ ალაგებს ქალი ბარგს და მიდის, მაგრამ რა ვქნა — ხომ არ გადავყვები“.

არადა, 25 წლის ჰოლანდიელი ლამაზმანი ანუკ ვურველდი ირვინმა ოდენ შარშან გაიცნო და მალე ახალი გელფრენდი საკუთარ სახლში დაასახლა. სახლიო, ვთქვით, თუმცა როგორც მილიონერთა უმრავლესობა, ირვინიც გადასახადებისგან თავისუფალ მონაკოშია „ჩაწერილი“, უფრო სწორად, მონაკო-მილანის გზაზე მოლივლივე იახტაზე, „ანაკონდა“ რომ ჰქვია და 3 მილიონი დოლარი ღირს. გასულ კვირას იყო, ჰოლანდიელი ჟურნალისტებს რომ ეუბნებოდა — ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი და, ალბათ, მთელი ცხოვრება ერთად ვიქნებითო — მაგრამ გუშინწინ აიკრა გუდა-ნაბადი და... ასეთ დღეში ადრეც ბევრი ჩავარდნილა, თუნდაც ცნობილი მოდელი კეიტ მოსი.

აბა, ამას ვინ გაუჩერდებოდა. მართლაც ტიპიური კაზანოვაა. „ახალ გოგოზე კარგი ცხოვრებაში არაფერია“, „ცოლს არასდროს მოვიყვან“ — სულ ეს აკერია პირზე. ახლაც, ფორმულა 1-ის მორიგ, გერმანულ ეტაპამდე ოთხი დღით ადრე, კანში დასეირნობს: „იქით კვირას კიდევ გამოვივლი. ხომ იცით, კანის კინოფესტივალზე მსოფლიოს საუკეთესო ქალები იკრიბებიან. თვალი უნდა შევავლო. აუცილებლად ახალი რომანის გაბმა მინდა-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ რა იცი, ყველაფერი ხდება“.

დიახაც, ირვინის ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. ორიოდ თვის წინ 50 ათასი დოლარი გადაიხადა, რათა ე[...] საათით ჩაფრენილიყო საბერძნეთის [...] ერთ კუნძულზე და ანუკი ენახა. ა[...] ამბობს, ზედ ხომ არ გადავყვებიო: „[...] ცხოვრებაში ქალებს მნიშვნელოვანი [...] ლი უჭირავთ. მიყვარს მათ გარემო[...] ში ყოფნა, მაგრამ იცით, რა ხდ[...] რაც უნდა მზეთუნახავი გიმშვენებ[...] გვერდს, შენს წინ მჯდომი უცნობი [...] ლი მაინც მეტად გიზიდავს კაცს“.

ერთადერთი, ვისაც ირვინი არასდ[...] ლალატობს, მისი ოთხი წლის ქალ[...] ვილია. ზუ ედისა და ჩინურ-შოტ[...] დიური წარმოშობის მარია დრამონ[...] ექვსწლიანი ურთიერთობის ნაყოფ[...] ახლა დედასთან ერთად აზიურ [...] ნძულ მაკაოზე ცხოვრობს. თუ „კ[...] ნოვა“ საჭეს ან მორიგი ლამაზმ[...] მკლავებს არაა ჩაჭიდებული, ყ[...] ლთვის მაკაოსთან ესწრაფვის.

...ტრასის შემოვლისა რა გითხ[...] მაგრამ 35 წლის ირვინის „ქალთვ[...] ლეობის“ რეკორდი სწორედ ის ე[...] წელია.

**გიგა კობახ[...]**

### ჰოკეი

## PLAY OFF

### ნახევარფინალი

# ნადირობა დალასში

15 მაისი

**დალასი — კოლორადო 1:1**

**დალასი — კოლორადო 3:2**

0:0 2:1 1:1

0:1 ოზოლინში 20'25(5); 1:1 მოდანო 25'24 (7); 2:1 მოდანო 38'15 (8); 3:1 ჰალი 45'48 (5); 3:2 ფორსბერგი 54'23 (6)

„დღეს ჩვენ მონადირეები ვიყავით და არა მსხვერპლი“ — ასე დაახასიათა მაიკ მოდანომ ის, რაც დალასში, სერიის მეორე თამაშში ხდებოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონი მარცხის შემდეგ სულაც არ დაიბნა და ამ კრიტიკულ მომენტშიც კი გამოავლინა თავისი საუკეთესო თვისებები. დალასელებს კარგად ესმოდათ, რომ მეტოქე, რომელიც წინა მატჩში ერთობ მშვიდად და თავდაჯერებულად თამაშობდა, როგორმე მოთმინებიდან უნდა გამოეყვანათ. ამიტომაც ისინი ძალისმიერ ბრძოლაში ჩაითრიეს, ბორტებთან ხშირი ჭიდილით და ჭარბი ემოციებით წონასწორობა დააკარგვინეს. თამაში ნერვიულ, ფეთქებად გარემოში წარიმართა, რაც მასპინძლის წისქვილზე ასხამდა წყალს.

დალასელები თავს რომ არ ზოგავდნენ, მეტოქესაც არ ინდობდნენ და ზოგჯერ ძალიან აჭარბებდნენ. თვით ჯო ნუინდაიკმა, რომელიც ყოველთვის თავშეკავებულია, სამჯერ დაარღვია წესები. ერთხელ კარიდან გამოსულ პატრიკ რუას ისეთი ილეთი ჩაუტარა, მეკარე ყინულს დაენარცხა. ამით კოლორადომ ისარგებლა. მისი მეორე გაძევება ჩინებულად გამოიყენეს სტუმრებმა. პეტერ ფორსბერგმა სანდის ოზოლინში დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა და მანაც შანსი ხელიდან არ გაუშვა. ამ გამუდმებულმა და მკაცრმა ბრძოლამ თანდათან დაღალა სტუმრები. პირველი გოლის შემდეგ ინიციატივას მთლიანად დალასელები დაეუფლნენ და მეორე პერიოდის დასრულებამდე წინ გასვლაც მოახერხე[...]

რეი ბურკის გარეშე მოთამაშე [...] მრებმა პირველ პერიოდში დაცვის [...] დევ ერთი ლიდერი, ადამ ფუტი დ[...] რგეს. დალასელმა იერე ლეპტინ[...] შემთხვევით ისე მოიქნია ყვანჯი, [...] მის ფუტს თვალი ამოსთხარა. [...] შემდეგ სტუმართა დაცვას განსა[...] რებით გაუჭირდა. თანაც ფუტი [...] მივად მაიკ მოდანოს ეწინაალმდეგ[...] და და მცველმა ტრავმა რომ მი[...] დალასელთა ლიდერს ფრთები შე[...] სწორედ მისმა ორმა გოლმა გად[...] ვიტა თამაშის ბედი.

**სამველ ლარიბ[...]**


ამ ზედახორაში დალასელმა მაიკ მოდანომ (9) იმარჯვა და კოლორადოელებს პირველი შაიბა გაუტანა

# ...არებმა კატების გაახარეს

## ზე 12. მეთორმეტე ტური

12 მაისი

**კრაისტჩერჩი (ახალი ზელანდია) 12:27 კანბერა (ავსტრალია)**

...ისტჩერჩი: 4ს — მაკდონალდი
...ერა: 2ლ — უოლკერი, ჰარდი; 2გ. და 1ს — მორტლოკი

**...რეტორია (სამხრეთ აფრიკა) 47:33 ველინგტონი (ახალი ზელანდია)**

...ტორია: 4ლ — ჰ. ვანტერი (2), საჯარიმო, მეიერი; 3გ — ფან დერ ვესტჰოიზენი; 6ს — ფან დერ ვესტჰოიზენი, დე ბეერი (5); 1ა — დე ბეერი
...ინგტონი: 4ლ — კალენი, ჰოლუელი, ლილი, ფლემინგი; 2გ — ჰოლუელი; 3ს — ...ოლუელი (2), ლილი

**სიდნეი (ავსტრალია) 22:15 დანიდინი (ახალი ზელანდია)**

...ნეი: 2ლ — უორნერი, ლითლი; 4ს — ბარკი
...იდინი: 5ს — ბრაუნი (2), ლეინი (3)

13 მაისი

**დურბანი (სამხრეთ აფრიკა) 28:32 კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა)**

...რბანი: 1ლ — ტერბლანში; 1გ. და 7ს — დიუ ტუა
...პტაუნი: 4ლ — მონტგომერი (2), ბუმი, როსოუ; 3გ. და 2ს — ფან სტრაატენი

**...ოჰანესბურგი (სამხრეთ აფრიკა) 53:3 ჰამილტონი (ახალი ზელანდია)**

...ანესბურგი: 7ლ — ფან დერ უოლტი (2), ა. ვანტერი (2), უილიამსი, მინარი, ლე რუ; ...გ. — კოენი (4), ლე რუ (2); 2ს — კოენი
...ილტონი: 1ს — ჯექსონი

**ბრისბენი (ავსტრალი) 33:26 ოკლენდი (ახალი ზელანდია)**

...ისბენი: 4ლ — ჰერბერტი (2), ილსი, ფლეტლი; 2გ. და 3ს — ფლეტლი
...ლენდი: 3ლ — კეშმორი, ტანივულა, კოლინსი; 1გ. და 3ს — კეშმორი

...ირველ ნახევარფინალში შარშა...ლი ფინალისტები ხვდებიან ერთ...თს, მეორეში კი ის ორი გუნდი, ...ლებიც ამჟამად საუკეთესოები არიან ...ეს ბოლო ტურშიც დაამტკიცეს. ...ში, რომელსაც დარჩენილი ორი ...ევარფინალისტი უნდა გამოევლინა, ...ეულში მოხვედრის შანსი ექვს ...ს ჰქონდა, ამიტომ ყველა მატჩი ...დეს ინტერესს იწვევდა.

...ირველებმა კრაისტჩერჩმა და კანბე...იბრძოლეს და პირველი ადგილის ...ც ამ შეხვედრაში გადაწყდა. მასპი...ებს ტრავმის გამო ძირითადი დამრ...ლი ენდრიუ მერთენსი აკლდათ და ...ან გაუჭირდათ. ორივე გუნდი დაც...მშვენივრად თამაშობდა, ამიტომაც ...2-ისთვის უჩვეულოდ ცოტა ლელო ...) იხილა „ჯეიდ სტედიუმზე“ შეკ...ლმა 31 ათასმა მაყურებელმა — თი...ტაიმში თითო. თავიდან კანბერას ...ალსვლიანი კომბინაცია, რომელშიც ...ქმის ყველა სტუმარმა მიიღო მონა...ეობა, ჯგუფური ტურნირის საუკე...ო მელელოე ენდრიუ უოლკერმა და...რგვინა, შესვენების შემდეგ კი მიჩ ...იმ გამოიჩინა თავი. ამ მოგებით კა...რელებმა დაადასტურეს, რომ ნამდ...ად უძლიერესები და ჩემპიონობის ...რველესი კანდიდატები არიან. მათ ...აზე მეტი მატჩი მოიგეს, ყველაზე ...ი პრემიალური ქულა მოიხვეჭეს, სა...თესო თავდასხმა და დაცვაც მათი იყო. ყველაზე მეტი ქულა და ლელოც კანბერას გუნდის წევრებმა — სტირლინგ მორტლოკმა და ენდრიუ უოლკერმა მიითვალეს. ვერაფერს იტყვი, შთამბეჭდავი სტატისტიკაა.

ახალზელანდიელთა ღირსების აღდგენას ველინგტონისგან ელოდნენ, რომელიც მაჩანჩალა პრეტორიას სტუმრობდა. „ხარებს“ აქამდე თამაშიც არ მოეგოთ და ძნელი წარმოსადგენი იყო, „ოლ ბლექსის“ უკანახაზელებისთვის რაიმე დაეკლო. თუმცა წინა ტურში პრეტორიამ კინალამ დანიდინს სძლია და მხოლოდ მსაჯის მიერ წამატებულ დროში დამარცხდა (40:42). ასე რომ, იოჰანესბურგს მაინც სჯეროდა თანამემამულეების გამარჯვების. მატჩი მასპინძლებმა მშვენივრად დაიწყეს და ჯანი დე ბეერის ზუსტი დარტყმების წყალობით მალე დაწინაურდნენ. მოწინააღმდეგე გუნდიც (ლომუ დისკვალიფიცირებული იყო), ალბათ, მალე გამოფენდა თეთრ ბაირაღს, მაგრამ კრისტიან კალენი დანებებას არ აპირებდა. მისი ჯადოსნური ლელოს წყალობით სტუმრები შესვენების წინ მატჩის გადარჩენის იმედს ინარჩუნებდნენ (13:23). დროის ამ მონაკვეთში პრეტორიელები უამრავ შეცდომას უშვებდნენ და თითქოს მორიგი მარცხიც არ იყო შორს. თუმცა 55-ე წუთიდან მოყოლებული მასპინძლები ისევ ჩინებულად ათამაშდნენ და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვეს, რითაც ყველაზე მეტად იოჰანესბურგელები გაახარეს.

აშკარად სულ უფრო და უფრო ცუდად თამაშობს დანიდინი, რომელიც წინა ტურში პრეტორიაში გადარჩა, ამჯერად კი სიდნეიში თავს ველარ უშველა. პირველ ტაიმში გუნდებმა მხოლოდ საჯარიმოებით მოიპოვეს ქულები და ასე გაგრძელდა 72-ე წუთამდე. ამ დროისთვის დანიდინი 15:12 იგებდა, მაგრამ ამ ტურში კუნძულელთაგან გამარჯვება არავის ეწერა. ჯერ უორნერმა დააწინაურა თავისიანები, მერე კი ლითლმაც გაიტანა ლელო და რომ არა ლეინის ზუსტი საჯარიმო დარტყმა, დანიდინი პრემიალურ ქულასა და მესამე ადგილს ვერ მოიპოვებდა.

შაბათს ორი სამხრეთაფრიკული გუნდი შეხვდა ერთმანეთს. კეიპტაუნი შარშანდელივით ნახევარფინალში რომ გასულიყო, აუცილებლად გამარჯვება და პრემიალური ქულა სჭირდებოდა, მერე კი იმაზე უნდა ეოცნება, რომ იოჰანესბურგს ვერ მოეგო. პირველი ტაიმი დურბანმა გაცილებით უკეთ ჩაატარა და 19:8 მოიგო. შესვენების შემდეგ ინიციატივა სტუმრებმა იგდეს ხელთ და თანდათანობით ანგარიშში სხვაობაც შეამცირეს. პიტერ როსოუს, მატჩის საუკეთესო მოთამაშის ულამაზესი ლელოს შემდეგ კი კეიპტაუნელები დაწინაურდნენ და საბოლოოდ ხუთი ქულაც აიღეს, მაგრამ...

შაბათსვე იოჰანესბურგი ახალზელანდიელთაგან უარეს ჰამილტონს მასპინძლობდა. „კატები“ ტურნირის მიწურულს უდიდესი აღმავლობით თამაშობენ და როგორც მოსალოდნელი იყო, ჰამილტონისგანაც ქვა-ქვაზე არ დატოვეს. თუმცა თავიდან ცოტა გაუჭირდათ და ლელოების წვიმა მხოლოდ მას შემდეგ დაატეხეს თავს მოწინააღმდეგეს, რაც მათმა მთავარმა მწვრთნელმა რამდენიმე ცვლილება განახორციელა. ახლა მათ ფინალში გასასვლელად კანბერაში გამარჯვება სჭირდებათ, თანაც მეექვსე ტურში გამანადგურებელი ანგარიშით წაგებისთვისაც (0:64) რევანში უნდა აიღონ.

არადა, ოკლენდს ბრისბენისთვის რომ მოეგო, ნახევარფინალები სამხრეთაფრიკელთა გარეშე ჩაივლიდა. თუმცა ახალზელანდიელებმა თავიანთი მეხუთე მატჩიც წააგეს ამ ტურში. ბრისბენსაც ჰქონდა საუკეთესო ოთხეულში მოხვედრის მცირე შანსი, მაგრამ... ჯონ ილსის თანაგუნდელებმა ქულების მაქსიმალური რაოდენობაც მოიხვეჭეს, თუმცა ამაოდ.

ერთი სიტყვით, ნახევარფინალში ახალზელანდიელთაგან იგივე გუნდები გავიდნენ, ვინც ამ წარმატებას შარშან მიაღწია. ავსტრალიური ბრისბენი კანბერამ შეცვალა, სამხრეთაფრიკული კეიპტაუნი კი — იოჰანესბურგმა.

**გაიოზ თალაკვაძე**

### ყველაზე შედეგიანები

...რლინგ მორტლოკი (კანბერა) — 167 ქულა
...რიუ ბარკი (სიდნეი) — 158
...ნი ბრაუნი (დანიდინი) — 150
...ის კოენი (იოჰანესბურგი) — 132
...ამ ფან სტრაატენი (კეიპტაუნი) — 129
...ნი დე ბეერი (პრეტორია) — 125
...დრიუ მერთენსი (კრაისტჩერჩი) — 123
...ვიდ ჰოლუელი (ველინგტონი) — 103

### ...აუკეთესო მელელოეები

...დრიუ უოლკერი (კანბერა) — 12
...ეიტონ პაულსი (კეიპტაუნი) — 10
...ისტიან კალენი (ველინგტონი) — 10
...იკა ვუნიბაკა (კრაისტჩერჩი) — 9
...ებ რალფი (კრაისტჩერჩი) — 8
...ის ლეტჰემი (ბრისბენი) — 7
...კ ბართოლომეუსი (კანბერა) — 7

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ...ბერა | 11 | 9 | 0 | 2 | 7 | 2 | 393:196 | 45 |
| ...ისტჩერჩი | 11 | 8 | 0 | 3 | 5 | 2 | 369:293 | 39 |
| ...იდინი | 11 | 6 | 0 | 5 | 6 | 2 | 320:284 | 32 |
| ...ჰანესბურგი | 11 | 7 | 0 | 4 | 2 | 2 | 320:334 | 32 |
| ...პტაუნი | 11 | 6 | 1 | 4 | 4 | 1 | 298&273 | 31 |
| ...ლენდი | 11 | 6 | 0 | 5 | 3 | 3 | 297:262 | 30 |
| ...ისბენი | 11 | 6 | 0 | 5 | 5 | 1 | 317:308 | 30 |
| ...ინგტონი | 11 | 6 | 0 | 5 | 5 | 0 | 308&329 | 29 |
| ...ნეი | 11 | 5 | 0 | 6 | 2 | 3 | 273:258 | 25 |
| ...ილტონი | 11 | 3 | 0 | 8 | 4 | 4 | 257:342 | 20 |
| ...ტორია | 11 | 1 | 2 | 8 | 1 | 2 | 231:295 | 11 |
| ...რბანი | 11 | 1 | 1 | 9 | 0 | 3 | 243:333 | 9 |

*...მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ...ლოს გატანისთვის, მეექვსეში კი ...იდი ან ნაკლები ქულით დამარც...ებისთვის მიკუთვნებული პრემიალური ქულებია*

### ნახევარფინალი

19 მაისი

**კრაისტჩერჩი — დანიდინი**

20 მაისი

**კანბერა — იოჰანესბურგი**



პრეტორია — ველინგტონი. სტუმარი პოლ ტიტო „ხარების“ დაცვის გარღვევას ცდილობს

REUTERS პრეტორიიდან





ხიდზე „ჯიროს“ პელოტონია, ხიდის დაბლა კი ტირენიის ზღვა

# აწვიმდა პელოტონს

„ჯიროს“ მეორე ეტაპი ტერაჩინად მადალონიმდე მოეწყო. იგი 27 წლის იტალიელი კრისტიან მორენის გამარჯვებით დასრულდა, რის შედეგადაც საერთო ჩათვლაში ლიდერის ვარდისფერი მაისურაც მისი საკუთრება გახდა.

თითქმის მთელი დღის განმავლობაში სპორტსმენებს კოკისპირული წვიმის ქვეშ მოუწიათ რბოლამ. სტიქიასთან ბრძოლამ არაერთი მათგანი წააქცია და უამრავი საბურავი გახეთქა, განსაკუთრებით პელოტონის უკანა ნაწილში.

დღის მთავარი შეტევა 75-ე კილომეტრზე განხორციელდა და მასში შვიდმა მრბოლმა მიიღო მონაწილეობა. თუმცა ორი მათგანი მალე წაიქცა და სხვები წამოეწივნენ კიდეც. წინ კი მატეო ტოსატო (ფასაბორტოლო), სიმონე ბერტოლეტი (ლამპრე), ელიო აჯიანო (ვიტალიციო), კრისტიან მორენი (ლიკაგასი) და კარსტენ კრუნი (რაბობანკი) წავიდნენ. ამ უკანასკნელმა გზაზე შემხვედრი სამივე მთის უმაღლეს წერტილს პირველმა უწია და მთის ჩათვლის ლიდერის მწვანე მაისურაც მოირგო.

ლტოლვილებს ფინიშამდე რამდენიმე ათეული კილომეტრით ადრე კიდევ სამი კაცი შეუერთდა და სწორედ ამ დროს მიიტანა იერიში მორენიმ. იტალიელმა მომენტი სწორად შეარჩია, რადგან პელოტონი მის ჯგუფთან უკვე წუთზე ნაკლებს აგებდა და მალე წამოეწეოდა კიდეც. მორენის უპირატესობა 10 წამზე მეტი არასოდეს გამხდარა, მაგრამ მისი კომპანიონები ერთმანეთის თვალთვალით ისე იყვნენ გართულნი, მას ნორმალურად არც გამოედევნენ.

უკან კი პელოტონი ახლოვდებოდა, რომელიც მთებში რამდენიმე ნაწილად იყოფოდა და ბარში ისევ ერთ მთლიანად იქცეოდა ხოლმე. მთავარ ჯგუფში იყო ვარდისფერმაისურიანი მარიო ჩიპოლინიც, რომლის თანაგუნდელებმაც გვიანლა აიღეს ინიციატივა ხელში და ამიტომ ეტაპი ჯგუფური სპრინტის გარეშე დასრულდა. ასე რომ, ჩიპოს გამარჯვების არანაირი შანსი არ ჰქონდა. მისი ერთ-ერთი თანაგუნდელი და „საეკოს“ ლიდერი პაოლო სავოლდელი კი წინა დღის მსგავსად ჩამორჩა ჯგუფს, ოღონდ ამჯერად არ დაცემულა. მას საბურავი გაუსკდა და დიდი გაჭირვებით დაეწია პელოტონს, რომელმაც მორენისთან 30 წამი წააგო. რაც შეეხება მარკო პანტანის, ის საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა და აღმართებში სულ არ ეტყობოდა, რომ ლამის ერთი წელია, შეჯიბრში არ გამოსულა.

კრისტიან მორენისთვის კი ეს დიდ სამეულზე („ჯირო“, „ტური“, „ვუელტა“) მეორე ეტაპური გამარჯვება იყო. შარშან მან ესპანეთში გვადალახარას ეტაპი მოიგო.

**გაიოზ თალაკვაძე**

### 16 მაისი. მესამე ეტაპი

პაესტუმი-სკალეა, 177 კმ

1. იან სვორადა (ჩეხეთი, ლამპრე) — 4სთ 44წთ 30წმ
2. გუიდო ტრენტინი (აშშ, კანტინა ტოლო)
3. მიგელ მარტინი (ესპანეთი, ვიტალიციო)
4. მატეო ტოსატო (იტალია, ფასა ბორტოლო)
5. სიარენ პოუერი (ირლანდია, ლინდა მაკარტნი) იგივე დრო

### საერთო ჩათვლა

1. კრისტიან მორენი (იტალია, ლიგიკასი) — 13სთ 52წთ 19წმ
2. მატეო ტოსატო — +1 წმ
3. ხოსე გუტიერესი (ესპანეთი, კელმე) — +11
4. კარსტენ კრონი (ჰოლანდია, რაბობანკი) — +13
5. ანდრეა ნოე (იტალია, მაპეი) — +22

# აფეთქდით, შეუტიეთ, მოიგეთ!

*წლევანდელ „ჯიროში“ ერთადერთი ფრანგული გუნდი გამოდის და ისიც დიდ ამბიციებს არ ისახავს. „ლა ფრანსეზ დე ჟე“ იტალიაში ახალგაზრდული შემადგენლობით ჩავიდა, იმ მიზნით, რომ მისმა წევრებმა გამოცდილება შეიძინონ. ამას გუნდის სპორტული დირექტორი მარკ მადიოც არ მალავს ფრანგული „ლე პარიზიენისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.*

**— რატომ გადაწყვიტეთ „ჯიროში“ მონაწილეობა?**

— ჩვენი გუნდი უკვე მეოთხე წელია, არსებობს და სავსებით ლოგიკურად მიმაჩნია, რომ სეზონის ორ უმთავრეს ტურნირში გამოვიდეთ. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ჩვენი წევრები 22-23 წლის ბიჭები არიან (ივინ ლედანუა 30 წლისაა, ფაბრიციო გიდი კი — 28-ის) და დრო იყო, დიდი შეჯიბრი დაეჭაშნიკებინათ.

**— რით ამჯობინეთ „ჯირო“ „ვუელტას“? იტალიაში რაიმე კომერციული ინტერესები ხომ არ ამოძრავებს „ლა ფრანსეზ დე ჟეს“ (ფრანგული ლატარიების ფირმაა)?**

— არა, არავითარი კომერცია. აქ მხოლოდ სპრორტული ინტერესების გამო ჩამოვედით. ყოველ სეზონში აუცილებლად უნდა ვიასპარეზოთ მსოფლიოს თასის კლასიკურ რბოლებსა და „ტურ დე ფრანსში“. დანარჩენ ტურნირებს კი ჩემი სუბიექტური შეხედულებისამებრ ვარჩევდით. იტალიელებმა მოგვიპატიჟეს, თან რომელიმე მრბოლის აუცილებლად გამოყვანაც არ უთხოვიათ. ამიტომაც მივიღეთ მათი მოწვევა და საკმაოდ გამოუცდელი გუნდით ჩამოვედით.

**— როგორ დაახასიათებდით თქვენს შემადგენლობას?**

— ცხრა მრბოლიდან მხოლოდ ორს — ლედანუასა და გიდის ჩაუმთავრებიათ სამიდან რომელიმე დიდი შეჯიბრი. ეს უკანასკნელი ახლა საკმაოდ კარგ ფორმაშია და სავსებით შესაძლებელია, რომელიმე სპრინტული ეტაპიც მოიგოს. იგივეს გაკეთება ძალუძს ჟიმი კასპრერსაც, ოღონდ მას აკლიმატიზაციისთვის გაცილებით მეტი დრო დასჭირდება. მას ნამდვილად ხელეწიფება მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერებთან მეტოქეობა.

**— დანარჩენები?**

— გვიაზდოვსკისგან ველი, რომ „ჯიროს“ დაამთავრებს და „ტურისთვის“ სრულყოფილად მზად იქნება. ლედანუას მთებში შეუძლია წარმატების მიღწევა. დანარჩენებს კი ვთხოვე, რომ კომპლექსებისგან განთავისუფლებულიყვნენ და შეძლებისდაგვარად კარგად ერბოლათ. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი მრბოლით დავამთავროთ „ჯირო“. თუმცა ბიჭებს მაინც მოვუწოდე: „აფეთქდით, შეუტიეთ და თუ შესაძლებელი იქნება, მოიგეთ კიდეც!“

**თარგმნა გაგი გურულმა**

### შვედეთი

მე-6 ტური. ელფსბორგი — ტრელებორგი 1:0; გაის — სუნდსვალი 1:1; ჰაკენი — ჰალმსტადი 2:4; ნორჩიოპინგი — ფრიოლუნდა 3:1; იორებრო — ჰელსინგბორგი 0:2; იორგრიტე — აიკ 0:2; ჰამარბი — გიოტებორგი 1:0

### ნორვეგია

მე-9 ტური. ბრანი — მოსი 2:0; ჰაუგესუნდი — სტაბეკი 0:4; ლილესტრიომი — ბრინი 1:1; ოდ გრენლანდი — სტარტი 3:0; რუსენბორგი — ტრომსიო 1:1; ვიკინგი — ბოდიო გლიმტი 2:0; მოლდე — ვოლერენგა 2:1

### ავსტრია

თასის ფინალი

ზალცბურგი 2:2 (3:4 პენ.) გრაცერი

0:1, 0:2 პამიჩი (3 პ, 34), 1:2 შევჩიკი (44), 2:2 აუფჰაუზერი (90)

# საზოგადო საქმეები

ეგებ გაგიკვირდეთ კიდეც და ბეისბოლისტი ამერიკაში საზოგადო მოღვაწეცაა. დიახ, იქაურ საზოგადოებაში ბეისბოლისტის გამოჩენა, დაახლოებით იმგვარი სულიერი სიმშვიდისა და კეთილმედიანობის გამომწვევია, როგორიც ჩვენსაში დამსახურებული პარტიული მუშაკისა. ორივე შემთხვევაში კაცი ფიქრობს, რომ დიდებულ მოღვაწეთა მხარდამხარ აკეთებს ალალ საქვეყნო საქმეს. სხვა დარგის საზოგადო მოღვაწეებსაც კი დიდ პატივად უჩანთ ბეისბოლისტებთან ყოფნა. აქ წარმოდგენილი ფოტოებიც ამის დასტურია. ერთ დროს საბჭოელი, ან კი ამერიკელი ფიგურულად მოსრიალე ოქსანა ბაიული, სიეტლელ და მინესოტელ ბეისბოლისტთა შეხვედრას ხსნის. ამასობაში კი ტორონტოელ პოლიციელებს კიბოს წინააღმდეგ გაუმართავთ საქველმოქმედო აქცია. იქაურ ბეისბოლისტთა გუნდის „ბლუ ჯეის“ წევრებიც მისულან და საზოგადო საქმე ლალობით გაუსრულებიათ — ქლოუზერ ბილი კოხს თმა გადაუპარსავს ტორონტოელ პოლიციელთა მთავარკონსტებლ დენის დუპუასთვის.



REUTERS სიეტლიდან




REUTERS ტორონტოდან

### სიძე შე...

ქორწინდებიან მონა ღვთისა ტორე და მხევალი ღვთისა რანდი... ოსლოში ქორწილი იყო ტორე ანდრე ფლომ და რანდი სვე... დაიწერეს ჰოლმენკოლენის ტაძარში. თაფლობის თვისა რ... ვთქვათ? შაბათს სიძე „უემბლიზე“ უნდა იყოს ინგლისის ასოციაციის თასის ფინალში სათამაშოდ.



### უბერის მოძრაობა

კუალა ლუმპურში უბერის თასი გახურებულა. უფრო მარტივად ეს ბადმინტონის შეჯიბრია. წყვილთა თამაში რომ ერთი სული და ერთ ხორც ყოფნას ნიშნავს დანიელ ქალთა ეს მოძრაობაც გვიდასტურებს: რიკე ოლსენი და ჰელენე კირკევგარდი იაპონურ წყვილს ჯაბნიან.




REUTERS კუალა ლუმპურიდან

### ჩვენ, კიდევ ერთხელ

ჩვენ, აქა მყოფნი: სერ ბობი ჩარლტონი (შუაში) თავმჯდომარე, მისტერ ალეკ მაკ გივანი დირექტორ... (მარჯვნივ) და მისტერ ტონი ბენქსი პრემიერ... მინისტრის საგანგებო წარმომადგენელი, კიდე... ერთხელ, ამჯერად მალაიზიის მიწაზე მყოფნ... ვადასტურებთ, რომ გვსურს 2006 წლის ჩემპიონატ... ინგლისში გაიმართოს. ფეხბურთს მოუთმენლად ელ... მისი სამშობლო...



# ქალების ბილი




REUTERS ვაშინგტონიდან

ქალთა ენბიეი მაყურებელს არ უჩივის და თუ ბილ კლინტონი ყოველ საღამოს ვერ უყურებს გოგოების კალათბურთს, იცის, ცენტი კუპერი, ტინა ტომპსონი და შერილ სვუპრი სწორედ ის მაგარი ვინმეები არიან, „ჰიუსტონ კომეტსის“ შემადგენლობაში სამჯერ რომ მოუგიათ ჩემპიონობა. კომეტა

ქალებს თავიანთი გუნდის საპატიო წევრად გაუხდიათ ბილი, რომელსაც თეთრი სახლის ვარდების ბაღში მიუღია ისინი. ისეო, უთქვამთ გოგოებს, ჩვენი სამოსი ქალბატონ ჰილარის უფრო დაამშვენებდაო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კეღელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge